საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№44 (326)
2 - 8 დეკემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 «ქონებრივი სამართლია-ნობის აღდგენა თებერვლიდან დაიწყება»

## «ადვილი შესაძლებელია, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ეპიცენტრმა ჩვენკენ გადმოინაცვლოს» 9





ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი: 2

## «ნატოს ყველა წევრი არ იქნება თანახმა, საქართველო ალიანსის წევრი 2 ან 3 წელიწადში გახდეს»

## ლაშას ლავაში, ნიკას ვენახი და თინას ოცდამეერთე 10

„რუსეთს ყოველთვის ექნება დისკომფორტი და შიში, სანამ მე ვიქნები საქართველოს თავდაცვის მინისტრი!“




„დაბალრენტაბელური და დაბალხარისხიანი ყურძენი და მანდარინი, რომლის გასაღების ერთადერთ ბაზრად განიხილება რუსეთი, არა მარტო ეკონომიკური დაცემის აგენტებია, არამედ სტრატეგიული საშიშროებაც! ისინი დროზე თუ არ მოვიშორეთ, არც ეკონომიკას ეშველება და არც უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას! და ამ დროს უკვე თითქმის მოშორებულ ჩაის ისევ გაცოცხლებას უპირებს ახლანდელი მთავრობა!“

## ამერიკის მონობა თუ რუსეთის მოკავშირეობა, ანუ დემოკრატია თუ ტრადიციული საზოგადოება? 6

8 ვინ აფინანსებს «ისლამურ სახელ-მწიფოს»



## ერდოღანი-2015 — ეს არის სააკაშვილი-2008 და პოროშენკო-2014 5

## «ნატო შემოვა საქართველოში, მაგრამ უკვე თურქეთის სახით»



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბიძინა ივანიშვილი: ქონებრივი სამართლიანობის აღდგენა თებერვლიდან დაიწყება



**„გეთანხმებით, რომ ძალიან გაჭიანურდა ქონებრივი სამართლიანობის აღდგენა. ეს ვალდებულება ჰქონდა ჩვენს გუნდს, როდესაც მოვედით და მეც ჩემი პერემიერობის პერიოდში ხშირად მეკითხებოდნენ და ვძლევდი დაპირებას, რომ ვემზადებით, ეს იქნება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ეთერში.** მისივე თქმით, ქონებრივი სამართლიანობის აღდგენა თებერვლიდან დაიწყება. „თებერვლიდან ეს პროცესი დაიწყება. ეს არ არის მარტივი პროცესი. მე მესმის საზოგადოების კარგად, ძალიან დაგვიანდა. მაგრამ ეს არ დაგვიანებულა ვილაცის სუბიექტური მიზეზების გამო ან ვილაცას მიავიწყდა, ან ვილაცას არ სურდა. ამისთვის ფინანსები იყო მოსაძიებელი, შესაბამისი სტრუქტურები იყო შესაქმნელი და ა.შ. თუმცა ეს პროცესი შეჩერებული არ იყო. აი ვნახოთ, თებერვალში დაიწყება. ამას სჭირდება შესაბამისი თანხები. როგორც ვიცი 1 მილიარდზეა საუბარი“, — აღნიშნა ივანიშვილმა.




## ამერიკულმა გამოცემებმა სუს-ის მიერ «ისლამურ სახელწიფოსთან» სავარაუდო კავშირისთვის 4 პირის დაკავებაზე სტატიები გამოაქვეყნეს

**ამერიკულმა გამოცემებმა Wall Street Journal-მა და New York Times-მა სუს-ის მიერ „ისლამურ სახელწიფოსთან“ სავარაუდო კავშირისთვის 4 პირის დაკავებაზე სტატიები გამოაქვეყნეს.** საქართველოში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ შესაძლო კავშირის გამო ოთხი პირის დაკავება მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. New York Times-მა გამოაქვეყნა „ესოშიეითედ პრესის“ მომზადებულ მასალა, სადაც მოყვანილია სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადება დაკავების დეტალების შესახებ.

ლევან იზორიას თქმით, 11 საცხოვრებელი სახლი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩხრიკეს. ამოღებულია ისლამური სახელმწიფოს დროშა, საბრძოლო მასალა და DVD დისკები. სტატიაში აღნიშნულია, რომ დაკავებულები გურიის რეგიონიდან არიან, სადაც ბევრი მუსლიმი ცხოვრობს. გამოცემა ასევე წერს, რომ აქამდე დაკავებების უმეტესობა უკავშირდებოდა პანკისის ხეობას, სადაც ეთნიკური ჩეჩნები ცხოვრობენ.

Wall Street Journal-მა კი საქართველოს შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალა ატვირთა.

## ედგარს რინკევიჩსი: ნატოს ყველა წევრი არ იქნება თანახმა, საქართველო ალიანსის წევრი 1, 2 ან 3 წელიწადში გახდეს



**ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარს რინკევიჩსმა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა,რომ ნატო იცავს გაფართოების პოლიტიკას, თუმცა საქართველოს გაწევრებას გარკვეული დრო დასჭირდება.**

„თუ ქვეყანა აკმაყოფილებს ყველა პარამეტრს და თუ ეს შედის ნატოს ინტერესებში, ქვეყანა ხდება ნატოს წევრი. ჩვენ ასევე ყოველთვის ვამბობთ, რომ არ უნდა იყოს ქვეყნები ნატოს გარეთ, რომლებსაც ექნებათ ვეტოს უფლება, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი არ იქნება თანახმა, თუ შევთავაზებთ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი 1, 2 ან 3 წელიწადში. ამ საკითხზე ჩვენ აქამდე არ მიგვიღწევია კონსენსუსს, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს კიდევ ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი — ეს არის როგორც თავდაცვისუნარიანობის განვითარება, ასევე პოლიტიკური რეფორმები, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავხუროთ კარი არავისთვის, მათ შორის, არც საქართველოსთვის, თუმცა ამას გარკვეული დრო დასჭირდება“, — განაცხადა რინკევიჩსმა.

# ამერიკული დემოტრაკიის რუპორები

# «დემოკრატია გინდებლარიენ?» — WITH PLEASURE





**ვინ მოთვლის, რამდენი უბედურება გადაუტანია საქართველოს თავისი არსებობის განმავლობაში, განსაკუთრებით — დასავლური ფასეულობებისკენ სწრაფვის ბოლო წლებში; ე.წ. ამერიკული დემოკრატიის დამცველთა რამდენი სისულელე მოუსმენია მიამიტურად თუ ბოროტი მიზნებით ნათქვამი, მაგრამ ის, რაც ორიოდე დღის წინათ განაცხადეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, სამპროცენტიანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკელების წარმომადგენელმა პაატა ზაქარეიშვილმა და უამრავი დანაშაულის ჩამდენი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა „სახემ“, მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად „რუსთავი 2“-ის შეფმა ნიკა გვარამიამ, ყოველგვარ ზღვარს სცდება.**

აი, რა განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა:

„დღეს ჩვენი ხელისუფლების ამოცანა არის არა სტატუსის (აფხაზეთის, აფხაზების — რედ.) განსაზღვრა, არამედ მთავარი ამოცანაა, რამე შეცდომა არ დავუშვათ და რუსეთმა ახალ პროვოკაციაში არ ჩაგვითრიოს. სულ ასე აღარ იქნება. საქართველო მშვიდობიანად განვითარდება, გახდება ევროპული სახელმწიფო და მერე დაუდგება სტატუსის განსაზღვრის ამოცანა. მანამდე საზოგადოებაში უნდა იყოს მსჯელობა ამ თემაზე და არა მთავრობაში. საზოგადოება მომწიფებული უნდა იყოს იმ დროისთვის, როცა დადგება საკითხი, როგორი მოწყობა გვინდა საქართველოში. ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა — ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. **აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ, გვინდა, ერთია და როგორ ვაპირებთ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას — მეორე“.**

აი, ასე გადაუსვა ხაზი პაატა ზაქარეიშვილმა საქართველოს ისტორიას, აი ასე დაგვანახვა „ევროპული რეალობა“ ამერიკელების მითითებით „ქართული ოცნების“ თავკაცის ხელდასხმულმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, რომლის უპირველესი ფუნქცია და ამოცანა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, ლტოლვილთა და მათი შთამომავლების უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობაა“.

აი, ეს არის ამერიკული დემოტრაკიით გაზულუქებული მინისტრის აზრი საქართველოს ძირძველ მიწაზე, სადაც უამრავი ქართველის სისხლია დაღვრილი. **თუ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი, მაშ, რისთვის ვიბრძოდით იქ ან რატომ არის პაატა ზაქარეიშვილი დევნილთა აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების საკითხთა სახელმწიფო მინისტრი? — იმიტომ, რომ კარგი ხელფასი ჰქონდეს (პენსიონერის ხელფასზე 20-ჯერ მეტი), პრემიებიც გამოიწეროს და მანქანა ემსახურებოდეს?!**

### გვარამიასა და სააკაშვილს აჭარა და კახეთიც რომ გაეჩუქებინათ (თუმცა აჭარა თითქმის გააჩუქეს) ისევე, როგორც კოდორის ხეობა და სამაჩაბლოს «რამდენიმე სოფელი», ვაზის, მანდარინისა და ჩაის პრობლემაც აღარ ექნებოდათ ამ საქართველოსთვის დამაშვრალ «პატრიოტებს»

ახლა კი ნიკა გვარამიას ფრთიანი ფრაზები (სტილი დაცულია):

„ვუყურებ ვოქსპოპს შაბათის კურიერში, თემაზე, რამდენად ადეკვატური იყო თურქეთის რეაქცია რუსეთის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევაზე. ჩემი დაკვირვებით:

1. ქართველი ქალები (საბჭოთა კავშირში დაბადებულები) ბევრად გამბედავად გამოთქვამენ რუსეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც რაც უფრო ხანდაზმული — მით უფრო შეშინებული.

**2. კახეთი და აჭარა განსაკუთრებით პრორუსულ განწყობებს ავლენენ. ხოდა, ეს დაბალრენტაბელური და დაბალხარისხიანი ყურძენი და მანდარინი (რომლის გასაღების ერთადერთ ბაზრად განიხილება რუსეთი) არა მარტო ეკონომიკური დაცემის აგენტებია, არამედ სტრატეგიული საშიშროებისაც. დროზე თუ არ მოვიშორეთ, არც ეკონომიკას ეშველება და არც უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას. P.S. და ამ დროს, უკვე თითქმის მოშორებულ ჩაის ისევ გაცოცხლებას უპირებს მოქმედი მთავრობა“.**

აი, რას ნიშნავს დემოკრატია და თავისუფლება ამერიკულად! ამ მართლა აგენტსა და სისხლში ამოთხვრილი „ნაცმოძრაობის“ შეფის, მიხეილ სააკაშვილის ხელისბიჭს, რომელიც თავის შეფთან ერთად გეგმავდა, სიტყვის თავისუფლების დაცვის საბაბით, როგორ მოეწყოთ არეულობა ქვეყანაში ბავშვიანი დედის მკვლელობით, ჰგონია, რომ ხალხს დაავიწყდა, ვინ იყო მთავარი პროკურორის მოადგილე, რომელმაც 2007 წელს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და ჟურნალისტის ცემა „გააპრავა“, ვინ წერდა სცენარებს, რომლის მიხედვითაც სრულიად უდანაშაულო ადამიანებს სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით იჭერდნენ.

**ზაქარეიშვილსა და გვარამიას ამ ფრაზების მიზანი არის ერთადერთი — რუსეთის წარმოჩენა საფრთხედ. რუსეთი, მხოლოდ რუსეთი არის საქართველოს ყველა უბედურების სათავე, ამერიკა კი, რომელიც მიშა სააკაშვილის რეჟიმს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა, საქართველოს ამყვავებელია და სწორედ ამერიკა დაგვიცავს, თუ მის მიერვე პროვოცირებული დაპირისპირება რუსეთსა და თურქეთს შორის (ისევე როგორც უკრაინასა და რუსეთს შორის) ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება; ამერიკა, რომელმაც „ვარდების რევოლუცია“ მოგვიწყო და 9 წლის განმავლობაში თავზე დაგვასვა სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმი, ამერიკა, რომელმაც, სადაც კი ფეხი დაადგა, ყველგან სისხლის გუბეები დააყენა.**

**ისე, გვარამიასა და სააკაშვილს აჭარაც და კახეთიც რომ გაეჩუქებინა (თუმცა აჭარა თითქმის გააჩუქეს) ისევე, როგორც კოდორის ხეობა და სამაჩაბლოს „რამდენიმე სოფელი“, ვაზის, მანდარინისა და ჩაის პრობლემაც აღარ ექნებოდათ ამ საქართველოსთვის დამაშვრალ „პატრიოტებს“.**

ჰო, ავჩეხოთ ვაზი, მანდარინი, ჩაი და ამერიკული დემოკრატიის შესაბამისად მოვამრავლოთ სიროსკიპოები, პედერასტები, ლესბოსელები და ისედაც დაცოტავებულ საქართველოში ქართველი საერთოდ აღარ დარჩება. აი, ასეთი „დემოკრატია უნდებლარიან“ (როგორც თავის დროზე თქვა შს ყოფილმა მინისტრმა შოთა გორგოძემ) ზაქარეიშვილსა და გვარამიას.

*** სახელმწიფო მინისტრი** (თანაც, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დევნილებისა და ლტოლვილების საკითხების), რომელიც ამტკიცებს, რომ „აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში“, ან სრული უვიცია, ან საქართველოს მტერი, რომელსაც ოდნავადაც არ ანაღვლებს აფხაზეთიდან დევნილი 250 ათასზე მეტი ადამიანის ბედი.

*** ადამიანი,** რომელიც ქართველებს საქართველოში — ღვინის სამშობლოში — ვაზის აჩეხვისა და მანდარინისა და ჩაის განადგურებისკენ მოუწოდებს, ამას იმით ხსნის, რომ ყურძენი, მანდარინი და ჩაი „უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას“ აღძრავსო — უვიცი არ არის, ის საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ძალის ინტერესებს ემსახურება და ისევე, როგორც სააკაშვილი, ამერიკის „ძაღლიშვილია“.

*** ადამიანები,** რომლებიც კვლავაც მხარს უჭერენ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“, მიუხედავად 9-წლიანი ძალადობისა და სააკაშვილის დარიგებისა „ბავშვიანი ქალი უნდა მოკლან“-ო, ან „თავისუფალი სიტყვის ბაირახტარი“, ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიის მიერ არიან ზომბირებულები, ან ისინიც ამერიკელთა „ძაღლიშვილები არიან“.



## ერდოღანი: ასეთი რამ აღარ განმეორდება

**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი შეშფოთებულია რუსეთთან ურთიერთობის შესაძლო გაწყვეტით და ამბობს, რომ მსგავსი ინციდენტი (რუსული Сუ-24-ის ჩამოგდება) აღარ განმეორდება.**

„ამ ინციდენტმა ჩვენ ძალიან დაგვამწუხრა. ვიმედოვნებ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. ამ საკითხს განვიხილავთ და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ“, — განაცხადა ერდოღანმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ 30 ნოემბერს პარიზში კლიმატის შესახებ გაეროს ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე შეხვდებოდა და დაელაპარაკებოდა რუსეთის პრეზიდენტს, მაგრამ ვლადიმერ პუტინმა მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფრანგი დეპუტატი: მას შემდეგ, რაც თურქეთმა СУ-24 ჩამოაგდო, ამ ქვეყანასთან ევროკავშირმა მოლაპარაკებები არ უნდა აწარმოოს

**„ევროკავშირის იდეა თურქეთის მოქალაქეებისთვის ვიზების ლიბერალიზაციის შესახებ უპასუხისმგებლოა, ხოლო მოლაპარაკებების განახლება ამ ქვეყნის შესვლაზე ევროკავშირში — აღმაშფოთებელი“, — განაცხადა საფრანგეთის ეროვნული საკრებულოს დეპუტატმა ნიკოლა დიუპონ-ენიანმა.**

„ევროკავშირმა არ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ვიზების ლიბერალიზაციაზე თურქეთთან მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ რუსული თვითმფრინავი Сუ-24 ჩამოაგდო“, — ასეთია საფრანგეთის ეროვნული საკრებულოს დეპუტატის, პარტია „აღსდეგ, საფრანგეთოს“ ლიდერის — ნიკოლა დიუპონ-ენიანის თვალსაზრისი ევროკავშირის ხელმძღვანელთა განზრახვაზე, რომ თურქეთს 3 მლრდ ევრო გამოუყონ ევროპაში შესვლის მსურველი მიგრანტების ნაკადის შესამცირებლად, აგრეთვე, თურქეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ვიზების ლიბერალიზაციაზე. **„გარდა იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებას ხალხებთან (ევროკავშირის — რედ.) კონსულტაციის გარეშე აპირებენ, ეს ხდება იმ მომენტში, როდესაც თურქეთმა რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდო და ეს ქვეყანა კვლავაც განაგრძობს ორმაგ თამაშს „ისლამურ სახელმწიფოსთან“. ეს კარგი ჯილდოა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ბომბავს ჩვენს უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში. ეს ყველაფერი ხდება საფრანგეთის მთავრობის თანხმობით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ევროკომისიის თავმჯდომარის — ჟან კლოდ იუნკერის დიქტატს.** ეს უნდა დასრულდეს. საფრანგეთმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს თურქეთთან მოლაპარაკების დაუყოვნებლივ შეჩერება და შეწყვეტა მილიარდების გადარიცხვისა ქვეყნისთვის, რომელიც მალულად გვებრძვის“, — განაცხადა დიუპონ-ენიანმა.





# «ნატო — მკვლელი!» — სკანდირებდნენ ჩერნოგორიელები აშშ-ის საელჩოსთან გამართულ მიტინგზე

**30 ნოემბერს ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში საპროტესტო აქცია გაიმართა. პოდგორიცელები ქუჩაში ჩერნოგორიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესაძლო გაწევრების გასაპროტესტებლად გამოვიდნენ. დემონსტრანტებმა მარშით გაიარეს მანძილი პეტრე ცეტინსკის მონუმენტიდან აშშ-ის საელჩომდე.**

საპროტესტო აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ პლაკატები „ნატოში — არასოდეს!“ და სკანდირებდნენ: „ნატო — მკვლელი“, „ეს არ არის ჩერნოგორიელი ხალხის სურვილი“.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 20 ნოემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნატოს წევრად ჩერნოგორიის მიღების საკითხი 1-2 დეკემბერს გადაწყდება ბრიუსელში, ალიანსის ყველა წევრი-სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას.




# აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ექსშეფი: რუსეთმა კარდინალურად შეცვალა ვითარება სირიაში. ვაშინგტონმა მოსკოვთან უნდა ითანამშრომლოს

**„ვაშინგტონმა აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს მოსკოვთან. „ისლამურ სახელმწიფოზე“ გასამარჯვებლად უნდა მოიძებნოს და განადგურდეს ამ რადიკალური დაჯგუფების ხელმძღვანელობა, აგრეთვე, გადაიკეტოს ფინანსური წყაროები“, — განაცხადა აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ყოფილმა შეფმა მაილ ფლინმა.**



„რუსეთის მოქმედებამ სირიაში კარდინალურად შეცვალა ვითარება. აშკარაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-მა თანამშრომლობა უნდა დაიწყოს რუსეთთან“, — განაცხადა აშშ-ის დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა გერმანული გამოცემა „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**„ჩვენ გვჭირდება მოსკოვთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. რუსეთმა სამხედრო მოქმედებები დაიწყო სირიაში და ამან ძირფესვიანად შეცვალა ვითარება“**, — განაცხადა მაიკლ ფლინმა და აღნიშნა, რომ პარიზის ტერაქტების შემდეგ, რომლებმაც 130 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა დახმარება სთხოვა როგორც ვაშინგტონს, ისე მოსკოვს.

ფლინის აზრით, „ისლამური სახელმწიფოს“ დასამარცხებლად მხოლოდ ავიადარტყმები საკმარისი არ არის.

**„ჩვენ ვერ შევძლებთ მტრის დამარცხებას საჰაერო სივრციდან. „ისლამური სახელმწიფო“, პირველ რიგში, დაკავებული ტერიტორიებიდან უნდა განიდევნოს, შემდეგ უზრუნველვყოთ უსაფრთხოება და სტაბილურობა. ლტოლვილები კი სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. ბუნებრივია, ეს არ მოხდება სწრაფად, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვძებნოთ და გავანადგუროთ „ისლამური სახელმწიფოს“ ზედა ეშელონები, დავანგრიოთ მათი ქსელი, გადავკეტოთ მათი ფინანსური წყაროები და დავრჩეთ იქ, ვიდრე სიმშვიდე არ დაისადგურებს“**, — განაცხადა ფლინმა.

სირიაში 2011 წლიდან გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი, რომელსაც, გაეროს მონაცემებით, 220 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სირიის სამთავრობო ძალებს სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების „ბოევიკთა“ რაზმები უპირისპირდებიან. ყველაზე მეტად აქტიურობენ ექსტრემისტული დაჯგუფებების — „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯებჰათ ან-ნუსრას“ მებრძოლები.

# გერმანიის იუსტიციის მინისტრი: ლტოლვილებისთვის გერმანიის საზღვრების დახურვა ქაოსს გამოიწვევს

**„საზღვრები რომ დავხუროთ, ლტოლვილები გერმანიის ტერიტორიაზე შემოჭრას მხოლოდ საკონტროლო-გამშვები პუნქტებიდან კი არ შეეცდებიან, არამედ სხვა ადგილებიდანაც. ეს კი კიდევ უფრო ქაოსურ ვითარებას შექმნის“, — განაცხადა გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ჰაიკო მაასმა გაზეთ Welt am Sonntag-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**



„საზღვრების დახურვა კონტრპროდუქტიული იქნება და ამ ვითარებაში ქაოსის გაგრძელებას გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში ლტოლვილები გერმანიის ტერიტორიაზე შესვლას არა საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან, არამედ სხვა ადგილებიდან შეეცდებიან, რაც კიდევ უფრო ქაოსურ ვითარებას შექმნის და მისი პროგნოზირება რთული საქმე იქნება“, — განაცხადა გფრ-ის იუსტიციის მინისტრმა. უფრო ადრე მმართველი პარტიების — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ექსპერტებმა საშინაო პოლიტიკის საკითხებში წამოაყენეს წინადადება, დროებით შეეჩერებინათ სრულწლოვანი ლტოლვილების მიღება, მაგრამ გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** უარყო ეს ინიციატივა, თუმცა აღიარა, რომ გერმანიისთვის აუცილებელია ლტოლვილების რაოდენობის შემცირება.

გერმანიის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მხრიდან საზღვრების დახურვა „ბალკანეთის მიმართულებით“, საიდანაც გერმანიაში გადადიან ლტოლვილები, გამოიწვევს „დომინოს ანარქიულ ეფექტს“, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების გამორიცხვაც არ შეიძლება, თუ ევროკავშირის წევრები ერთობლივ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ ამ საკითხზე. **„ევროკავშირის მოსაზღვრე ქვეყნებს უკვე შეუძლიათ, გააკეთონ პროგნოზი, რომ ევროპაში დაწესდება შეზღუდვები, თუკი კვლავაც გაგრძელდება ამდენი ადამიანის სწრაფად შემოსვლა“**, — განაცხადა მაასმა.

2015 წელს გერმანიაში რეგისტრირებულია 950 ათასი დევნილი. მიმდინარე წლის 10 თვეში კი ევროკავშირის ტერიტორიაზე 1,2 მიგრანტი შევიდა. ეს ყველაზე მასშტაბური მიგრაციული პროცესია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

# ამერიკული ხარახურა უკრაინელებისთვის

**ვაშინგტონმა კიევს არალეტალური სამხედრო დახმარება გაუწია, ამ დახმარების ღირებულება 260 მლნ დოლარია, თუმცა სინამდვილეში ამ აღჭურვილობის ნაწილი ჯართია და მეტი არაფერი.**

ამერიკულმა გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ აშშ-ის მიერ უკრაინისთვის მიწოდებული ტექნიკისა და შეიარაღების არცთუ მცირე ნაწილი ძალიან მოძველებულია. 1980-იან წლებში გამოშვებული ყველგანმავალი მანქანები მოძრაობის დაწყებისთანავე დაიშალა. ჯავშანჟილეტებს კი, რომლებიც უკრაინელებს გადასცეს, აშშ-ის არმია, წლებია, აღარ იყენებს. გამოცემა წერს, რომ უკმაყოფილო უკრაინელი სამხედროები, რომლებიც დონბასში იმყოფებიან, ამერიკულ დახმარებას „მეორეხარისხოვან ხარახურას“ უწოდებენ.



ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1920 წლის ივლისში, როცა აჭარა (ბათუმის ოლქი ართვინითურთ) დავიბრუნეთ, ქვეყნის ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა მაქსიმუმს მიაღწია. ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა.**

გელა ხუციშვილი:

# თურქეთს მითვისებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 23 ათასი კვადრატული კილომეტრი თავისი მოსახლეობით

**„რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის შემდეგ, 1878 წლის 19 დეკემბერს სან-სტეფანოში დადებული სამშვიდობო ზავის მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, გამარჯვებულმა რუსეთმა დამარცხებულ თურქეთს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, კონტრიბუციის გადახდა მოსთხოვა — 1 მილიარდ 410 მილიონი რუბლის ოდენობით, მაგრამ, რადგან თურქეთის ხაზინა ცარიელი იყო, ოსმალეთის სულთანმა რუსეთის იმპერატორს ფულის ნაცვლად აჭარა, ართვინი და არტაანი გადასცა. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადებული მეგობრობის ხელშეკრულებით, რუსებმა აღნიშნული ტერიტორიები, დღევანდელი აჭარის გამოკლებით, თურქეთს უკან დაუბრუნეს.“ — წერია ისტორიულ წყაროებში. თუ რუსეთი მოსკოვის ხელშეკრულების დენონსირებას მოახდენს, მაშინ საქართველოს თეორიულად უფლება აქვს, ან ტერიტორიები მოითხოვოს უკან, ან თურქეთმა ფული გადაგვიხადოს (დასაანგარიშებელია ვალუტის კურსი). ჰო, კიდევ ერთი მომენტი: თურქეთის ქემალისტურმა მთავრობამ 1921 წლის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად აღიარა არსებულ საზღვრებში, ანუ ართვინისა და არტაანის ჩათვლით,“ — ასე, ნახევრად ხუმრობით გამოეხმაურა სოციალურ ქსელში ხელშეკრულების დენონსირებასთან ატეხილ აჟიოტაჟს ანალიტიკოსი სიმონ კილაძე.**

**ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებების დეტალებზე „საქართველო და მსოფლიოს“ სასაზღვრო საკითხების ექსპერტი გელა ხუციშვილი გვესაუბრა.**

**— ბატონო გელა, რატომ შეიქნა საჭირო 1921 წელს ყარსის ხელშეკრულების დადება?**

— ყარსის ხელშეკრულება როდესაც გაფორმდა, იმაზე ფიქრის დრო არ იყო, რამდენად საჭირო იყო ეს ჩვენთვის. ხელშეკრულების დადებას წინ საინტერესო პროცესები უძღოდა. ამ თემაზე დღეს ბევრი მეცნიერი მუშაობს. და სჯაბაასი მათ წრეს არ სცილდება. **სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაში სახელმწიფოებრივად აზროვნების დეფიციტია.**

„ყარსის ხელშეკრულება“ „მოსკოვის შეთანხმების“ გამეორება და დადასტურებაა. ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ ქვეყნის სათავეშია და თურქეთის დელეგაცია საქართველოს გავლით მოსკოვში მიემგზავრება. თურქეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულია, როგორც გერმანიის მოკავშირე. რუსეთი და თურქეთი დასაყრდენს ეძებენ. ამ დროს ჩნდება ათათურქი, რუსეთი მხარდაჭერას უცხადებს მას და ბევრი რამ პოლიტიკური მხარდაჭერის მიტივით ხორციელდება.

**„მოსკოვის ხელშეკრულება“ ერთი-ერთზე იმეორებს ბრესტის ზავს.**

მოლაპარაკება, რომელიც ყარსში იწყებოდა და დოკუმენტი, რომელზეც მხარეებს ხელი უნდა მოეწერათ, ქართული დიპლომატიის ისტორიაში ყარსის კონფერენციისა და ყარსის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი, მანამდე კი დელეგაციებს წინ ორკვირიანი შეხვედრები, ხანგრძლივი მსჯელობა, მწვავე დისკუსიები და ეროვნულ სირცხვილზე ხელმოწერა ელოდებათ. ეს მოხდა მოგვიანებით — 1921 წლის 13 ოქტომბრის ნაშუადღევს, ყარსის ვალის რეზიდენციაში...

**ყარსის კონფერენციას წინ უსწრებდა არაერთი დრამატული მოვლენა. ყარსის ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული საიდუმლოებით მოცული ზოგიერთი ფაქტი საქართველო-თურქეთისა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობიდან, რომლებიც თავის დროზე არ გახმაურებულა და მკვლევარებისთვის ნაწილობრივ ცნობილი მხოლოდ 1990-იან წლებში გახდა, თუმცა არქივები კიდევ ინახავს ბევრ უცნობ დოკუმენტს.**

საქართველო-თურქეთის (ოსმალეთის) ურთიერთობა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან; უფრო მეტიც: ხშირად ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა საქართველოს ბედს. ასე იყო XVIII საუკუნეში (იასის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1792 წ.); XIX საუკუნეში (ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1829 წ.; სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება, 1878 წ.). **საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ზავი, რომლის თანახმად, რუსეთის იმპერიამ დამარცხებული ოსმალეთისგან ისტორიული ქართული ტერიტორიები (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.) მიიღო.**



**1878-79 წლების ომის შედეგების მიხედვით, რუსეთის იმპერიამ ბათუმი და ართვინ-არტაანი ოსმალეთისგან კონტრიბუციის სახით მიიღო,** სან-სტეფანოს ხელშეკრულებით და მოგვიანებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, დადგენილი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი იურიდიულად უცვლელი იყო 37 წლის განმავლობაში. **პირველი მსოფლიო ომის კავკასიის სამხედრო თეატრს კორექტივები შეჰქონდა სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებში: ბათუმსა და ართვინს ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918 წლის ზავის შედეგად), მოგვიანებით კი, ოსმალეთის დამარცხების შემდგომ (მუდროსის 1918 წლის ზავით), ბრიტანელები დაეუფლნენ, არტაანი კი პროთურქული ელემენტებისგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე.წ. ყარსის რესპუბლიკამ ჩაიგდო ხელში.** საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო: **1920 წლის ივლისში, როცა აჭარა (ბათუმის ოლქი ართვინითურთ) დავიბრუნეთ, ქვეყნის ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა მაქსიმუმს მიაღწია. ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა.**

აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს 1920 წლის შემოდგომაზე, როცა კომუნისტურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს.

1921 წლის 16 მარტი. მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ხელი უნდა მოეწეროს რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებას. სხდომათა დარბაზში შედის თურქეთის დელეგაცია: ეკონომიკის მინისტრი **იუსუფ ქემალ თენგირშენქი** (მეთაური); თურქეთის ელჩი რუსეთში, გენერალი **ალი ფუატ ჯებესოი;** საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **რიზა ნური-ბეი...**

**გიორგი ჩიჩერინი** თურქ დიპლომატებს იწვევს მაგიდასთან, სადაც ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტი დევს. დგება მნიშვნელოვანი მომენტი: დოკუმენტს ხელს ჯერ ჩიჩერინი და სრულიად რუსეთის ცკ-ის წარმომადგენელი **ჯელალ კორკმასოვი** აწერენ, შემდეგ კი **იუსუფ ქემალი, რიზა ნური** და **ალი ფუათი.**

**ქართველთა დაუკითხავად, თბილისიდან შორს, მოსკოვში, ხელმოწერილი რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებით გადაწყდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიებისა და საზღვრების ბედი.**

**მოსკოვის ხელშეკრულებითაა „დაბადებული“ ყარსის ხელშეკრულებაც.**

**მოსკოვის ხელშეკრულებაში ჩადებულია: რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა კონკრეტული ხელშეკრულების დამოწმებაში. უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგ სამი რესპუბლიკა: სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ხელს აწერენ ყარსის ხელშეკრულებას. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ უბედურება იქ იწყება, სადაც გაურკვევლობაა.**

თურქებმა მიიღეს „ახალ დათქმა“, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში თურქეთის ტერიტორიის აღდგენას ითვალისწინებდა. ეს სივრცე „მოსკოვის ხელშეკრულებაში“ ისეა მოხსენიებული, როგორც თურქეთის ტერიტორია. ეს იყო სარფიდან აქეთ, ბათუმისკენ ტერიტორია. **ყარსის ხელშეკრულებაში თურქეთი დიდსულოვნად უთმობს თავის უფლებას რუსეთს ბათუმზე.**

დღეს ამბობენ, რომ ყარსის დოკუმენტის დენონსაცია მოხდებაო. ეს ფაქტი საქართველოს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა, ჩარჩო ხელშეკრულების მიღებისას. **საქართველო დღემდე ვერ გაერკვია, რომელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეები ვართ — თუ პირველი რესპუბლიკის, მაშინ არანაირი კავშირი არ გვაქვს ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებებთან; თუ მეორე რესპუბლიკის, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა, საზღვრები განსაზღვრული გვქონდა.**

**ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია შეუძლებელია, რადგან სამი ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ეს კი გამორიცხულია, რადგან ეს აზერბაიჯანისთვის ნახიჭევანის საკითხის წამოწევას ნიშნავს და მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.**

**— ვის აძლევს ხელს ამ ხელშეკრულების დენონსაცია — რუსეთს თუ თურქეთს?**

— არავის. საქართველო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულება აქვს მიღებული, რომლის პრეამბულაშიც ლაპარაკია ყარსის ხელშეკრულებაზე. 1999 წელს, როდესაც ამ დოკუმენტის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო 10 წლის ვადით, გენერალმა **ვალერი ჩხეიძემ** საკმაოდ პრინციპულად დააყენა საკითხი, ტექსტიდან ამოეღოთ ფრაზა: **„მხარეები აღიარებენ ერთმანეთის მიმართ კეთილმეზობლობას, მეგობრობას, საზღვრების ურღვევობას, ამავე დროს აღიარებენ ყველა გაფორმებულ ხელშეკრულებას, მათ შორის, ყარსისაც“. ამ სიტყვებმა „მათ შორის, ყარსისაც“ გააცოცხლა ისედაც სადავო და არც თუ სასურველი ყარსის ხელშეკრულება. საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტის განახლება უნდა მომხდარიყო ყოველ ხუთ წელიწადში, ეს დღემდე გრძელდება.**

ჩვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ყარსის ხელშეკრულებით რეგულირდებოდა საზღვრების თემა და აღარ გადაისინჯებოდა, მაგრამ საქართველომ 1991 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, აქტში შეიტანა, რომ საქართველო პატივს სცემს ვენის კონვენციით დადგენილი საზღვრების ურღვევობის პრინციპს და მეზობლებთან ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წამოაყენებს.

**როდესაც ოკუპაციაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთს მითვისებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 23 ათასი კვადრატული კილომეტრი თავისი მოსახლეობით.**

პოტსდამის კონფერენციაზე დადგა თურქეთის საზღვრების გადასინჯვის საკითხი, მაგრამ პრინციპული პოზიცია დაიკავა ინგლისმა, 1947 წელს ამერიკის ჩარევამ კი საერთოდ დახურა ეს თემა, რადგან ამერიკას რუსეთის გაძლერება არ სურდა.

**საქართველო გამოუვალ მდგომარეობაშია. ვილაცას შეიძლება ახარებდეს რუსეთ-თურქეთს შორის სიტუაციის დაძაბვა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ამით არ გამოსწორდება. არსებული ვითარება არჩევანის საშუალებას გვისპობს. თუ საზღვრების ამბები არ მოვაწესრიგეთ და არ გავარკვიეთ, „ისლამური სახელმწიფოდან“ წამოსული ნაკადი თავისუფლად შემოვა საქართველოში.**

აუცილებელია ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა და მასთან ერთად მოქმედება — 800-კილომეტრიან საზღვარზე, ჩრდილოეთის მხარეს, უძლიერესი მეზობელი გვყავს. აუცილებელია, ჩვენი დიპლომატია მიმართული იყოს საზღვრების დადგენაზე.

**— დავუბრუნდეთ ყარსის ხელშეკრულებას. რაც დღეს მსოფლიოში ხდება, რამდენიმე წლის წინათ შეუძლებლად მიგვაჩნდა. ხომ შეიძლება, ყარსის ხელშეკრულებასაც დაემუქროს რამე?**

— ვიმეორებ: ყარსის ხელშეკრულებას ვერავინ შეეხება. თურქეთმაც და რუსეთმაც ჯერ მოსკოვის ხელშეკრულება უნდა გააუქმონ, უნდა ისაუბრონ.

**— და მაინც, რატომ ფიქრობთ, რომ რუსეთმა შეიძლება ეს საკითხი წამოსწიოს?**

**— თურქეთის ხელისუფლებაში ერდოღანის მოსვლის შედეგ, ათათურქის მიერ მიღებული „ახალი დათქმა“, რომელიც თურქეთის ტერიტორიის ოსმალური იმპერიის საზღვრებში დაბრუნებას გულისხმობს, იურიდიული ძალის დოკუმენტად გამოცხადდა. „ახალი დათქმის“ თანახმად, თურქეთი აჭარას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.**

ყარსის ხელშეკრულებაზე საუბარი ნაადრევია, თან ამას რუსეთი ვერც შეძლებს, რადგან ხელმომწერი არ არის.

**დროა, საქართველომ ამოიღოს ხმა და დაიწყოს სერიოზული მუშაობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან. ხვალ რომ ქურთი მეამბოხეები თურქებთან შეტაკების შემდეგ ჩვენკენ დაიძრან, თურქები არ გამოჰყვებიან? ეს კი, პირველ რიგში, საქართველოს და შემდეგ რუსეთის ინტერესებს შეუქმნის საფრთხეს.**

ყარსის ხელშეკრულება არ გვიცავს, მეტიც: რაც იქ წერია, იმაზეც თურქეთს შეზღუდვები უნდა დაუწესდეს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„აშშ-უკრაინა-თურქეთი-„ისლამური სახელმწიფო“ — აი იარაღის მიწოდების მარშრუტი. „ისლამური სახელმწიფო“-თურქეთი-უკრაინა(სააკაშვილი)-ევროპა“ და „ისლამური სახელმწიფო“-თურქეთი-ისრაელი-ევროპა“ — აი ნავთობისა და ნარკოტიკების მიწოდების მარშრუტები. ამიტომ ისწრაფვის თურქეთი რუსეთთან ომის ოფიციალურად გამოცხადებისკენ, რათა მონტრეს კონვენციით უფლება მიიღოს, რუსეთს დაუხუროს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, რატა იქ ვეღარ შევიდნენ რუსული სამხედრო ხომალდები, რომლებმაც სირიის სანაპიროებიდან რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერაციის მხარდაჭერა უნდა განახორციელონ.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ერდოღანი-2015 — ეს არის სააკაშვილი-2008 და პოროშენკო-2014

# «ნატო შემოვა საქართველოში, მაგრამ უკვე თურქეთის სახით»



**შემთხვევითი დამთხვევები არ არსებობს: თურქებმა რუსული „სუ-24“ გენერალისიმუს სუვოროვის დაბადების დღეს ჩამოაგდეს — 24 ნოემბერს. სანამ მოვყვები, რატომ გადაწყვიტეს თურქებმა მათი მრავალგზის დამმარცხებელი ალექსანდრე სუვოროვის დაბადების 285-ე წლისთავზე რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება, მეხსიერებასთან მწყრალად მყოფ თანამემამულეებს რამდენიმე ფაქტს შევახსენებ:**

თურქებს არასოდეს უყვარდათ ქართველები და არც შეიყვარებენ — ქართული მართლმადიდებლური კულტურა იყო და რჩება მათთვის გამაღიზიანებელ ფაქტორად. ისინი საუკუნეების განმავლობაში ანადგურებდნენ ქართველებს და ამას კვლავაც აგრძელებენ ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მოლოდინში. 2021 წელს კი თურქები იმედოვნებენ, რომ აამოქმედებენ თავიანთი გენშტაბის საიდუმლო გეგმას, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გვაფრთხილებდა ქართველი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.**

2006 წელს მასალაში „მალთუსის თეორია, ანუ თურქეთის ახალი ვილაიეთი“ ვწერდი, რომ ყარსის ხელშეკრულების ამოწურვისას აჭარის ავტონომია თურქეთის განკარგულებაში გადავა. თურქეთის ახალ ვილაიეთად იქცევა „ბათუმ-კალე“, შესაბამისად, ბათუმის საჰაერო და საზღვაო პორტები — თურქეთის შიდა პორტებად, როგორც თურქულ რუკებზეა აღნიშნული, თუმცა თურქებს შეუძლიათ, თბილისამდეც მოვიდნენ. ამ შემთხვევაში თავისუფლების მოედანზე აღმართული სვეტიდან წმინდა გიორგის ჩამოაგდებენ და მის ადგილას მუსტაფა ქემალ ათათურქის ძეგლს აღმართავენ.

თურქეთის პროვინციად გადაქცევისთანავე საქართველო ნატოში შევა, მაგრამ როგორც თურქეთის — ალიანსის ძველი წევრის — შემადგენელი. უფრო ზუსტად, ნატო შემოვა საქართველოში, მაგრამ თურქეთის სახით. **ახალი ვილაიეთის — „გურჯისტანის“ — მმართველი გახდება თურქი პარტნიორების საყვარელი ქალის, თურქოლოგ გიული ალასანიას სულელი შვილი.**

**სწორედ ამ გეგმას განიხილავდა სარფის თურქულ მხარეზე მიშა სააკაშვილი დედიკო გიულისთან და თავის თანამოაზრეებთან შეხვედრისას. ეს გეგმები ცნობილია სამცხე-ჯავახეთის სომხებისთვის, რომლებიც მოვლენათა ამგვარი განვითარებისას მხარის ავტონომიას გამოაცხადებენ, საქართველოს შემადგენლობიდან გავლენ და სომხეთს შეუერთდებიან.**

1921 წლის 13 ოქტომბერს 100 წლით დადებული ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 6 წელი დარჩა და ამ პერიოდში თურქეთი უწინდებურად განაგრძობს საქართველოს დაპყრობას ეკონომიკურად — ენერგეტიკასა და ეკონომიკაში, სამშენებლო, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესებში ჩანერგვით, ქართული ბაზრის მავნე პროდუქტებითა და უხარისხო საქონლით შევსებით. ქართველი ქალები გაჰყავთ თურქეთში, სადაც ისინი პროსტიტუციითა და მოსამსახურეობით შოულობენ ლუკმაპურს. **თურქებს არ უყვართ საქართველო და ქართველები, მაგრამ უყვართ ქართველი ქალები.**

საქართველოში თურქეთის გეგმებისთვის ხელის შეშლა მხოლოდ რუსეთს შეუძლია, როგორც ეს გააკეთა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატით; რუსეთს, რომელიც ბოლო 300 წლის განმავლობაში 30-ჯერ ეომა თურქეთს და 30-ჯერვე გამარჯვებული გამოვიდა!

ერდოღანი-2015 — ეს არის სააკაშვილი-2008 და პოროშენკო-2014. 2015 წლის 24 ნოემბერს რუსული „სუ-24“-ის ჩამოგდებით თურქეთის პრეზიდენტი იმავე მიზანს ისახავდა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი 2008 წლის 8 აგვისტოს, როდესაც ცხინვალში რუს მშვიდობისმყოფელებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა, კონკრეტულად კი — რუსეთისა და ამერიკის შუბლით დაჯახებას, მაგრამ აშშ „არ ავარდა“ და ეს პროვოკაცია ჩავარდა. ერდოღანი მალე სააკაშვილის გზას დაადგება — მას სამშობლოდან სამარცხვინოდ გააძევებენ, თუკი ქართველებზე ნაკლებად გულკეთილმა თურქებმა იქვე არ ჩაქოლეს. იგივე მიზანი ჰქონდა უკრაინის პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოსაც**, როდესაც 2014 წლის 17 ივლისს დონეცკის თავზე მალაიზიის ავიაკომპანიის „ბოინგ 777“ ჩამოაგდო.

შედეგად, თურქეთი საქართველოსა და უკრაინასავით დაკარგავს ტერიტორიულ მთლიანობას: სომხები დაიბრუნებენ არარატსა და ყარსს, ბერძნები — კონსტანტინოპოლს, ქართველები — ტაოკლარჯეთს (ართვინს, არდაღანსა და ერზერუმის ნაწილს), ხოლო ქურთების ავტონომიას ოფიციალურად აღიარებენ.

რასაკვირველია, ამერიკაც, როგორც ყოველთვის, სხვისი ხელით მისდევს თავის მიზანს: ჩაითრიოს რუსეთი თურქეთთან ომში და ამით აიძულოს, ერთდროულად იომოს ორ (სირია და თურქეთი) ან, სულაც, სამ ფრონტზე (თუკი ფრონტად დონბასის სამხედრო მხარდაჭერასაც ჩავთვლით). თურქები გაათავხედა ამერიკელთა დახმარებამ, რომლებმაც ჰოლივუდისა და სააკაშვილის ტელედაჭერების საუკეთესო ტრადიციებით სირიის მოწმენდილ ცაში დადგეს შოუ — „ჩამოაგდე რუსული თვითმფრინავი“. თუმცა **თურქები ჯერ კიდევ მაშინ გათავხედდნენ, როცა რუსეთი 2008 წელს — თბილისამდე, ხოლო 2014 წელს კიევამდე არ მივიდა. მაგრამ თურქები ვერ ითვალისწინებენ, რომ, თუკი რუსეთმა დაინდო ერთმორწმუნე ქართველები და უკრაინელები, რომლებთან ერთადაც ფაშისტებს ებრძოდა, არ დაინდობს თურქებს — ჰიტლერის ფარულ მეგობრებს, და რომ თურქული არმიის განადგურება რუსეთისთვის ისეთივე იოლი ამოცანაა, როგორც ქართულისა და უკრაინულის ერთად აღებულის.**

რა თქმა უნდა, თურქეთს აქვს მერკანტილური ინტერესებიც, პრეზიდენტი ერდოღანი და მისი გარემოცვა მხოლოდ რუსეთსა და საქართველოსთან ვაჭრობითა და ტურიზმის ხარჯზე როდი მდიდრდებიან. **რეგიონზე კინტროლის დაწესებით, რუსეთი ხელს შეუშლის ნავთობის, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდას, რომლის ყველა ტრასაც თურქეთზე გადის და რომლებსაც ერდოღანის ოჯახი აკონტროლებს.**

**„აშშ-უკრაინა-თურქეთი-„ისლამური სახელმწიფო“ — აი იარაღის მიწოდების მარშრუტი. „ისლამური სახელმწიფო“-თურქეთი-უკრაინა (სააკაშვილი)-ევროპა“ და „ისლამური სახელმწიფო“-თურქეთი-ისრაელი-ევროპა“ — აი ნავთობისა და ნარკოტიკების მიწოდების მარშრუტები. ამიტომ ისწრაფვის თურქეთი რუსეთთან ომის ოფიციალურად გამოცხადებისკენ, რათა მონტრეს კონვენციით უფლება მიიღოს, რუსეთს დაუხუროს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, სადაც უკვე ვეღარ შევლენ რუსული სამხედრო ხომალდები, რომლებმაც სირიის სანაპიროებიდან რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერაციის მხარდაჭერა უნდა განახორციელონ,** მაგრამ თურქებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ნატოს ქვეყანასთან ომის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთს მხარს დაუჭერენ მოკავშირეები — **ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ვიეტნამი, მონღოლეთი და ევრაზიული კავშირის 6 ქვეყანა.**




**თურქებს არასოდეს უყვარდათ ქართველები და არც შეიყვარებენ — ქართული მართლმადიდებლური კულტურა იყო და რჩება მათთვის გამაღიზიანებელ ფაქტორად. ისინი საუკუნეების განმავლობაში ანადგურებდნენ ქართველებს და ამას კვლავაც აგრძელებენ ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მოლოდინში**

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
„საქინფორმის“
მთავარი რედაქტორი

**P.S. 2015 წლის 30 ნოემბერს კახპა ევროკავშირმა თურქები რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის დააჯილდოვა, იმ თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის, პარიზში დატრიალებული ტრაგედიის გამო „ისლამური სახელმწიფოს“ დასაბომბად რომ მიფრინავდა: აჩუქა თურქეთს 3 მლრდ ევრო და უვიზო რეჟიმი შენგენის ზონის 26 ქვეყანასთან(!) რუსეთის ჯინაზე, 2016 წლის 1 იანვრიდან თურქეთთან სავიზო რეჟიმი რომ გააუქმა.**

**P.P. S. დიდი იმედი არ მაქვს, რომ ზემონათქვამს ყურად იღებენ საქართველოს ხელისუფალნი, რომლებმაც დაუშვეს, რომ საქართველოში, თავდაცვის სამინისტროს წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრში რეაბილიტაცია გაიაროს კიევის არმიის ათობით უკრაინელმა მებრძოლმა ისევე, როგორც ტრაბზონისა და სტამბოლის სამხედრო ჰოსპიტლებში მკურნალობს „ისლამური სახელმწიფოს“ ასობით ბოევიკი.**

ახალი მესამე? — ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთი ისტორიულად საქართველოს დაუძინებელი მტერია, რადგანაც იმ სისხლსა და ცრემლს, რომელიც ოსმალეთმა გვადინა, ნგრევასა და გენოციდს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა, ხანდაზმულობის ვადა არ აქვს!**

# ამერიკის მონობა თუ რუსეთის მოკავშირეობა, ანუ დემოკრაკია თუ ტრადიციული საზოგადოება?

**პარიზის საზარელი ტერაქტის შემდეგ ევროპა თითქოს გონს მოეგო და ევროკავშირის ლიდერმა სახელმწიფოებმა უნისონში განაცხადეს, რომ საჭიროა, პროგრესული კაცობრიობა დაირაზმოს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ რუსეთის მონაწილეობის გარეშე ეს შეუძლებელიაო, და მეტიც: საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი რუსეთთან ერთად ახალი კოალიციის შექმნაზე ალაპარაკდა.**



**«ქართული ოცნების» ერთ-ერთმა შიბაქმა — ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხის მიმართ ის დამოკიდებულება გვექნება, როგორსაც ჩვენი დასავლელი (წაიკითხე — აშშ) მეგობრები გამოხატავენო! ამაზე მეტად მონური აზროვნება შესაძლებელია?!**

ოლანდი ალაპარაკდა იმ კოალიციაზე, რომლის შექმნა ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ პარიზის ტერაქტამდე კარგა ხნით ადრე, ა.წ. 29 სექტემბერს გაეროს საიუბილეო სხდომის მაღალი ტრიბუნიდან შესთავაზა „დასავლელ პარტნიორებს“, ხოლო პარიზის ტერაქტის შემდეგ იგივე გაიმეორა ანტალიაში ე.წ. G-20-ის სამიტზე (რომელსაც მგლოვიარე საფრანგეთის პრეზიდენტი არ ესწრებოდა), მაგრამ შედეგი იყო ნული და ამის მიზეზი აშშ და მისი პრეზიდენტი **ბარაკ ჰუსეინ ობამა** გახლდათ, რადგან აშშ-მა დღემდე ვერ მოინელა ის, რომ რუსეთი ამერიკის დაუკითხავად შეუდგა სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ინფრასტრუქტურის ისე ეფექტიანად დაბომბვას, რომ **რუსეთის მტრებმაც კი აღიარეს, — რაც ბარაკ ობამას მიერ შექმნილმა 63-სუბიექტიანმა მსოფლიო კოალიციამ 2 წლის განმავლობაში ვერ, უფრო ზუსტად, არ გააკეთა, ორ თვეში შეძლო რუსეთმაო.** ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ისიც უნდა ითქვას, რომ ევროლიდერებმა კი ისაუბრეს ანტიტერორისტული კოალიციის აუცილებლობაზე, მაგრამ, როგორც სულმდაბალმა მარიონეტებმა, პატრონის, აშშ-ის, ნების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედეს.

**დიახ, არ ინება ბარაკ ობამამ. აბა, ვინმეს სჯერა, რომ შტატები ვერ ხედავდნენ ათეულ კილომეტრზე გაჭიმულ ნავთობზიდ ქარავნებს ან ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებსა თუ ნავთობსაცავებს, რომლებიც, პრაქტიკულად, შემუსრა რუსეთის ავიაციამ, რის გამოც ფინანსური წყაროები გადაეკეტა „ისლამურ სახელმწიფოს“?**

მაგრამ ისევ ფრანსუა ოლანდს დავუბრუნდეთ, რომელმაც ითავა რუსეთის მონაწილეობით ახალი კოალიციის ჩამოყალიბებაში მედიატორობა და ამ მიზნით საკონსულტაციოდ ჯერ ფრაუ **ანგელა მერკელს** ესტუმრა გერმანიაში, შემდეგ კი ბარაკ ობამას ეახლა ამერიკაში, სადაც მოუსწრო კიდეც რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ამბავმა და ბოლოს ყურებჩამოყრილი ეწვია მოსკოვში პუტინს.

თავდაპირველად მეგონა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტში თავმოყვარეობამ გაიღვიძა, გაახსენდა, რომ ბირთვული სახელმწიფოს მეთაურია და რომ ამაყ ფრანგ ერს ამერიკელებისთვის ყველაფერზე თავის კანტური არ ეკადრება, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კარიკატურულმა ლიდერმა, ფანსუამ, ვერ „იდეგოლა“ და ერთადერთი, რაც გაბედა, ვლადიმერ პუტინს მიუსამძიმრა დაღუპული მფრინავის გამო... როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოლანდი ყურებჩამოყრილი ჩავიდა მოსკოვში და ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხზე თანამოაზრე ბარაკ ობამასგან უარი ჩაუტანა პრეზიდენტ პუტინს — თუ უნდა, არსებულ კოალიციაში ჩვენი პირობებით შემოვიდეს რუსეთიო, ანუ „ატამანი“ აშშ იქნებაო. ამას, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმებოდა პუტინი და ახალი კოალიციის შექმნა არა მხოლოდ ამ ეტაპზე, არამედ, ალბათ, საერთოდ გამორიცხულია, რაც ნაკლებად ადარდებს რუსეთის პრეზიდენტს, რადგანაც წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია — რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება — სათავისოდ გამოიყენა პუტინმა და სირიაში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა.

თავად განსაჯეთ:

თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ რუსეთის ბევრი არაკეთილმოსურნე ელოდა, რომ რუსეთი მხოლოდ სამხედრო გზით გასცემდა პასუხს გათავხედებულ თურქეთს და ახლა რუსები ჩამოაგდებდნენ თურქეთის თვითმფრინავს. ამას მოჰყვებოდა ესკალაცია — თურქეთი ჩაკეტავდა ბოსფორს, გართულდებოდა სირიაში რუსეთის სამხედრო კონტიგენტის ლოჯისტიკა და მოსკოვის მიერ ასე წარმატებით წამოწყებული ანტიტერორისტული ოპერაცია სირიაში ნელ-ნელა გადაიზრდებოდა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგანაც რუსეთს არა მხოლოდ მამაცი, არამედ გონიერი, წინდახედული პრეზიდენტი ჰყავს. რუსეთმა მაქსიმალურად გამოიყენა სირიის ზეცაში მომხდარი ინციდენტი, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა ზურგში დარტყმა უწოდა...

**რუსეთმა მომავალში მსგავსი პროვოკაციების გამოსარიცხად პრევენციულ ღონისძიებებს მიმართა და სასწრაფოდ განათავსა სირიის ავიაბაზაზე უახლესი საზენიტო-სარაკეტო სისტემები C-400 „ტრიუმფი“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.**

ამას გარდა, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანმა, რაკეტმზიდმა კრეისერმა **„მოსკოვმა“** სირიის სანაპიროსთან ჩაუშვა ღუზა და ახლა რუსები არა მხოლოდ სირიის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის საჰაერო სივრცესაც აკონტროლებენ, სადაც ამიერიდან რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების „დაუკითხავად“, თვითმფრინავი კი არა, ბუზიც ვერ შეფრინდება. და თუ შეფრინდება, როგორც იტყვიან, კაი ჩიტსაც დაიჭერს, რადგან რუსეთის გენშტაბის განცხადებით, ამიერიდან რუსული ბომბდამშენები მხოლოდ ავიაგამანადგურებლების თანხლებით იფრენენ, მათი ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები კი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაანადგურებენ ნებისმიერ მფრინავ ობიექტს, რომელშიც საფრთხეს დაინახავენ.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ლატაკიის ავიაბაზაზე რუსეთმა საზღვაო ქვეითთა ბატალიონიც შეიყვანა და ახლა რუსეთს სირიაში ისეთი სამხედრო ბაზა აქვს სათანადო ინფრასტრუქტურითა და შეიარაღებით, რომელზეც სულ რაღაც ორი თვის წინათ ვერც იოცნებებდნენ.

ერთადერთი, რაც რუსებმა ცხელ გულზე მოიმოქმედეს, იყო ის, რომ ტერიტორია, რომლიდანაც ანკარასთან ასოცირებულმა თურქმანებმა კატაპულტირებული პილოტი ჰაერშივე დახვრიტეს და შემდეგ მის გვამთან ცეკვა-თამაში გააჩაღეს, მოცეკვავე ტერორისტებთან ერთად დაადუღეს და იქ ახლა, როგორც რუსები ამბობენ, ე.წ. ამოშანთული მიწაა მხოლოდ...

სირიის საჰაერო სივრცეში მომხდარი, შემთხვევითი ინციდენტი კი არა, წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია რომ იყო, დასავლეთშიც კი აღარავინ დავობს.

**უფრო მეტიც, თურქეთის წამყვან გაზეთებში მეორე დღესვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეს პროვოკაცია ანტალიაში, G-20 სამიტზე დაიგეგმა: ერდოღანმა ობამას შესჩივლა, რომ ეს რუსები ძალიან „გაგულავდნენ“ და ერთი თვითმფრინავი ხომ არ ჩამოვუგდოო, რაზეც ობამამ თავი დაუქნიაო...**

თავი დაუქნია თუ თვალი ჩაუკრა, ამის დამტკიცებას ვერავინ შეძლებს და არც არის საჭირო, რადგან ერთი რამ ისედაც უეჭველია — თურქეთის პრეზიდენტი მსგავს გადაწყვეტილებას მარტო ვერ მიიღებდა.

**ანუ აშშ-ის პრეზიდენტი, სულ ცოტა, საქმის კურსში იყო!**

ერდოღანის „იაღლიში“ იყო ის, რომ რუსული თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე ჩამოაგდო ისე, რომ რუსულ ბომბდამშენს თურქეთის საზღვარი არ დაურღვევია — ამაზეც თითქმის აღარავინ დავობს!

მსოფლიო მედია გადაჭრელებულია ინფორმაციით, რომ ერდოღანი, მისი უმცროსი შვილი და სიძე, რომელიც თურქეთის ენერგეტიკის მინისტრია, დიდი ხანია, ჩართულნი არიან „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ნავთობის უკანონო ბიზნესში, ანუ რუსულმა ავიაციამ „ისალამური სახელმწიფოს“ ნავთობის სარეწი ინფრასტრუქტურის განადგურებით არა მხოლოდ ფინანსური წყაროები შეუმცირა „ისალამურ სახელმწიფოს“, არამედ ერდოღანების კლანის ბიზნესსაც დაარტყა, ანუ თურქეთის პრეზიდენტს პირადი მოტივებიც ჰქონდა, როდესაც რუსეთის ბომბდამშენის ჩამოგდების ბრძანება გასცა.

მართალია, ბარაკ ობამამ და ნატომ ერდოღანს საჯაროდ თავზე ხელი გადაუსვეს, მაგრამ ამაზე შორს ვერც მათ გაბედეს წასვლა და, როგორც ამბობენ, უხეირო პროვოკატორს მიუთითეს, — რუსეთთან თვითონ მოაგვარე პრობლემაო...

სწორედ ამითაა განპირობებული თურქეთის პრეზიდენტის დაბნეული, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები: ხან გაიძახის, არ ვიცოდი, თვითმფრინავი რუსეთის თუ იყოო, თორემ არ ჩამოვაგდებდიო; ხან ამბობს, მომავალშიც იმავეს გავაკეთებ, თუ თურქეთის საჰაერო სივრცეს ვინმე გადმოკვეთავსო და ა.შ.

ერთი რამ ცხადია: იმის მიუხედავად, მოაგვარებს თუ არა ერდოღანი რუსეთთან ურთიერთობას, მთავარი მოცემულობა არ შეიცვლება.

ანუ გამწვავდა აშშ-რუსეთის დაპირისპირება, რომლის მსგავსი ე.წ. კარიბის კრიზისის შემდეგ არ ყოფილა და ისე სწრაფად ვითარდება მოვლენები, რომ ფინალის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია.

სხვათა შორის, კარიბის კრიზისისგან განსხვავებით, რუსეთს უკან დასახევი გზა არ აქვს, რადგან, თუ დღეს სირიაში უკან დაიხია, ხვალ იგივე მოუწევს უკრაინაშიც და ყირიმშიც. ამიტომ რუსეთი თურქეთისთვის დაწესებულ სანქციებს არ დასჯერდება, ტერორისტების პოზიციების დაბომბვას უფრო ინტენსიურად განაგრძობს და პარალელურად არა მხოლოდ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს დაიცავს, არამედ დაუფარავად დაუჭერს მხარს ქურთების ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის — ბრძოლას 40- ▶

---

მოკლედ

## ზურაბ აბაშიძე: თუ რუსეთი და თურქეთი ვერ მორიგდებიან, შეიძლება ყველა დაზარალდეს

**„გვაქვს იმედი, რომ განიმუხტება სიტუაცია და პოლიტიკოსები გონივრულად მიუდგებიან ვითარების რეგულირებას. რადგან ყველა შეიძლება დაზარალდეს, ამან შეიძლება რეგიონში სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და არა მხოლოდ რეგიონში. ეს ორი ქვეყანა თუ არ მორიგდა, შეიძლება ამას სერიოზული შედეგები მოჰყვეს. იმედი მაქვს, ასე არ მოხდება. პატარ-პატარა ელემენტები უკვე ჩვენც ვიგრძენით, ლარსზე პრობლემები შეიქმნა. ეს, რა თქმა უნდა, ეს ცუდია“, — განაცხადა პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ.** „ძალიან სახიფათო ვითარებაა. ისტორიული გამოცდილება ასეთია, განსაკუთრებით დიდი მსოფლიო ომების დაწყებისა, ესკალაცია ასე პატარა რაღაციდან იწყება, შემდეგ სადღაც ისვრიან. თვითმფრინავის ჩამოგდება ძალიან სერიოზული ამბავია, მაგრამ ვფიქრობ, ეს სიტუაცია განიმუხტება, რადგან ობიექტურად არავის ინტერესშია, რომ კონფლიქტის გაღრმავების გზით წავიდეს. ამის ელემენტები უკვე შეინიშნება. ორივე მხრიდან, მოსკოვიდანაც და ანკარიდანაც“, — აღნიშნა აბაშიძემ და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა შედგება.



ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო, რომელშიც ფიზიკური განადგურების პირას მისული ქართველი ერი გავმრავლდით და, სხვათა შორის, ირან-ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიებიც დავიბრუნეთ.

◀ მილიონიანი ერისა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა არ აქვს!

**კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ მოხდა ამ დღეებში: რუსეთის დუმის ერთმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ თურქეთმა აიასოფიის მეჩეთად ქცეული ტაძარი მართლმადიდებელ ხალხს დაუბრუნოს.**

რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილება უტოპიაა და ეს განცხადება, ალბათ, მსოფლიოს მართლმადიდებელი ერების მისამხრობადაა გაკეთებული, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რადგან რა მოხდება ხვალ, პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია.

და, აი, მივადექით მთავარ თემას — **რა ელის ჩვენს სამშობლოს, ვისი მხარე უნდა დაიჭიროს საქართველომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში?**

**სხვათა შორის, სწორედ ეს კითხვა იყო გამოტანილი გასულ ხუთშაბათს მაესტროს „ფაქტორის“ ინტერაქტივში, რომელსაც სამი სავარაუდო პასუხი ჰქონდა: რუსეთის, თურქეთის და ნეიტრალური.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმორწმუნე რუსეთის მხარდამჭერთა რაოდენობამ 80%-ს გადააჭარბა, რამაც სატელევიზიო ეთერის სტუმრების, პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული „საქართველოს განვითარების ფონდის“ წარმომადგენლის — **ვანო მაჭავარიანის** („მეცოცხე ნაციონალის“, ჟვანია-სააკაშვილის ხელისბიჭ მიხეილ მაჭავარიანის ძმა), აგრეთვე, „ნაცბანდის“ ერთ-ერთი ლიდერის — **ზურაბ ჭიაბერაშვილი-შარიკოვისა** და **ლაშა ბუღაძე-„მალიაროვიჩის“** ზღვარგადასული აგრესია გამოიწვია. **როგორ გაბედეთ ასეთი კითხვის დასმაო,** — ამ შიბაქებმა კინალამ შეჭამეს გადაცემის წამყვანი **მაგდა ანიკაშვილი**, ეს ხომ ჩვენი უპირველესი მტრის, რუსეთის, წისქვილზე წყლის მიშვებააო?!

**ამ და, საზოგადოდ, სტუდიაში იმ დღეს არმყოფ „ოპოზიციაში“ თუ ხელისუფლებაში მოკალათებულ სხვა შიბაქებთან არავითარი არგუმენტი არ ჭრის!**

* მაგალითად ის, რომ თურქეთის პრემიერმინისტრი **ახმედ დავითოღლუ** პირდაპირ ამბობს, თურქეთის მთავარი მიზანი, ე.წ. დიდი თურანის, სტამბოლიდან ვიდრე სარაევომდე, ანუ ოსმალეთის იმპერიის აღდგენაა, რომლის ფარგლებში სირია, ყირიმთან ერთად სამცხე-ჯავახეთი, აჭარა-გურიაც განიხილებაო;

* არც ის, რომ **ერდოღანს,** უცხოეთის ქვეყნებში აშენებული მინარეთები ისლამის მტრებზე დამიზნებულ რაკეტებს აგონებს;

* არც ის, რომ სწორედ ჩვენი „მეგობარი“ თურქეთი საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა ქართველთა გენოციდს და სრული ამოჟლეტისგან სწორედ ჩვენმა „მტერმა“, ერთმორწმუნე რუსეთმა გადაგვარჩინა;

* არც ის, რომ ჩვენი „მეგობარი“ თურქეთი ხარკის სახით გაყვანილი თუ ყაჩაღურად გატაცებული ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭებით საუკუნეების განმავლობაში ვაჭრობდა და „მტერმა“ რუსეთმა აღკვეთა ეს ტყვეთა სყიდვა;

ერთმორწმუნეობის ხსენებაზე ხომ „გველის კაჭრობა“ ემართებათ ამ ურწმუნო ხლისტებს!

კიდევ ბევრი ასეთი „არც ის, რომ“ შეიძლება ჩამოვთვალოთ, რაზეც ამ მართლა შიბაქებს მხოლოდ ერთი „რკინისებური არგუმენტი“ აქვთ:

რომელ თურქეთზე ლაპარაკობთ, რა დროს ისტორიის ქექვაა?! დღეს თურქეთი დემოკრატიული (ისემც კარგი დაგემართოთ) და ნატოს წევრი, ევროპული სახელმწიფოაო...

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა შიბაქმა — ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხის მიმართ ის დამოკიდებულება გვექნება, როგორსაც ჩვენი დასავლელი (წაიკითხე — აშშ) მეგობრები გამოხატავენო. ამაზე მეტი მონური აზროვნება შესაძლებელია?!**

„ბედი ქართლისა“ გაიხსენეთო, ჭკუას გვარიგებს შარიკოვ-ჭიაბერაშვილი.

ამას ის შიბაქი გვიბედავს, რომელმაც „ქართლის დედას“ ცალ ხელში საშო დააჭერინა და მეორეში — ფალოსი, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მართლაც გავიხსენოთ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ვნახავთ, რომ „ახლა კი დროა, სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა“ და აკი, ნახა კიდეც, როდესაც ერთმორწმუნე რუსეთს ჩააბარა სახელმწიფოებრიობა. **რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო, რომელშიც ფიზიკური განადგურების პირას მისული ქართველი ერი გავმრავლდით და, სხვათა შორის, ირან-ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიებიც დავიბრუნეთ.**

მაგრამ ყველას მაინც „მწერალმა“ ლაშა „მალიაროვიჩმა“ აჯობა:

**„მალიაროვიჩმა“ — ამ შიბაქმა ისეთი ისტერიკა დაიმართა, კლიმაქსის მძიმე ფორმიან დედაკაცსაც შეშურდებოდა, — რას ამბობთ, ხალხო, რის თურქეთი და რუსეთი, ასეთი არჩევანის წინაშე არ დგას დღეს საქართველო, ევროპული არჩევანი ჯერ კიდევ დავითისა და თამარის დროს გააკეთა ჩვენმა ქვეყანამო; დიდმა ილიამაც რუსების წყევლაში გაატარა მთელი სიცოცხლეო...**

**„მალიაროვიჩის“ ეს განცხადებები აშკარა ტყუილებია, რადგან დავითისა და თამარის პერიოდში ევროპა, როგორც ასეთი, არ არსებობდა და, თუ არსებობდა, დღევანდელი ფრანგებისა თუ გერმანელების წინაპრებმა, ტანის დაბანა რა იყო, არ იცოდნენ, მაშინ, როდესაც ქართველები „ვეფხისტყაოსანს“ წერდით!**

ისე, რა მორალური უფლება აქვს მჯღაბნელ „მალიაროვიჩს“ დიდი თამარის ხსენებისა, რომელიც გარყვნილ კახპად წარმოაჩინა?! რაც შეეხება ილიას, სხვათა შორის, იგი რუსეთის დუმის დეპუტატი იყო და, ყველაზე მეტი, რასაც საქართველოს უგვირგვინო მეფე ითხოვდა, საქართველოს კულტურული ავტონომია იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

**„მალიაროვიჩისა“ და სხვა შიბაქების საყურადღებოდ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო:**

**ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის წინათ“ წაიკითხეთ, რომელიც რუსის ჯარის საქართველოში პირველად შემოსვლის ას წლისთავს ეძღვნება და ნახავთ, რა შეფასებას აძლევს ამ მოვლენას დიდი ილია.**

ყველა შიბაქები ერთად და ცალ-ცალკე მაინც იმ „ჩვენებას აწვებიან“ ჯიუტად, რომლის მიხედვითაც, საქართველომ ევროპულ-ჩრდილოატლანტიკური არჩევანი 2008 წლის, საყოველთაო აზრით, გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებში გააკეთა.

**თვითონ დღევანდელი თავდაცვის მინისტრი დედაკაცი აფრიალებდა ევროპაში არჩევნების გაყალბების დამადასტურებელ ბაირაღს და ახლა როგორ არის, თინა მამიდავ, ეს საქმე — საპარლამენტო არჩევნები თუ გაყალბდა, მის პარალელურად გამართული პლებისციტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 70 %-მა ხმა ნატოში გაწევრებას მისცა, ყალბი არ არის?**

ყალბი რომ არის, ამას სწორედ მაესტროს „ფაქტორში“ გამოტანილი ინტერაქტივის შედეგები ადასტურებს და ანალოგიურ შედეგს მიიღებენ, თუ გაბედავენ და მსგავს კითხვას დასვამენ ნებისმიერ სხვა სატელევიზიო ეთერში.

**ან ენ-დი-აის გამოკითხვაც ყალბი არ არის, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეა?**

დიახაც, ყალბია, ოღონდაც იმ გაგებით, რომ, თუ ენ-დი-აიც იძულებული შეიქნა, 31% დაეწერა, სინამდვილეში ევრაზიის (წაიკითხე — რუსეთის) მომხრეთა რაოდენობა, სულ ცოტა, ორჯერ მეტი ყოფილა!

ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ჟამს საქართველო რჩებოდა მოგებული და პირიქით — როდესაც **პეტრე პირველი** დაუზავდა თურქეთს, **ვახტანგ მეექვსეს** დროინდელ ქართლის სამეფოს ძვირად დაუჯდა ეს დაზავება.

იგივე განმეორდა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი დაუზავდა **მუსტაფა ათათურქის** თურქეთს და ყარსის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც დღემდე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე.

**ისტორიის ამ გაკვეთილებიდან გამომდინარე, დღეს არსებულ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში საქართველოს ადგილი ერთმორწმუნე რუსეთის გვერდითაა.**

**ეროვნული მთავრობა რომ ჰყავდეს საქართველოს, დეკლარირებულად დაუჭერდა მხარს ერთმორწმუნე რუსეთს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სათანადო მადლიერებით მიიღებდა ამ ჟესტს და ვინძლო სოხუმ-ცხინვალის პრობლემის მოგვარების, მართალია, შორეული, მაგრამ მაინც რეალური კონტურებიც გამოჩენილიყო.**

**ამერიკის მონობას რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა უჯობს საქართველოს.**

რა, ევროკავშირში უმცროს-უფროსობა არ არსებობს და ყველას ერთი წონა და ზომა აქვს?

რა თქმა უნდა, არა. ევროკავშირის ფაქტობრივი მბრძანებელი ხომ ამერიკაა, რომელიც ევროპაზე დიქტატს საკუთარი ვასალების, ბრიტანეთ-გერმანია-საფრანგეთის მეშვეობით ახორციელებს!

აქედან გამომდინარე, ევრაზიულ კავშირშიც მსგავსი სიტუაცია იქნება, რადგან, როგორც ოჯახს სჭირდება უფროსი, ასევე სჭირდება მსგავს კავშირებსაც. და სრულიად ნორმალურია, რომ ევრაზიული კავშირის ოჯახის უფროსი რუსეთი იქნება იმ პასუხისმგებლობის ტვირთით, რომელიც ოჯახის უფროსობას ახლავს.

**თურქეთი ისტორიულად საქართველოს დაუძინებელი მტერია, რადგანაც იმ სისხლსა და ცრემლს, რომელიც ოსმალეთმა გვადინა, ნგრევასა და გენოციდს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა, ხანდაზმულობის ვადა არ აქვს!**

**დავით მხეიძე**



**«მალიაროვიჩმა», ამ შიბაქმა, ისეთი ისტერიკა დაიმართა, კლიმაქსის მძიმე ფორმიან დედაკაცსაც შეშურდებოდა, — რას ამბობთ, ხალხო, რის თურქეთი და რუსეთი?! ასეთი არჩევანის წინაშე არ დგას დღეს საქართველო, ევროპული არჩევანი ჯერ კიდევ დავითისა და თამარის დროს გააკეთა ჩვენმა ქვეყანამო; დიდმა ილიამაც რუსების წყევლაში გაატარა მთელი სიცოცხლეო... ისე, რა მორალური უფლება აქვს მჯღაბნელ «მალიაროვიჩს» დიდი თამარის ხსენებისა, რომელიც გარყვნილ კახპად წარმოაჩინა?!**

**ეროვნული მთავრობა რომ ჰყავდეს საქართველოს, დეკლარირებულად დაუჭერდა მხარს ერთმორწმუნე რუსეთს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სათანადო მადლიერებით მიიღებდა ამ ჟესტს და ვინძლო სოხუმ-ცხინვალის პრობლემის მოგვარების, მართალია, შორეული, მაგრამ მაინც რეალური კონტურებიც გამოჩენილიყო. ამერიკის მონობას, რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა უჯობს საქართველოს, თუნდაც უმცროსი ძმის სტატუსით**



## «ისლამურმა სახელმწიფომ» მტერი ქვეყნების სია გამოაქვეყნა

**დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ გაავრცელა ახალი ვიდეოჩანაწერი, რომელშიც მტერ ქვეყნებს ასახელებს. ისლამისტები მათ წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო გაერთიანებას „ეშმაკების კოალიციას“ უწოდებენ.**

ვიდეორგოლში ნაჩვენებია ფოტოც, რომელზეც 60 ქვეყნის დროშაა გამოსახული.

„ისლამური სახელმწიფოს“ მტრების სიაში მოხვდნენ: აშშ, საფრანგეთი, რუსეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, ავსტრალია, კანადა, უკრაინა, პოლონეთი, ესპანეთი, შვეიცარია, ირანი, იაპონია და ა.შ.

**სიაში საქართველო არ არის.**



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავლების წყაროები ჯგუფებად შეიძლება დავყოთ: ნავთობითა და ბუნებრივი აირით ვაჭრობა, ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა (მოგეხსენებათ, ისინი სირიის ტერიტორიაზე უძველეს ნაგებობებს ანადგურებენ), სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა, რომელშიც შედის ქერი, ხორბალი, სიგარეტის კონტრაბანდა, ჰეროინი, ნარკოტიკები... ისინი, ასევე ვაჭრობენ ადამიანებით, ანუ მონებით და სასარგებლო წიაღისეულით. „ისლამური სახელმწიფოს“ ყოველდღიური შემოსავალი მილიონობით დოლარია, თანაც ეს მას შემდეგ, რაც რუსეთმა მასზე იერიში მიიტანა, მანამდე გაცილებით მეტი იყო.**

# ვინ აფინანსებს «ისლამურ სახელმწიფოს»

**„ისლამურ სახელმწიფოს“ მეტი სამხედრო შესაძლებლობები აქვს, უფრო მდიდრები არიან, აკონტროლებენ ტერიტორიას და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას, ისინი გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე „ალ-ქაიდა“. ადამიანების გატაცებით მილიონობით დოლარი აქვთ გამოძალული. „ისლამური სახელმწიფო“ ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა მსოფლიოში“, — ამბობს ერაყში ამერიკის სამხედრო ოპერაციის დაგეგმვის ერთ-ერთი მონაწილე დევიდ კილქულენი.
მისივე თქმით, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ერაყისა და სირიის ოკუპირებულ ქალაქებში ვხედავთ, როგორ ითავსებენ ისინი სახელმწიფოს უამრავ ფუნქციას. ისინი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „გულებისა და გონების მოგების“ სტრატეგიას ახორციელებენ, აგროვებენ გადასახადს, ამუშავებენ მაღაზიებსა და საცხობებს, ბავშვებს სკოლაში სიარულის საშუალებას აძლევენ, აწარმოებენ სასამართლო მოსმენებს, მართავენ საავადმყოფოებსა და სხვა საზოგადოებრივ სამსახურებს“.
და მართლაც, საიდან და როგორ ფინანსდება „ისლამური სახელმწიფო“? — ამ კითხვით ახალგაზრდა პოლიტოლოგ გიორგი მდივანს მივმართეთ.**



— „ისლამური სახელმწიფო“ გიგანტური სინდიკატია. ამ ორგანიზაციის ფინანსური აქტივები დაახლოებით 2 ტრილიონ დოლარს შეადგენს; ყოველწლიური შემოსავალი მერყეობს 2-დან 3 მილიარდ დოლარამდე. მართალია, ზუსტი ბუღალტერია არ არსებობს, მაგრამ ეს რეალური ციფრებია.

„ისლამური სახელმწიფოს“ წარმოშობაზე არ ვისაუბრებ, რადგან ყველამ ვიცით, რომ „ალ ქაიდას“ ქვედანაყოფიდან წარმოიშვა, მაგრამ ისე მომძლავრდა, რომ დღეს აქვს ყველა სამინისტრო, მათ შორის, წყლის სამინისტროც, რაც იმის დასტურია, რომ ის სახელმწიფოს ყველა ნიშანს იძენს.

2012—2013 წლებში, ანუ საწყის ეტაპზე „ისლამურ სახელმწიფოს“ „საქველმოქმედო“ შემოწირულობებით აფინანსებდნენ, **ძირითადი დამფინანსებლები იყვნენ: საუდის არაბეთი, ყატარი და განსაკუთრებით ქუვეითი.** ერთ-ერთი ბიზნესმენი, ვინმე **ალ-მტეირი,** რომელიც ამერიკელების მოკავშირე იყო, „ისლამური სახელმწიფოს“ ყველაზე დიდი დამფინანსებელი გახლდათ. ის თითოეულ ტერორისტს 2500-დან 3000-დოლარამდე თანხას უხდიდა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. ალ-მტეირი ამერიკულ პრესასთან დაუფარავად საუბრობდა: **„თუ თავის დროზე შემეძლო ამერიკასთან მეთანამშრომლა ერაყის წინააღმდეგ, ახლა რატომ არ შეიძლება ვითანამშრომლო „ალ ქაიდასთან“ ბაშარ ასადის დასამხობად?!“**

ეს ინტერვიუ **„ნიუ იორკ თაიმსში“** დაიბეჭდა, თუმცა აშშ-ის მთავრობიდან დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამ ტერორისტულ დაჯგუფებას ხშირად ადარებენ „ალ ქაიდას“, მაგრამ „ისლამური სახელმწიფო“ გაცილებით ჩამოყალიბებული და სტრუქტურიზებულია. „ისლამური სახელმწიფო“ არის პირველი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება და გაყიდვა დაიწყო. მოგეხსენებათ, ეს რა რთული პროცესია.

**„ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავლების წყაროები ჯგუფებად შეიძლება დავყოთ: ნავთობითა და ბუნებრივი აირით ვაჭრობა, ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა (მოგეხსენებათ, ისინი სირიის ტერიტორიაზე უძველეს ნაგებობებს ანადგურებენ), სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა, რომელშიც შედის ქერი, ხორბალი, სიგარეტის კონტრაბანდა, ჰეროინი, ნარკოტიკები... ისინი, ასევე ვაჭრობენ ადამიანებით, ანუ მონებით და სასარგებლო წიაღისეულით. „ისლამური სახელმწიფოს“ ყოველდღიური შემოსავალი მილიონობით დოლარია, თანაც ეს მას შემდეგ, რაც რუსეთმა მასზე იერიში მიიტანა, მანამდე გაცილებით მეტი იყო.**

„ისლამური სახელმწიფოს“ ძირითადი „სპონსორები“ არიან საუდის არაბეთი და თურქეთი. სწორედ ისინი ასაღებენ მათ ნავთობს. თურქეთში არის სახელმწიფო კომპანია „არამკო“, რომელიც ახორციელებს „ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობის დიდი ნაწილის შესყიდვას და ეს ყველაფერი ნიუ იორკის ტრანზაქციების მეშვებით ხდება. „არამკო“ კი არის „ბრიტიშ-პეტროლიუმის“ პარტნიორი. **„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ნავთობის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ვაშინგტონი აკონტროლებს. „ექსოილმობაილი“ არის ფირმა, რომელიც თავის დროზე როკფელერებმა დააარსეს, დღეს ეს ფირმა ყატარის მფლობელობაშია და სწორედ ყატარიდან და საუდის არაბეთიდან ხორციელდება ნავთობის შეძენა.**

ყატარი რუსეთის შემდეგ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა, რომელმაც ამ ჩემპიონატის ჩასატარებლად 200 მილიარდამდე დოლარი უნდა დახარჯოს, თუმცა უცხოურ პრესაში უკვე წერენ, რომ იქ მომსახურე პერსონალს ცუდი ანაზღაურება აქვთ და იქ მიმდინარე მშენებლობებს გაუსაძლისი პირობების გამო 150-დან 300 ადამიანი შეეწირა. ეს ინფორმაცია ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ყურადღებას არავინ ამახვილებს და დარტყმის ობიექტი მაინც რუსეთია.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ რამდენიმე ნავთობსადენზე დივერსიული აქტები განახორციელა, შემდეგ კი ახალი მარშრუტები გაიყვანა თურქეთისა და საუდის არაბეთის მიმართულებით. ამჟამად სანავთობე მარშრუტი ფუნქციონირებს კირკუკიდან ჯეიჰანში. ჯეიჰანიდან კი ნავთობი ტანკერებით გადააქვთ ისრაელში და საუდის არაბეთში. აღნიშნულ რეგიონში ძირითადი მოთამაშე იყო კომპანია „პალმალიშიფინგი“, რომლის მფლობელი გახლდათ ვინმე **მუბარიზ გურბანოღლუ** — თურქულ-ებრაული წარმოშობის მილიარდერი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობის 30%-ის შესყიდვას ახორციელებდა თურქეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს კომპანია ჩაანაცვლა „ბიემზი-ელთიდიმ“, რომლის მფლობელიც არის **ნეჯმედინ ბილალ ერდოღანი** — თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი. ნავთობის ტრანსპორტირება ჯეიჰანიდან ხდება.

**«ტერორისტებმა 2014 წელს დაიწყეს საკუთარი ვალუტის მოჭრა, რომელიც ოქროს შეიცავს. 1 დინარის ფასი 139-140 დოლარია. „ისლამურ სახელმწიფოს“ ხაზინა თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონდა, ქალაქ გაზიანთეფში»**



„ისლამური სახელმწიფოსთვის“ უდიდესი ფინანსური წყაროა ბუნებრივი აირი, რომლის გაყიდვითაც ყოველწლიურად 490 მილიონამდე დოლარის შემოსავალი აქვს.

„ისლამური სახელმწიფო“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითაც დიდ სარგებელს ნახულობს, რადგან სირიისა და ერაყის ის ტერიტორია, რომელიც „ისლამურმა სახელმწიფომ“ ხელში ჩაიგდო, განთქმულია ქერისა და ხორბლის მოსავლით. ტერორისტების ყოველწლიური შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან 200 მილიონ დოლარს აღწევს. ამაში შედის კონტრაბანდული სიგარეტიც.

**„ისლამურ სახელმწიფოს“ უზარმაზარი შემოსავალი აქვს ანტიკური ხანის ნივთების გაყიდვიდანაც. უძველესი ქალაქი პალმირა ხელოვნების ნიმუში იყო, თუმცა მისგან აღარაფერი დარჩა. სწორედ პალმირადან ამოღებული ნივთების გაყიდვით დიდძალ ფულს შოულობენ. ერთ-ერთი ნივთი, დათვის ფორმის ფიგურა, 60 მილიონ დოლარად გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა თავის დროზე ამერიკელებმა დანერგეს, როდესაც ბაღდადის მუზეუმებიდან ნივთები გაჰქონდათ და ყიდდნენ.**

ზუსტად არავინ იცის, რა ფასად იყიდება უძველესი ნივთები, მაგრამ ცნობილია, რომ თითოეული ნიმუშის საბაზრო ფასი 10-დან 70 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს ფინანსთა სამინისტრო და შესაბამისად — მოსაკრებლებიც. ბუნებრივი აირის გადასახადი 200 დოლარია, რომელსაც ყველა იხდის, განსაკუთრებით კომერციული ინტერესის მქონენი, რომლებსაც აქვთ საშემოსავლო გადასახადები, გადასახადი აქვთ ფულის განაღდების შემთხვევაში. თითოეულ სატრანზიტო მანქანაზე საბაჟო მოსაკრებელი აქვთ 800 დოლარი.

**ტერორისტებმა 2014 წელს დაიწყეს საკუთარი ვალუტის მოჭრა, რომელიც ოქროს შეიცავს. 1 დინარის ფასი 139-140 დოლარია. „ისლამურ სახელმწიფოს“ ხაზინა თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონდა, ქალაქ გაზიანთეფში. მოგვიანებით თურქებმა ეს ბანკი გააუქმეს.**

**ტერორისტებისთვის ძალიან დიდი არა, მაგრამ კარგი შემოსავლის წყაროა ქალებით ვაჭრობა. 15-დან 20 წლამდე გოგონა 150 ევრო ღირს, რაც მეტია წლოვანება, მით უფრო მცირდება ფასი. 60 წლის ქალბატონი 10 ევრო ღირს.**

ამ საზარელი ფაქტის შესახებ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები წერდნენ, მაგრამ დიდი ყურადღება არავინ მიაქცია.

საინტერესოა, მათ მიერ სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება, რადგან ეს რთული პროცესია. „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები წიაღისეულს კუსტარულად ამუშავებენ. ისინი აქტიურად არიან დაკავებულები ფოსფატის დამუშავებით და აქედან მათი წლიური შემოსავალი 50 მილიონი დოლარია. აქვთ ცემენტის წარმოებაც.

მოგეხსენებათ, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ქვეყნის ხელისუფლებისთვის, მაგრამ სათანადო რეაგირება რატომღაც არ ხდება. როგორც ჩანს, მსოფლიოში ტერორიზმის წახალისება მიმდინარეობს.

ჩაიწერა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

მოკლედ

## თბილისში 10-ის ნაცვლად, 18 მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება

**საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილება, რომლითაც 73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრები იცვლება, პარლამენტში უკვე ინიცირებულია.**

პროექტის მიხედვით, თბილისში, 10 მაჟორიტარული ოლქის ნაცვლად 18 მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება. საქართველოს დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალიტეტების გაერთიანების ან პირიქით — გაყოფის ან მუნიციპალიტეტთან სხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიერთების გზით 42 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი იქმნება, ხოლო 13 მუნიციპალიტეტის (საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, ხაშურის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მესტიის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, სენაკის, ქალაქ ზუგდიდის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტები) საზღვრები თანხვედრაში იქნება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებთან.



**„თურქეთმა, შეიძლება, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გადაკეტოს და ხელი შეუშალოს რუსეთის სამხედრო ტრანზიტს სირიაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კავკასია და, კერძოდ, საქართველო მოვლენების ეპიცენტრში მოექცევა. საქართველოს გავლით სირიაში მოხვედრა უფრო მომგებიანი და იაფია. თუ რუსეთმა საქართველოს ამ გზის დათმობა მოსთხოვა, მაშინ დასაფიქრებელია ამერიკისა და თურქეთის რეაქცია ჩვენი ქვეყნის ქმედებაზე“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვახტანგ მაისაია: ადვილი შესაძლებელია, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ეპიცენტრმა ჩვენკენ გადმოინაცვლოს

**2015 წლის 30 სექტემბერს, გაეროს 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტის შემდეგ, მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დადგა: რუსეთის ფედერაციამ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვა გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება უმალვე აღასრულა.**

**ორი წლის წინათ მსოფლიოს 35 ქვეყანა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გაერთიანდა კოალიციაში, რომელსაც საქართველო 2014 წლის სექტემბერში შეუერთდა, თუმცა ტერორისტების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ღონისძიებები კოალიციას არ განუხორციელებია, უფრო მეტიც, ზოგიერთი პოლიტოლოგი იმასაც ამბობს, რომ აშშ ხელს უწყობდა “ისლამური სახელმწიფოს” გაძლიერებას.**

**2015 წლის 13 ნოემბერს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებმა საფრანგეთში ტერაქტი მოაწყვეს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა რუსეთის პრეზიდენტს კოალიციაში შესვლა შესთავაზა, მაგრამ რუსეთის თანხმობა ვერ მიიღო, რადგან რუსეთს ამ კოალიციაში აშშ-ის კარნახით უნდა ემოქმედა.**

**2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის ავიაგამანადგურებლებმა რუსული ბომბდამშენი „სუ-24“ ჩამოაგდეს, რამაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაძაბა. პრეზიდენტმა პუტინმა ეს ფაქტი ზურგში დარტყმად შესაფასა და შესაბამისი ზომების მიღებაც დაიწყო.**

**დღეს მსოფლიოს ყურადღება სწორედ ამ ორი ქვეყნისკენ არის მიმართული. შექმნილი ვითარება სახარბიელო არ არის საქართველოსთვისაც, რადგან, როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება ჩვენს ქვეყანაზე პირდაპირ აისახება.**

**რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.**

**— რა საფრთხის წინაშე დადგა საქართველო მას შემდეგ, რაც რუსეთ-თურქეთს შორის ვითარება დაიძაბა?**

— ვითარება მართლაც დაძაბულია, რადგან რუსეთის პრეზიდენტი სანქციების ამუშავებაზე გადავიდა და, ფაქტობრივად, უარს ამბობს თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან მოლაპარაკებაზე. მართალია, ბელგრადში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ხვდებიან, მაგრამ ეს არის შეხვედრა შეხვედრისთვის.

რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდება, როგორც პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, ზურგში დარტყმის ტოლფასი იყო. შესაძლოა, რუსეთის თვითმფრინავებმა საჰაერო სივრცე დაარღვიეს, მაგრამ, როდესაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, ასეთი რამ მიღებულია, მით უმეტეს, თუ ქვეყნები მოკავშირეები არიან და აკეთებენ ერთ საქმეს, ანუ საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძვიან.

რუსეთმა გარკვეულ ტერიტორიებზე საკმაოდ მძლავრი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები განალაგა, კონტრზომების მიღებას აპირებენ ამერიკელებიც. ისინი საზღვაო ბაზირების ავიაგამანადგურებლებს გამოიყენებენ, რომლებსაც რადიოელექტრონული ბრძოლის ჩამხშობი ელემენტები აქვთ. ეს ინფორმაცია დადასტურებული არ არის, ამაზე ჟურნალისტები საუბრობენ, მაგრამ მთავარია, რუსეთმა ზომები უკვე მიიღო.

**რუსეთ-თურქეთის ბრძოლას ისტორიული ფესვები აქვს, ამიტომ მათი დაპირისპირება შეიძლება სწრაფად აალდეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ურთიერთობა ბოლო პერიოდში თბილი იყო — მათ ერთმანეთთან ფინანსური ურთიერთობები ჰქონდათ. თურქეთი რუსი ტურისტებისგან წელიწადში სამ მილიარდ დოლარს იღებდა, გარდა ამისა, 2014 წელს რუსეთმა თურქეთს 27,3 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მისცა, თურქეთი რიგით მეორე პარტნიორი იყო. ასე რომ, დარტყმები ორივე მხარისთვის საკმაოდ არასასურველია.**

მაგრამ რუსეთისთვის ეროვნული ინტერესების დაცვა უპირველესი ამოცანაა, ეს მის სამხედრო დოქტრინაში წერია, ამიტომ უკან არ დაიხევს.

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება პირდაპირ აისახება კავკასიაზე, რადგან ამ ორი ქვეყნის დაპირისპირების არეალი ყოველთვის კავკასია იყო.

**«სააკაშვილმა ტერორისტული ორგანიზაციებიდან მიიღო თანხები და ამის გამო გადაწყვიტა, რომ მათი წევრებისთვის საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერიგებინა. მიშა ფულის გამო დედასაც გაყიდის»**

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეგიონში მყიფე სიტუაციაა. **კავკასიაში მდებარეობს რუსეთის სამხედრო ბაზა, კერძოდ, გიუმრიში, რომელიც აუცილებლად გაძლიერდება. თურქეთს საქართველოს საზღვართან ახლოს ჰყავს განლაგებული მეორე და მესამე საველე არმიები 200 ათასი ჯარისკაცით, ხოლო რუსეთის 250-ათასკაციანი სამხედრო ქვედანაყოფები დგანან გუდაუთაში, ცხინვალსა და გიუმრიში, ამას აუცილებლად უნდა დავამატოთ სომხეთის, როგორც რუსეთის მოკავშირის, შეიარაღებული ძალები. ასე რომ, ჩვენს საზღვრებთან რუსეთ-თურქეთის ძალთა ბალანსი თანაბარია, რაც საფრთხის წინაშე გვაყენებს, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ ეპიცენტრმა ჩვენკენ გადმოინაცვლოს.**

გასათვალისწინებელია აჭარის ფაქტორი. **ჩვენს მიწაზე არიან რადიკალურად განწყობილი თურქული ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც თითქოს ანკარას არ ექვემდებარებიან, მაგრამ ეს მხოლოდ არაფორმალურად.**

პოლიტოლოგები და სამხედრო ექსპერტები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ **თურქეთმა, შესაძლებელია, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გადაკეტოს და ხელი შეუშალოს რუსეთის სამხედრო ტრანზიტს სირიაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კავკასია და, კერძოდ, საქართველო, მოვლენების ეპიცენტრში მოექცევა. საქართველოს გავლით სირიაში მოხვედრა უფრო მომგებიანი და იაფია. თუ რუსეთმა საქართველოს ამ გზის დათმობა მოსთხოვა, მაშინ დასაფიქრებელია ამერიკისა და თურქეთის რეაქცია ჩვენი ქვეყნის ქმედებაზე.**

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას არსებულ ვითარებაში? ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ, ხოლო პოლიტოლოგები თვლიან, რომ დუმილი საუკეთესო გამოსავალია...**

— რუსეთთან ცუდი ურთიერთობა გვაქვს, დაპირისპირებულები ვართ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ბოლოდროინდელი საგარეოეკონომიკური მიმართულებების დადებითი შედეგი. ამიტომ თავის შეკავება მართლაც გვმართებს. ასევე უნდა მოვიქცეთ თურქეთთანაც. ის ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა და ამიტომ დუმილი ყველაზე კარგი გამოსავალია, ოღონდ მოკლევადიან პერსპექტივაში. გრძელვადიანში კი აუცილებელია ერთი რომელიმე ქვეყნის პოზიციაზე დგომა. **საქართველო უმძიმეს ვითარებაშია.**

**— სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო. „ისლამურ სახელმწიფოში“ მებრძოლი ოთხი ქართველი ახალგაზრდა გვემუქრებოდა... ჩვენი ქვეყნის ძალოვანმა სტრუქტურებმა საფრთხეების წინააღმდეგ გეგმა შეიმუშავეს. იცნობთ თუ არა ამ გეგმას და თუ იცნობთ, არის კი საიმედო?**

— გეგმას არ ვიცნობ და, საერთოდ, თუ არსებობს, არც კი ვიცი. ეს გეგმა არავის უნახავს, არც ფორმალურ და არც არაფორმალურ შეხვედრაზე. ამაზე არავის უსაუბრია. ხელისუფლება პროფესიონალებთან არ თანამშრომლობს. ღონისძიებები, რომელთა დეკლარირებაც ტელევიზიით მოხდა, თავდაცვისთვის უმნიშვნელოა, ხელისუფლების მიდგომა პრობლემისადმი კი — არასერიოზული. ტერორისტებს, რომლებიც საქართველოს გამოყენებას შეეცდებიან, ეს სასაცილოდაც არ ეყოფათ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველო არ ჩათვალა სერიოზულ მოწინააღმდეგედ, რაც კარგია, თუმცა ცუდია, რომ სერიოზულად არ აღგვიქვამენ.

**— დავუშვათ, საზღვრები დავიცავით და ტერორისტებს საქართველოში შემოსვლის საშუალება არ მივეცით, მაგრამ დაცულები ვართ შიგნით? ვინმემ იცის, რამდენ გაურკვეველი საქმიანობის ადამიანს მიანიჭა მოქალაქეობა ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა?**

— ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა. ზუსტად არავინ იცის, ვის და რამდენს უბოძა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა. როდესაც სააკაშვილისდროინდელ ელიტურ კორუფციაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი სწორედ ეს თემაა. **სააკაშვილმა ტერორისტული ორგანიზაციებიდან მიიღო თანხები და ამის გამო გადაწყვიტა, რომ მათი წევრებისთვის საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერიგებინა. მიშა ფულის გამო დედასაც გაყიდის.**

**«ყურადსაღებია და იყო ყოველთვის სააკაშვილის ურთიერთობა სპარსეთის ყურისა და არაბული სახელმწიფოების რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რისი დადასტურებაც „ლაფანყურის ოპერაციაა“. სამწუხაროა, რომ ამ ოპერაციის გამოძიებას საშველი არ დაადგა. ამ საქმის გამოუძიებლობამ, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოგვიტანოს. გავრცელებულ ვიდეოებში საუბარი ამაზეც იყო. ტერორისტებმა ლაფანყური შეგვახსენეს»**

ყურადსაღებია და იყო ყოველთვის სააკაშვილის ურთიერთობა სპარსეთის ყურისა და არაბული სახელმწიფოების რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რისი დადასტურებაც „ლაფანყურის ოპერაციაა“. სამწუხაროა, რომ ამ ოპერაციის გამოძიებას საშველი არ დაადგა. ამ საქმის გამოუძიებლობამ, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოგვიტანოს. გავრცელებულ ვიდეოებში საუბარი ამაზეც იყო. ტერორისტებმა ლაფანყური შეგვახსენეს.

დღის წესრიგიდან არც ელიტური კორუფცია მოხსნილა, სააკაშვილისიანები ახლაც თანამდებობებზე სხედან, უფრო მეტიც, ისინი დაწინაურდნენ.

**— და მაინც, როგორ შეაფასებთ საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას?**

— საქართველოს მდგომარეობა რთულია, ეს სირთულე საშუალოზე მაღალ დონეზეა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## ჩრდილოეთი კორეა თურქეთს მიწასთან გასწორებით ემუქრება

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გაანადგურებს თურქეთს, თუ ის კიდევ ერთხელ გაბედავს და დაბომბავს სირიას.** კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა თურქეთი გააფრთხილა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ატომურ იარაღს. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ეს მუქარა მხოლოდ სიტყვები არ არის...



## 2016 წლიდან პენსია მოიმატებს

**პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიის ოდენობა 180 ლარი იქნება.** პარალელურად იწყება დაგროვებით სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა. მოიმატებს მასწავლებლებელთა ხელფასებიც, აპრილიდან პედაგოგების ანაზღაურება საშუალოდ 600-700 ლარი იქნება.



ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მართალია, ზაქარეიშვილი, ბერძენიშვილი, ცისკარიშვილი თუ კიდევ სხვა ე.წ. ექსპერტები და არა ნაკლებ ე.წ. პოლიტიკოსები უამრავ სისულელეს ამბობენ, მაგრამ თავდაცვის მინისტრის სისულელეებს სულ სხვა წონა აქვს მაინც.**

# ბუღა-თურქობის ღია დასაწყისი საქართველოში, ანუ ლაშას ლავაში, ნიკას ვენახი და თინას ოცდამეერთე

**გასულ კვირაში სოციალურ ქსელებში კვლავ ატყდა დაუოკებელი სიხარულის ქართული ყიჟინა.**
**„გილოცავთ! რუსული ბომბდამშენი მიწას დაენარცხა!“**
**„ვენაცვალე მარჯვენაში იმ პილოტს, რომელმაც მას რაკეტა ესროლა!“**
**„ბრავო თურქებს! ხომ მიუთითეს პუტინს მისი ადგილი?!“**
**„რუსეთის ბოგინს რეგიონში წერტილი დაესვა!“ და სხვა მსგავსი სიჩლუნგეები მანამდე იწერებოდა, სანამ რუსულმა ავიაციამ თურქული ბენზინმზიდების კოლონა არ მოსპო თავის გამცილებლებიანად და რუსული ულტრათანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შიშით ყველა თურქული ავიაგამანადგურებელი მიწაზე არ დაეშვა, ხოლო ერდოღანმა შეშინებული ტონით არ განაცხადა, — მაპატიეთ, არ ვიცოდით, ეს თუ რუსული ბომბდამშენი იყო, თორემ არ ჩამოვაგდებდით. ახლა კი მინდა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩთან საუბარი, ვურეკავ კიდეც, მაგრამ არ მპასუხობსო.**




სულაც არ მიკვირს, ქართველებს გარკვეული აგრესია რომ გააჩნდეთ საქართველოს ისტორიული ძირძველი ტერიტორიების მიმტაცებელი დიდი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ და მისი ცუდი უხაროდეთ, მაგრამ, რაც უნდა აგრესორი და ოკუპანტი იყოს ერთი ქვეყანა, ნორმალური ადამიანებისთვის ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მეორე აგრესორისა და ოკუპანტის მიმართ განვეწყოთ კეთილად და აშკარა მტრის მეხოტბედ და მხარდამჭერად ვიქცეთ.

ნორმალური ადამიანებისთვის გასაგებად რომ ვთქვათ, — სიძულვილმა არ უნდა გამოიწვიოს სიბრმავე (და ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთის სიძულვილის გამო), რეალობას არ უნდა მოვწყდეთ.

**როგორც პირად ცხოვრებაში ხდება, სიძულვილით, თუნდაც სამართლიანი სიძულვილით დაბრმავებული ადამიანი უამრავ შეცდომას უშვებს და ამით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს. ზუსტად ასევეა სახელმწიფოთა შემთხვევაშიც, ოღონდ იმ საბედისწერო განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ინდივიდი თავს იღუპავს, მეორე შემთხვევაში კი ეს დაბრმავებული ინდივიდები სხვა თანამოქალაქეებს, თანამემამულეებს, მთელ ქვეყანას აყენებენ რისკის ქვეშ და ღუპავენ.**

წინამდებარე პუბლიკაციის ძირითადი პათოსიც სწორედ ეს იქნება: რა გულით, რა ტვინით, რა ნამუსით, რა უფლებით რისკავს მავანი მთელი ქვეყნის საცწორზე შეგდებას?

## თავი 1. ერეკლეს მეთვრამეტე და თინას ოცდამეერთე

არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები მხოლოდ მიშა სააკაშვილის „დამსახურება“ არ იყო. ეს მერე, როდესაც მთელი ეს ავანტიურა კრახით დასრულდა, ხალხის რისხვის არიდების მიზნით, ყველამ მიშას შეახოცა ხელი და გამოთქმა „რუსების ჟანგიანი ტანკები“ სააკაშვილის საავტორო გამოთქმად გასაღდა. სინამდვილეში ეს ყოვლად სულელური აზრი პოპულარული და ფეხმოკიდებული იყო არამხოლოდ მაშინდელ ხელისუფლებაში, არამედ ოპოზიციაშიც და ცხინვალის ავანტიურაში მიშას სრული მხარდაჭერა ჰქონდა როგორც მისი თანაგუნდელებისგან, ასევე საპარლამენტო თუ ქუჩის ოპოზიციისგან, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა.

ამ აზრს ყველაზე ნათლად ამტკიცებს მაშინდელ ოპოზიციონერთა და დღევანდელ ხელისუფალთა, კონკრეტულად კი რესპუბლიკელთა, ბოლოდროინდელი აზრები, ფრაზები და გამოხდომები. როგორც ჩანს, ხალხის წინაშე შიშმა გაიარა და, რაზეც 2008 წლის მერე მოკეტეს, ახლა ერთბაშად ისევ ალაპარაკდნენ.

კონკრეტულ მაგალითად თავდაცვის მინისტრზე უკეთ ვინ შეიძლება გამოდგეს?

**მართალია, ზაქარეიშვილი, ბერძენიშვილი, ცისკარიშვილი თუ კიდევ სხვა ე.წ. ექსპერტები და არა ნაკლებ ე.წ. პოლიტიკოსები უამრავ სისულელეს ამბობენ, მაგრამ თავდაცვის მინისტრის სისულელეებს სულ სხვა წონა აქვს მაინც.**

„რუსეთს ყოველთვის ექნება დისკომფორტი და შიში, სანამ მე ვიქნები საქართველოს თავდაცვის მინისტრი!“

„რუსეთი მხოლოდ მაშინ დაიხევს უკან, როდესაც ევროპა და ამერიკა მას ხმამაღლა განუცხადებენ, რომ მზად არიან ომისთვის!“

„ახლა მეთვრამეტე საუკუნე არ არის და ზოგიერთის წუწუნი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი ყველაფერს გაბედავს, ძალიან შეუსაბამოა ოცდამეერთე საუკუნის რეალობასთან!“

ვითომ ღირს გაგრძელება?

რით განსხვავდება ეს და სხვა მსგავსი ფრაზები „რუსების ჟანგიანი ტანკებისა“ და სხვა ასეთივე „მძიმეწონიანი“ სისულელეებისგან?

სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს წინა პერიოდში სწორედ „მეთვრამეტე საუკუნეში ჩარჩენილი“ მიწოდეს „ნაციონალების“ აპოლოგეტებმა, როდესაც ერთ-ერთი

**თუკი ბუღაძის გამოსვლას ემოციებისგან, მიმიკისგან და ჟესტიკულაციებისგან გავათავისუფლებთ, ხელში ერთადერთი «არგუმენტილა» შეგვრჩება თუქ-სელჩუკთა მხარდასაჭერად — თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა**

კამათისას ვთქვი: „თქვენ თუ ასე გააგრძელებთ, რუსეთი თბილისს დაბომბავს“-მეთქი. ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა და ისეთი დაცინვა წამოვიდა, რომ თურმე მე, „ერეკლე მეფის შიშებში და კომპლექსებში ჩარჩენილმა“, არ ვიცოდი, რა იყო თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის ევროპა და თურმე ყოვლად წარმოუდგენელი იყო ის, რომ რუსეთი თბილისის დაბომბვას გაბედავდა...

გაბედა! სხვათა შორის, ეს სიტყვა „გაბედვა“ რუსეთთან დაკავშირებით, უკვე 25 წლიწადია, მესმის და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა უკვე ყველა „ვერგასაბედი“ ნაბიჯი მთელი მსოფლიოს დასანახად უმარტივესად „გაბედა“, ეს „არჩარჩენილები“ და „ოცდამეერთელები“ ამ სიტყვას მაინც ჯიუტად და უტიფრად იყენებენ...

ნეტავ, როდის უნდა დარწმუნდეს სრულიად ქართველი საზოგადოება, რომ „ერეკლეს მეთვრამეტრე საუკუნე“ და „თინას ოცდამეერთე საუკუნე“, პოლიტიკურ-სტრატეგიული მიმართულებით, დიდად არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან?!

ალბათ, მაშინ, როდესაც ოსმალო კიდევ ერთხელ შემოგვივარდება სახლებში და სიტყვა „გაბედვის“ მნიშვნელობას კიდევ უფრო ხაზგასმით და მწარედ დაგვანახვებს?

## თავი 2. შაჰ-აბასის ვენახი და ნიკას მანდარინი

საქართველოს გადარჩენის ათასგვარი რეცეპტი მოგვისმენია, მაგრამ ის, რაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ნიკა გვარამიამ შემოგვთავაზა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს თავისი ინოვაციურობით, გაბედულებითა და პრობლემის ორიგინალური ხედვით.

„დაბალრენტაბელური და დაბალხარისხიანი ყურძენი და მანდარინი, რომლის გასაღების ერთადერთ ბაზრად გაიხილება რუსეთი, არა მარტო ეკონომიკური დაცემის აგენტებია, არამედ სტრატეგიული საშიშროებაც! ისინი დროზე თუ არ მოვიშორეთ, არც ეკონომიკას ეშველება და არც უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას! და ამ დროს უკვე თითქმის მოშორებულ ჩაის ისევ გაცოცხლებას უპირებს ახლანდელი მთავრობა!“ — ეს ფრაზა, რომელიმე კომიკოსის მონოლოგის ნაწყვეტი კი არა, ნიკა გვარამიას სრულიად სერიოზული განცხადებაა საკუთარ „ფეისბუქგვერდზე“...

ნიკა გვარამია რომ ეკონომიკაშიც ზუსტად ისევე „საექსპერტო დონეზე“ ერკვევა, როგორც ტელევიზიაში, ეგ კი ვიცით, მაგრამ ამ დონის ჩლუნგობა მაინც წარმოუდგენელია.

ყურძენსა და მანდა- ▶

სატირა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლაშა ბუღაძე, უფრო სწორად „ნიკაგვარამიები“, „ლაშაბუღაძეები“, „თინახიდაშელები“ იმას კი არ საყვედურობენ ქართველ ხალხს, რუსეთს, ანუ აგრესორს რატომ ემხრობითო, არა! მათი საყვედურის ძირითადი მიმართულება არის ის, თუ რატომ ვუყურებთ ჩვენ უნდობლად თურქეთს და როგორ ვბედავთ, რომ ოსმალთა იმპერიას ერთგულებას არ ვეფიცებით.

## როგორც ჩანს, ამ ტვინით ავადმყოფ «ნიკაგვარამიებს» იმდენად პრიმიტიული აზროვნება აქვთ, რომ ფიქრობენ, თუკი რუსეთის ბაზარზე პოტენციურად გასატანი პროდუქტი საქართველოში მოისპობა, ქართველებს რუსეთი აღარც კი გაახსენდებათ და ასე მარტივად მოგვარდება «ჩრდილოელი მეზობლის პრობლემა»

◀არინს „სტრატეგიული საშიშროება“ უწოდოს ადამიანმა, ეს უკვე კლინიკაა და, სავარაუდოდ, განუკურნებელიც! რეალური საშიშროება კი სწორედ ის არის, რომ დღევანდელ საქართველოში ყველა სფეროში გვარამიას მსგავსი „ექსპერტები“ გვასწავლიან ჭკუას და ამ „ექსპერტების“ ძირითადი ამოსავალი წერტილი ისევ და ისევ რუსეთია.

ანუ ყველაფერი, რასაც ისინი „გვირჩევენ“, გამომდინარეობს არა ჩვენი სარგებლიდან, არამედ იქიდან, რა და როგორ ვატკინოთ რუსეთს. კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რუსეთისთვის „ტკივილისა“ და ზარალის მიყენება განხილულია, როგორც საქართველოს აშენება და აყვავება.

აი, სწორედ აქ არის დაშვებული საბედისწერო შეცდომა, რადგან, წესით, ნორმალურ ქვეყანას აქცენტი საკუთარ წარმატებაზე, საკუთარი ეკონომიკის შექმნაზე, საკუთარ კეთილდღეობაზე უნდა ჰქონდეს და არა თუნდაც აგრესიული მეზობლის „ტკენაზე“.

ეს „მეთოდი“ მით უფრო წამგებიანია მაშინ, როდესაც რეალურად არავითარი ბერკეტი არ გაგვაჩნია, აგრესორს რაიმე „ვატკინოთ“, ხოლო ჩვენი ნებისმიერი „გაფართხალება“ ისევ და ისევ ჩვენთვის მტკივნეულ საპასუხო დარტყმებს უფრო იწვევს, ვიდრე პირიქით.

აკი, აგერ, საქართველოს გადარჩენის ნიკა გვარამიასეულ ამ „ბრძნულ“ რეცეპტშიც მთავარი აქცენტი სწორედ ამაზეა გაკეთებული — ყურძენი და მანდარი თურმე მხოლოდ იმიტომ უნდა გავანადგუროთ, რომ ისინი „რუსეთზე ნოსტალგიას“ იწვევს.

„აჭარისა და კახეთის მოსახლეობას განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს რუსეთუმეობის მიმართ!“ — სწორედ ამ ფრაზით იწყებს ნიკა გვარამია თავის ამ ლეგენდარულ ციტატას.

**როგორც ჩანს, ამ ტვინით ავადმყოფ „ნიკაგვარამიებს“ იმდენად პრიმიტიული აზროვნება აქვთ, რომ ფიქრობენ, თუკი რუსეთის ბაზარზე პოტენციურად გასატანი პროდუქტი საქართველოში მოისპობა, ქართველებს რუსეთი აღარც კი გაახსენდებათ და ასე მარტივად მოგვარდება „ჩრდილოელი მეზობლის პრობლემა“.**

აქედან გამომდინარე, უნდა ველოდოთ, რომ კახეთში ვენახის, აჭარაში მანდარინის, გურია-იმერეთში ჩაის გარდა სულ მალე დამუშავდება გორში ვაშლის, ჯავახეთში კარტოფილის, სამეგრელოში მესაქონლეობის, ფშავ-თუშეთში მეცხვარეობის და ა.შ. დარგების საბოლოო გაჩანაგების გეგმა და აი, ასე უმარტივესად გადარჩება ჩვენი ქვეყანა.

რა თქმა უნდა, ახლა უცებ გადავიქცევი „რუსეთუმედ“ და „პუტინის აგენტად“, მაგრამ რა ვქნა, მაინც უნდა ვიკითხო: სხვას რას აკეთებდა საქართველოს ყველაზე დიდი მტერი შაჰ-აბასი?

აჰ, ხო, მგონი, მას მანდარინების შესახებ არაფერი უთქვამს, მანდარინები ნამდვილად ნიკას ექსკლუზივია...

### თავი 3. ორბელიანის ყუმბარა და ბუღაძის ლავაში

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი გაწამაწია გამოიწვია ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში დასმულმა შეკითხვამ: „რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში რომელ მათგანს დაუჭერთ მხარს?“

ჰოი, საოცრებავ, და მონაწილეთა 80-მა პროცენტმა ოკუპანტ და აგრესორ რუსეთს დაუჭირა მხარი.

სწორედ ეს გახდა ნახსენები პერსონების, ასევე ვანო მაჭავარიანის, ზურაბ ჭიაბერაშვილისა და სხვათა „ნასკებიდან ამოხტომის“ მიზეზი, მაგრამ სპორტის ამ ახალ სახეობაში ჩემპიონობა მაინც „მწერალმა“ ლაშა ბუღაძემ მოიპოვა.

მისი სუპერემოციური გამოსვლა „მაესტროს“ ეთერში პირდაპირ ვიდეოენციკლოპედიაში შესატანია, ისეთი მონდომებით დატუქსა ქართველი ხალხი, ისეთი მოწადინებით გვიქნია თითი და ისე დაგვანამუსა ოსმალთათვის მხარის არდაჭერის გამო, რომ ერთი პირობა ჩვენი ცხონებული „პატარა კახი“ მართლა სულელი და გამოთაყვანებული მეგონა...

უბრალოდ, საქმე ისაა, რომ, **თუკი ბულაძის გამოსვლას ემოციებისგან, მიმიკისგან და ჟესტიკულაციებისგან გავათავისუფლებთ, ხელში ერთადერთი „არგუმენტიღა“ შეგვრჩება თუქ-სელჩუკთა მხარდასაჭერად — თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა.**

აი, სწორედ ეს ფრაზა იძახა და იძახა ლაშა ბუღაძემ ტელევიზორიდან და, რაც უნდა ეკითხა მისთვის ერთობ შეუწუხებულ წამყვან მაგდა ანიკაშვილს, პასუხი მხოლოდ ეს იყო: „თურქეთი ნარტოს წევრი სახელმწიფოა!“

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მიმდინარე პროცესებში კარგად გარკვეულ ერთ თანამოსაუბრეს ვუთხარი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ადამიანთა ჯგუფზე, — ამათ, ალბათ, მართლა კარგად უხდის ამერიკა, რადგან ასეთ სისულელეებს ასე გაბედულად გაიძახიან და ამხელა სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობებს ასე იოლად იღებენ საკუთარ თავზე-მეთქი.

თანამოსაუბრემ ისე, სასხვათაშორისოდ, წამოცდენასავით მომიგდო, — არა, ამერიკა მაგათ არც კი იკადრებს ეგრე უშუალოდ, ისინი თურქეთზე არიან მიბარებული, მათ ფულს თურქეთი უხდის და ისინი გლობალურ ამერიკულთან ერთად კონკრეტულ თურქულ ინტერესებს ატარებენ საქართველოში. დამიჯერე, ეგენი პირადად ერდოღანის „კარმუშკაზე“ სხედანო.

ალალად ვამბობ, მაშინაც დაუჯერებელ ვერსიად მივიჩნიე ეს და ახლაც მიჭირს დაჯერება.

მაგრამ ფაქტია: **ლაშა ბუღაძე, უფრო სწორად „ნიკაგვარამიები“, „ლაშაბუღაძეები“, „თინახიდაშელები“ იმას კი არ საყვედურობენ ქართველ ხალხს, რუსეთს, ანუ აგრესორს რატომ ემხრობითო, არა! მათი საყვედურის ძირითადი მიმართულება არის ის, თუ რატომ ვუყურებთ ჩვენ უნდობლად თურქეთს და როგორ ვბედავთ, რომ ოსმალთა იმპერიას ერთგულებას არ ვეფიცებით.**

სელჩუკთა არმიმხრობას კი „რუსეთის სიყვარულად“ გვითვლიან და უკვე 25 წლის განმავლობაში დამკვიდრებული სრულიად ტუტუცური გამოთქმა „კრემლის აგენტი“ ეფექტიანად გამოიყენება ნებისმიერი სალი აზრის ჩასახშობად...

ოსმალთა სასარგებლო არგუმენტს კი, ანუ იმას, რომ „თურქეთი ნატოს წვერია“ მოქნილად იყენებენ იმის დასამტკიცებლად, თითქოს პანოსმალური იმპერია საქართველოს არაფერს დაუშავებს და ეს მხოლოდ რუსეთის იმპერიის პროპაგანდის გავლენაა.

გეგონება, **ნატოს წევრობა** აპრიორულად ნიშნავდეს **სამართლიანობას** და **არა აგრესორობას.**

სინამდვილეში, არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როდესაც ნატოს წევრი სახელმწიფო თავის სამხედრო სტრატეგიული ინტერესებით მოქმედებს და სულაც ფეხებზე იკიდებს იმ სამხედრო ალიანსს, რომლის წევრიც თავად არის.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ცნობილია, სულაც არ შეუკავებია თავი იმის გამო, რომ ნატომ მას თანხმობა არ მისცა ერაყში სამხედრო გზით ხელისუფლების დამხობაზე. ატომური ბომბის დამზადების საბაბით, ამ ქვეყნის პირველი პირი სადამ ჰუსეინი ოცდამეერთე საუკუნეში არაადამიანურად დასაჯეს — ჩამოხრჩვეს! ხოლო ერაყული ატომური ბომბის კვალი დღემდე არავის აღმოუჩენია.

**რაღა შორს წავიდეთ და სწორედ ნატოს წევრი თურქეთი იყო, 1974 წელს კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო ძალით რომ შეიჭრა და სულაც ფეხებზე დაიკიდა ასევე ნატოს წევრი მეორე სახელმწიფოს, საბერძნეთის, ინტერესები.**

თუკი ამ სახმდრო ალიანსის ისტორიას გადახედავთ, იოლად დარწმუნდებით, რომ მასში შემავალი სახელმწიფოები არც ისე მეგობრულნი არიან ერთმანეთის მიმართ და მათ შორის არც სამხედრო კონფლიქტებია იშვიათი და გამორიცხული...

თუმცა, როგორც ზევით ვთქვით, ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, რომელსაც არამხოლოდ თავდაცვის მინისტრებს ან ტელევიზიის დირექტორებს უნიშნავენ, არამედ მწერალი, პოეტი თუ მუსიკოსიც ასევე დანიშვნითი „თანამდებობაა“ და, თუკი „დამნიშვნელებს“ არ მოსწონხარ, შენს ნიჭიერებას არავინ არაფრად დაგიდევს.

მწერალი, პოეტი და დრამატურგი ამ ქვეყანაში არის ის, ვისაც მეტჯერ გამოაჩენენ ტელეეთერში ქვეშ მიწერილი შესაბამისი სტატუსის აღმნიშვნელი ტიტრით და შემდეგ ქვეყნის ჭკუის დამრიგებლის ფუნქციასაც ასე „ემოციურად“ შეათავსებინებენ.

რაც შეეხება ქვეყანას, მას ეს კრებითი „ლაშაბუღაძეები“, აი, ასე, ცხელი ლავაშივით ჩამოახევენ „ყუას“ და იმას ჩაუგდებენ ხახაში, ვინც „ნატოს წევრია“!

ვის რაში ადარდებს ორბელიანის ყუმბარა, რომლის გასროლითაც მას, გადმოცემის თანახმად, ახალციხეზე იერიშის დაწყების ნიშანი უნდა მიეცა, მაგრამ სახელოვანმა ქართველმა არტილერისტმა იმავე დროს ამ ერთი გასროლით ახალციხის მთავარი მეჩეთიდან ნახევარმთვარეც ჩამოხსნა და ასე მიულოცა დედასამშობლოს მისი ძირძველი მიწის — მესხეთის დაბრუნება.

**დღეს მავანთათვის გრიგოლ ორბელიანი „რუსის ღენერალია“, „სამშობლოს გამყიდველი“, „ჩინმენდლებზე დახარბებული“ „მოღალატე“ და რა ვიცი, კიდევ რა ეპითეტებით აღარ ამკობენ ამ ღვაწლმოსილ ადამიანს სოციალურ ქსელებში ჩვენი სამშობლოს „ბუღაძის ლავაშად“ გადამქცეველნი...**

ხოლო იქ, სადაც გრიგოლ ორბელიანი „მოღალატეა“, ხოლო ლაშა ბუღაძე — „ერის მამა“, სამწუხაროდ, სავსებით ნათელია, რა „შვილებიცა“ ვართ...

## რაღა შორს წავიდეთ და სწორედ ნატოს წევრი თურქეთი იყო, 1974 წელს კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო ძალით რომ შეიჭრა და სულაც ფეხებზე დაიკიდა ასევე ნატოს წევრი მეორე სახელმწიფოს, საბერძნეთის, ინტერესები

# «რიმას დიეტის» მსოფლიო აღიარება

## რიმა ბერაძეს «გაეროს» პრემიაზე წარადგენენ

**გასული კვირა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების კომენტარებმა დაიპყრო და მედიამაც უმალ აუწყო ფეხი. ჯერ იყო და გუგულის სიტყვები „გადაყლაპული“ არ გვქონდა სიგარეტის ფასის მომატებაზე, რომ ქალბატონი რიმა ბერაძე ჩადგა რიგში.**



ხო, გუგულიმ თქვა, ძალიანაც კარგი, თუ მოემატება სიგარეტს ფასი, აღარ მოწევთო და ეგ ნაკლებად მადარდებსო, არ მოწევთ და ჯანმრთელები იქნებითო.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ამ კომენტარის მოსმენის შემდეგ მწეველები მაღრაძეს პარლამენტის მოსაცდელთან ჩაუსაფრდნენ, მაგრამ, როგორც კულუარულად გაირკვა, ეს საქმე რამდენიმე ბლოკი სიგარეტით მოგვარდა და ჩაიფარცხა.

ქალბატონ რიმა ბერაძის სკანდალი კი უფრო ფართოდიაპაზონიანი აღმოჩნდა და გუგულის გადაუსწრო.

1 ლარი და 18 თეთრი — ეს საქართველოს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის გამოყოფილი თანხაა, რომლითაც ის კალორიულადაც იკვებება და ვიტამინებსაც იღებს.

დიახ, ზუსტადაც! ძალიან სწორად შერჩეული მენიუა, ფასი კი ზედ აკვდება. აბა, როგორ შეიძლება, ამის ავტორი გააკრიტიკო.

ერთადერთი, რაშიც ამერიკელებს არ ვბაძავთ, სწორედაც რომ კვებაა.

სკდებიან ჰამბურგერებით, გაზიანი სასმელებით და იმიტომაც დადიან სამლიტრიანი „ბანკებივით“.

ჰოო, ჩვენ კი ერთი ხელის მოსმით დავაყარეთ მიწა მენიუს ავტორებს და ვერ მივხვდით, რამხელა ჰუმანური აქტია ჩადებული ამ 1 ლარიან და 18 თეთრიან მენიუში.

თუ ყოველ დილით „შვრიის ფანტელები“ არ დააგემოვნე და ზედ „100 გრამი კომპოტის წვენი“ არ დააყოლე, რაა მამული?! — არც არაფერი.

თუ მეორე დღეს „ვეგეტარიანული ბორშჩი“ არ შეხვრიპე და ზედ რამდენიმე გრამი პური არ მიაყოლე, რაა მამული?! — არც არაფერი.

კვირაში ერთხელ „ხორცის ფრაგმენტებიანი წიწიბურაც“ იქნება, აბაა, ისე კი არ არის საქმე!

(ეს ამონარიდი ციტატები რიმა ბერაძის მიერ გამოქვეყნებული მენიუდანაა)

ჩვენმა წყარომ გაარკვია, რომ აღნიშნული მენიუ პირადად რიმა ბერაძის სახელობის დიეტა ყოფილა და მას მადლიერებიც ჰყოლია.

**გულიკო, 71 წლის, პენსიონერი:**

„მას შემდეგ, რაც რიმას დიეტა დავიწყე, საგრძნობლად გამიუმჯობესდა კუჭ-ნაწლავის მდგომარეობა, ადრე სულ ცხიმიანებს ვჭამდი და მუცელი მიბუყბუყებდა, ახლა სიცარიელეს ვგრძნობ და ცხოვრების ხალისიც დამიბრუნდა. დიდი მადლობა დიეტის ავტორს, მან მე ცხოვრების თავიდან დაწყების შესაძლებლობა მომცა“.

**ვერა, 69 წლის, პენსიონერი:**

„არ მესმის, რატომ ატყდა ერთი ამბავი, მშვენიერი მენიუა: ჭამ ნაკლებს და შესაბამისად წონაც ნაკლებია. დიდი ამბავი, თუ კარგად ვერ დანაყრდი, ნაყროვანება ცოდვაა და იმასაც ვერ ვხდებით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე ფიქრობს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანსაღ კვებასა და ვიტამინებზე“.

**სულიკო, 96 წლის, პენსიონერი:**

„შვილო, მე ისეთი ცხოვრება მაქვს გამოვლილი, სულ სუკებსა და მწვადებზე ვარ გაზრდილი, მაგრამ ისე მოხდა, რომ დავრჩი უმწეოდ, მთელი ცხოვრება კუჭი მაწუხებდა, ექიმები ვერაფერს მიგებდნენ და, რაც ეს დიეტა დავიწყე, იმის მერე ჩიტივით ვარ — არც არაფერი მაწუხებს და შიმშილის შეგრძნებაც თითქოს დავკარგე. მე არაფერი მაქ დასამდური ამათთანა“.

**ნაზო, 56 წლის, დიასახლისი:**

„სულ მაწუხებდა ჭარბი წონა, რა ხერხს არ მივართე და არაფერმა მიშველა. რაც ამ მენიუთი დავიწყე კვება, ყველა ძველი კაბა, რომელიც გადასაყრელად მქონდა გამზადებული, მოვირგე და თავს იდეალურად ვგრძნობ, მადლობა დიეტის ავტორს“.

რიმას დიეტით დაინტერესდა უცხოური მედიაც. როგორც „სიენენი“, „ბიბისი“ და „როიტერი“ წერენ, ქალბატონი რიმა, შესაძლოა, ადამიანთა მიმართ გამოჩენილი მზუნველობისთვის „გაეროს“ პრემიითაც კი დააჯილდოვონ.

ჩვენ კი, სანამ ენა მოგვიბრუნდება და რამე იმნაირს ვიტყვით, დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, რას ვაკრიტიკებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ დასკვნები. უხერხულია, აკრიტიკო ადამიანები, რომლებიც მთელი დღე ჯიპებით დაქრიან და იმაზე ფიქრში ინადგურებენ გონებას, თუ რა სარგებელი მოუტანონ ქვეყანას.

**ელიკო სილაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯენიფერ ფიხტერი 2014 წლის აპრილში დააპატიმრეს 17 წლის ჭაბუკთან სექსუალური კავშირისთვის, რომელთანაც ურთიერთობა 2011 წელს დაიწყო. ამ ამბის გახმაურების შემდეგ ქალის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მისმა ორმა ყოფილმა მოსწავლემ.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

ახალ რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...



## ჰოლანდიელები ღორის თავებით მიესალმნენ მიგრანტებს

**ჰოლანდიის ქალაქ ენსხედეში, გერმანიის საზღვართან, მიგრანტებისთვის მშენებარე ცენტრის ტერიტორიაზე ღორის თავები იპოვეს.**

ღორის 9 თავი დადებული იყო მშენებარე ცენტრის ღობის კონსტრუქციაზე, ოთხი მიწაზე ეყარა, ერთი კი ჰოლანდიელებმა ახლომდებარე შუქნიშანზე ჩამოაცვეს.

ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს განცხადებით, 2015 წელს ევროპაში 500 ათასზე მეტი მიგრანტი გადაბარგდა (ჰოლანდიაში 23,5 ათასი), ძირითადად — ახლო აღმოსავლეთისა და მაღრიბის ქვეყნებიდან. მათი უმრავლესობა მუსლიმანია, რომლებიც თვლიან, რომ ღორი უწმინდური ცხოველია.



## ამერიკელმა ფასტფუდის გამო მამა მოკლა, დედა კი დაჭრა

**„ლუიზიანის შტატის (აშშ) მცხოვრები მამის მკვლელობისა და დედის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს“, — იუწყება ამერიკული გამოცემა New York Daily News-ი.**

ინციდენტი მოხდა ამა წლის 25 ნოემბერს. 58 წლის **პერსივალ პრიტჩეტი** საკუთარ სახლში დანით აკუწეს, მისი ცოლი 57 წლის **რენტა პრიტეჩტი** კი რამდენჯერმე დაჭრეს. ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად მძიმე არ არის.

დანაშაულში ეჭვმიტანილია მათი ვაჟი, 32 წლის **რონალდ პრიტჩეტი**. პოლიციელთა განცხადებით, თავდასხმის მიზეზი იყო ის, რომ მშობლებმა მხოლოდ თავიანთვის შეუკვეთეს ფასტფუდი, შვილს კი არაფერი შეხვდა.

ეჭვმიტანილი ინციდენტიდან მეორე დღეს დააკავეს ნათესავის ბინაში.




## ფიტნესის ინსტრუქტორს თავისი შვილის 15 წლის მეგობართან სექსისთვის ციხეში მუშაობა მიუსაჯეს

**„აშშ-ში, დელავერის შტატში გაასამართლეს ფიტნესის 48 წლის ინსტრუქტორი, ყოფილი ჩირლიდერი მოლი შეტაკი, რომელიც დამნაშავედ ცნეს პედოფილიაში. 48 წლის სპორტსმენმა ქალმა, რომელიც დაქორწინებული იყო ენერგეტიკული კამპანიის ხელმძღვანელზე, ორალური მეთოდით იძალადა თავისი შვილის 15 წლის მეგობარზე“, — იუწყება USA Today.**

მოლი შეტაკს შვილის მეგობართან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა თავის აგარაკზე ბეტანი-ბიჩიში, სადაც ახალგაზრდები ნაციონალურ დღესასწაულს აღნიშნავდნენ. როგორც სამართალდამცველებმა გაარკვიეს, სამი შვილის დედას — მოლი შეტაკსა და 15 წლის ყმაწვილს რამდენჯერმე ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობა ავტომობილში.

ქალს 15-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ სასამართლომ სასჯელი შეუმსუბუქა და ახლა მან 2 წლის განმავლობაში, ყოველ ორ კვირაში ერთხელ სამუშაოები უნდა შეასრულოს პენიტენციურ სისტემაში. ამის გარდა, მოლი შეტაკმა 10 ათასი დოლარი დადაუხადა „დაზარალებულის“ ოჯახს.




## რელიგიური სკოლის მასწავლებელი მოსწავლესთან სექსუალური ურთიერთობისთვის დააპატიმრეს

**ქალაქ მობილის (შტატი ალაბამა, აშშ) რელიგიური სკოლის 33 წლის მასწავლებელი ქალი კრისტინა ბაზზი არასრულწლოვან მოსწავლესთან სექსუალური ურთიერთობის ბრალდებით დააპატიმრეს.**

აკრძალული სიყვარულის შესახებ პოლიციელებმა შეიტყვეს ეს-ემ-ეს მიმოწერიდან, რომლის მიხედვითაც მასწავლებელ ქალსა და მოსწავლეს შორის სექსუალური ურთიერთობა ამა წლის გაზაფხულზე დაიწყო.

ქალაქ მობილის შერიფის განცხადებით, „შეუფერებელი ურთიერთობის“ შესახებ აკადემია Faith-ს („რწმენა“) კურსდამთავრებულის დედამ აცნობა. ქალმა სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებსაც მოუყვა თავისი შვილისა და მასწავლებლის სექსუალური ურთიერთობის შესახებ.

17 წლის ყმაწვილი და 33 წლის მასწავლებელი ერთმანეთს მასწავლებლის ბინაში ხვდებოდნენ.



## ფლორიდელი «მტაცებელი»

**2015 წლის 3 ივლისს ქალაქ ბარტოუს (ფლორიდის შტატი, აშშ) სასამართლომ ინგლისური ენის მასწავლებელ ქალს, რომელიც „სექსუალური განათლების“ გაკვეთილებს უტარებდა თავის სამ 17 წლის მოსწავლეს, განაჩენი გამოუტანა — თავისუფლების აღკვეთა 22 წლით.**

ჯენიფერ ფიხტერი 2014 წლის აპრილში დააპატიმრეს 17 წლის ჭაბუკთან სექსუალური კავშირისთვის, რომელთანაც ურთიერთობა 2011 წელს დაიწყო. ამ ამბის გახმაურების შემდეგ ქალის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მისმა ორმა ყოფილმა მოსწავლემ.

მოსამართლე განაჩენის გამოცხადებისას ეპითეტებს არ იშურებდა. მან ფიხტერს „მტაცებელი“ უწოდა. არასრულწლოვანთან სექსუალური ურთიერთობის გამო „მტაცებელი“ პირველად 2008 წელს გაეხვია სკანდალში, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა და მასწავლებლის სამსახურიდან „საკუთარი სურვილით“ გათავისუფლებით დასრულდა. 2011 წელს ფიხტერი ქალაქ ლეიკლენდის სკოლაში აიყვანეს მასწავლებლად, მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ 17 წლის მოსწავლეებთან გააბა რომანი.

აღსანიშნავია, რომ ჯენიფერ ფიხტერმა ციხეში 22 წელი უნდა გაატაროს, 1 წლით ნაკლები ტერორისტ **ანდრეს ბრეივიკზე**, რომელმაც ნორვეგიაში 77 უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური კარიკატურის გაზეთმა „შარჟ ი პერომ“ („შარჟი და კალამი“) დაიწყო ახალი პროექტი „შარჟ & LOVE“, რომელსაც საფუძვლად დაედო მსოფლიოში ცნობილი კომიქსები „LOVE IS…“.** გთავაზობთ ამ გამოცემის მიერ გავრცელებულ რამდენიმე კარიკატურას, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ასახავს.

# კარიკატურისტის თვალით დანახული დასავლური დემოკრატია





















# ნატოს წევრები ვერ თანხმდებიან, რა მესიჯი გაუგზავნონ საქართველოს გაწევრების იმედზე საპასუხოდ

**„დიპლომატები ამბობენ, რომ ნატოს მოკავშირეების აზრი გაიყო საკითხზე, რა მესიჯი გაუგზავნონ საქართველოს ალიანსში წევრობის განაცხადზე. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას არგუმენტად მოჰყავს, რომ რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ალიანსი ყოფილი საბჭოთა ქვეყნის დაცვას ვერ შეძლებს.**

2008 წლის აპრილის სამიტზე ნატო საქართველოს წევრობას შეჰპირდა, თუმცა კონკრეტული ვადა არ დაუსახელებია. ეს გადაიზარდა მოსკოვთან დაძაბულობაში, რომლის კულმინაციაც ოთხი თვის შემდეგ ომი და რუსული ჯარების მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაცია იყო.

მას შემდეგ საქართველოს გაწევრების საკითხის განხილვამ მეორე პლანზე გადაიწია, თუმცა ეს საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში, როცა ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები გადაწყვეტენ, დაიწყოს თუ არა მოლაპარაკებები მონტენეგროს ალიანსში გაწევრების საკითხზე. როგორც მოსალოდნელია, ამ შეხვედრაზე თბილისის მისწრაფებებზე ახალი განცხადება გაკეთდება.

ნატოს გაფართოებას აშშ რუსეთის მიმართ საკუთარი სტრატეგიის საკვანძო საკითხად მიიჩნევს, თუმცა ახლა, როცა ნატოს წევრებს რუსეთის დახმარება „ისლამური სახელმწიფოს“ დასამარცხებლად და უკრაინაში კრიზისის მოსაგვარებლად სჭირდებათ, ზოგიერთი მათგანი ემხრობა ფრთხილ მიდგომას გაფართოების საკითხზე, რომელსაც რუსეთი საფრთხედ მიიჩნევს.

„ზოგიერთი წევრი ღელავს, რომ მონტენეგროს მიწვევა, შესაძლოა, საქართველოსთვის არასწორი სიგნალი გახდეს“, — ამბობს ნატოს ანონიმური დიპლომატი სააგენტო „როიტერთან“.

გერმანია, რომელიც მონტენეგროს გაწევრებას მხარს უჭერს, საქართველოს წევრობის კვლავ წინააღმდეგია, როგორც ეს 2008 წელს იყო. სხვა ქვეყნები, მაგალითად დანია და ბელგია, ამ საკითხზე კონსენსუსს ელოდებიან.

ნატოს წესდების მიხედვით, ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა მთელ ალიანსზე, რომელიც ნატოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს დაცვის გარანტიას აძლევს. თუმცა რუსეთის მიერ ყირიმსა და შავ ზღვაში ჰაერ და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება უფრო ართულებს საქართველოს დაცვას ხმელთაშუა ზღვიდან ან თურქეთიდან, რომელიც ნატოს წევრია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქმედებების შემთხვევაში საჭირო გახდება დასავლეთ ევროპიდან სახმელეთო ჯარების გადასროლა.

გარდა ამისა, ნატოში გაწევრების შეთავაზება დამოკიდებულია იმაზე, მოგვარებული აქვს თუ არა ქვეყანას ტერიტორიული დავები, რაც აშკარა დაბრკოლებაა როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინისთვის. სხვა ქვეყნები, კერძოდ, აშშ, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ალიანსის ყველაზე ერთგული პარტნიორი და ავღანეთში მთავარი კონტრიბუტორია და სურს, რომ ეს გათვალისწინებული იყოს საქართველოს წევრობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

„მათ არ სურთ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს საქართველოს გაწევრების საკითხი ჰაერშია გამოკიდებული“, — ამბობს ნატოელი დიპლომატი.

თუ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები წევრობის საკითხზე მონტენეგროსთან მოლაპარაკების დაწყებას მწვანე შუქს აუნთებენ, ეს იქნება ნატოს გაფართოების პირველი შემთხვევა 2009 წლის შემდეგ.

# რუსეთის პროკურატურამ სოროსის ფონდი არასასურველ ორგანიზაციად გამოაცხადა

**რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ფონდი „ღია საზოგადოება“ და ინსტიტუტი „ღია საზოგადოება ხელშეწყობის ფონდი“ არასასურველ ორგანიზაციებად ცნო.**

„მათი საქმიანობა რუსეთის საკონსტიტუციო წყობასა და სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს“, — განაცხადა პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარინა გრიდნევამ. „არასასურველი“ ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების გამო, აღნიშნული ფონდები რუსეთში პროექტების განხორციელებას ვერ შეძლებენ.

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენი იმპერიისთვის ამ ღირსსახსოვარი და სასარგებლო მოვლენის შემდეგ, რომლის განსახორციელებლად თქვენ მონდომებით ილვაწეთ, ქართლის მეფის მაგალითს იმერეთის მეფემ სოლომონმაც მიბაძოს. მისი განწყობილება ჩვენს ამ სურვილს ეთანადება, მაგრამ მისი ერთგვარი დამოკიდებულება თურქეთის იმპერიაზე გვარწმუნებს, რათა თავი შევიკავოთ ამ ქმედების განხორციელებისგან მანამდე, სანამ ჩვენ შორის აშკარა განხეთქილება არ მოხდება ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამას არ გვაიძულებს თურქების სიჯიუტე და ჩვენი მოთხოვნილებების შესრულებისთვის თავის არიდება... ან ჩვენი ერთმორწმუნე ხალხის შევიწროება.

# გეორგიევსკის ტრაქტატი

# — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

## გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-43 (323-325)

## 1783 წ.

**უადრეს 1783 წლის 31 იანვრისა. ქუბისა და დერბენდის ფეხტ ალიხანის დესპანის, ასმეთაურ აჯიბეკის წერილი კავკასიის კორპუსის სარდალს გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს მიერ აზერბაიჯანისა და დაღესტნის სახანოების საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ**

„რუსეთის *(სამეფო)* კარისთვის ხანის წარდგენას არავითარი რეზოლუცია არ მოჰყოლია სამი თვის შემდეგაც. ფეხტ ალიხანი, ჩემი მბრძანებელი, უმორჩილესად გთხოვთ იშუამდგომლოთ ამის თაობაზე მისი იმპერატორობის დიდებულების წინაშე და თქვენი წარმომადგენლობა *(შუამავლობა?)* არ მოგვაკლოთ.

საქართველოს მეფის ერეკლეს ბრალია, მის მიერ წაქეზებული დაღესტნის მპყრობელები ავარიისა და კაზიკუმის მფლობელები თავს რომ დაესხნენ ფეხტ ალიხანს და სრულად დაარბიეს ხანის სოფელი.

ერთი წელიწადი იქნება, რაც მეფე ერეკლეს დაძალებით შუშას ხანს იბრაჰიმს ტყვედა ჰყავს განჯელი მაჰმად ხანი.

ასევე, — ყარადაღილი კიაზიმ ხანის ვაჟიშვილი მუსტაფა, მხოლოდ იმიტომ, რათა ისინი მორჩილებდნენ მას, მეფეს და ხარკს უხდიდნენ მას და არა სხვას. ზემოთ ნახსენებ იბრაგიმხანს და მეფე ერეკლეს ახლო მეგობრობა აკავშირებთ.

თუ მეფე ერეკლე მართლაც ერთგულია სრულიად რუსეთის ტახტის, უნდა დაეხსნას სპარსეთის ხანებს, მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა მისცეს ისე, როგორც ამას რუსეთი აკეთებს, მით უფრო, რომ მათი შევიწროების დემონსტრირება ერეკლესთვის არაა საჭირო და არც უნდა იყოს.

რუსეთის საიმპერატორო ტახტისადმი კეთილგანწყობის დასადასტურებლად ფეხტ ალიხანი არ შეეხება ერეკლე მეფის სამფლობელოს, მაგრამ თუ იგი, ფეხტ ალიხანი, შუშელ იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მეფე ერეკლე იბრაჰიმ ხანს არაფრით დაეხმაროს.

ქალაქ განჯაში ერეკლე მეფემ უფროსად, ანუ კომენდანტად თავისი კაცი დააყენა. ხანი გთხოვთ, რომ ერეკლე მეფეს უბრძანოთ მისი უკან გამოხმობა" ***(მომდევნო ტექსტი დაზიანებულია).***



**1783 წლის 31 იანვარი. ამონარიდი კავკასიის კორპუსის სარდლის, გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინის პატაკიდან სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტს გენერალ-ანშეფს, უგანათლებულეს თავად გ.ა. პოტიომკინს აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის აგენტების შეტყობინების თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობისა და ახალციხისა და სინოპის ფაშებთან ურთიერთობის შესახებ**

„ჩემს ბოლო პატაკში, რომელსაც დავურთე საქართველოსა და იმერეთში მყოფი თქვენი რწმუნებული კაცის ბატონ რენექსის წერილები, თქვენი უგანათლებულესობა შეამჩნევდა, რაოდენ მცირე იმედი აქვს მას ერეკლე მეფის გულმოდგინებისა. ამ დღეებში ჩემი კონფიდენტებისგან მივიღე ორი მსგავსი შეტყობინება... სამი დღის წინათ კი — საქართველოდან მოზდოკში მიმავალ ქართველს ფორპოსტზე ჩამოართვეს წერილები, რომელთაგან ორი თავად გრიგოლ გრიგორის ძე ორლოვის სახელზეა და მათ ორიგინალებს თან ვურთავ, მესამეს კი თარგმნილს მოგართმევთ. ამ წერილის შინაარსმა მიკარნახა მესარგებლა ახალციხის ფაშის ჩემდამი კეთილგანწყობით, რომელთანაც უკვე გავაგზავნე სანდო კაცი, მეორე კი გავაგზავნე სინოპში ალიბეისთან, რადგან ჩემამდე მოაღწია არცთუ უსაფუძვლო ცნობებმა პორტასკენ მისი გადახრის შესახებ. მაგრამ რადგან უკიდურესად მიჭირს უფულობა, გავბედე ამ და უწინ მოსული საიდუმლო გზავნილებისთვის გამომეყენებინა ჩემთვის მოცემული ჩერვონცები. მაგრამ ხუთასზე მეტის დახარჯვას ვერ გავბედავ. კავკასიის მთებს იქით სრულიად უბრალო შიკრიკის ერთი გაგზავნა 60 რუბლზე იაფად შეუძლებელია.

დერბენტის ხანის სურვილისამებრ ერეკლე მეფესთან გავაგზავნე პორუჩიკი ჩორინი, და თუ რამ ცნობას მივიღებ მისგან, დაუყოვნებლივ გამოვუგზავნი თქვენს უგანათლებულესობას.

**გენერალ-პორუჩიკი**
**პოტიომკინი"**

**1783 წლის 31 იანვარი. კავკასიის კორპუსის სარდლის გენერალ-პორუჩიკ პ.ს. პოტიომკინის პატაკი სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტს თავად გ.ა. პოტიომკინს ქუბისა და დერბენტის ხანის ფეხტხალის ქართლ-კახეთის მეფესთან ერეკლე II-თან ურთიერთობისა და მათ შორის კონფლიქტის ასაცილებელი ღონისძიებების შესახებ**

„...მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დერბენტის ხანთან ფეხტ-ალისთან გაგზავნილი პოდპორუჩიკი ბატირევი დაბრუნდა და მაცნობა თავისი შენიშვნები, რომელთაც აქ ვურთავ. მას კვალდაკვალ მოჰყვა ზემოთ ნახსენები დერბენტის ხანის ფეხტალის კაცი, იუზბაში აჯი ბეკი წერილით, რომლის ასლსაც გაახლებთ.

მქონდა პატივი, ჩემს წინა პატაკებში თქვენი უგანათლებულესობისთვის მომეხსენებინა, რომ ლეკეთის მფლობელისათვის უმხან ავარიელისთვის მიმემართა, რათა იგი თავს აღარ დასხდომოდა დერბენტის ხანს და დაეშალა თავისი ჯარი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ მაქვს ზუსტი ცნობები, არცთუ უსაფუძვლოდ ვფიქრობ, რომ ჩემმა რჩევამ და ჩემმა წერილმა იმოქმედა, რადგან ნახსენებმა უმხან ავარიელმა მყისვე დაითხოვა თავისი ჯარი; მაგრამ ამ დამთავრებულ ომს უნდა მოჰყვეს ახალი, რომლისთვისაც დერბენტის ხანი თავისი ჯარით ემზადება...

მის მიერ გამოგზავნილმა იუზბაშმა (ასმეთაურმა) აჯი ბეკმა განაცხადა ის, რის შესახებაც წერილშია ნათქვამი. კერძოდ, ფეხტ ალი ხანი, რომელმაც შეაგროვა ოცდახუთ ათასიანი ლაშქარი, აპირებს ისარგებლოს შემთხვევით და გამოიხსნას განჯისა და ერევნის ხანები, რომლებიც ხელთ იგდო მეფე ერეკლემ და დატყვევებული ჰყავს.

რადგან თქვენი უგანათლებულესობისგან არ მაქვს მიღებული არავითარი მითითება ამ მხარესთან დაკავშირებით, მიძნელდება იმის გაგება, თუ რა სურს თქვენს უგანათლებულესობას. **ერთი მხრივ, ბევრი მიზეზი მაქვს დავეჭვდე მეფე ერეკლეს ერთგულებაში, რაც უთუოდ შეამჩნიეთ ჩემს განსაკუთრებულ მოხსენებაში, მეორე მხრივ, საქართველოს სამეფო ითვლება მისი საიმპერატორო დიდებულების ერთგულად, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ყარადაღისა და ყარაბაღის ქვეყნებში აღმართული მახვილი შეიძლება წინ აღუდგეს თქვენი წინადადებების განხორციელებას. ამ მოსაზრებით ვიხელმძღვანელე, როცა ავუკრძალე დერბენტის ხანს ერეკლე მეფის დარბევა.** მტკიცედ მოვითხოვე დამშვიდებულიყო. იუზბაში დამთანხმდა და დამარწმუნა, რომ დერბენტის ხანი ჩემს რჩევას არ გადავა. ამაში რომ დავრწმუნებულიყავი, აჯი ბეკთან ერთად გავგზავნე სეკუნდ-მაიორი გაუზენი, რომლისგანაც ფეხტ ალი ხანის ნამდვილ განწყობილებას შევიტყობ, რადგან ვერ ვენდობი აჯი ბეკის მსწრაფლ დათანხმებას, რომ არ შეეხება ერეკლე მეფის სამფლობელოს. ვერ ვენდობი მის დაპირებას.

თქვენთვის ცნობილია, რომ ეს ყაენი ყოველთვის ცდილობს წარმოჩნდეს როგორც სხვისთვის ანგარიშის გამწევი ადამიანი, ისეთი სამსახურის გამწევი, რომელიც მას არაფერი უჯდება — გზაზე დამდგარს ყოველთვის ჩუქნის იმას, რისი აღებაც არ შეუძლია, მზადაა დაუთმოს ის, რის დატოვებაზეც არასოდეს უფიქრია: ეგებ სურს, რომ ამჟამად გარკვეული ფასი დაადოს თავის მორჩილებას... ვბედავ ვთხოვო თქვენს უგანათლებულესობას, დამარიგოთ, როგორ უნდა მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და ფეხტ ალი ხანი თავს დაესხა ერეკლე მეფეს, რა უნდა მოვიმოქმედო, რადგან ფრიად დარწმუნებული ვარ, რომ მეფე ერეკლე დახმარებას გვთხოვს.

უკან დაბრუნებისას ხშირად ნახსენებმა იუზბაშმა მთხოვა, რომ მიმემართა მეფე ერეკლესთვის, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა ზემოთ ნახსენები განჯისა და ერევნის ხანები. ამაზე უარი ვუთხარი, მაგრამ დავპირდი, რომ შევეკითხებოდი ერეკლეს, რა მიზეზით ჰყავს ისინი დაპატიმრებული და შემდეგ განვახორციელებდი მათ დასახსნელ ღონისძიებებს. ეს გავაკეთე დროის მოსაგებად, რათა შემდეგ მოვიქცე იმგვარად, როგორც თქვენი უგანათლებულესობა ინებებს, რასაც მოუთმენლად დაველოდები...

**გენერალ-პორუჩიკი**
**პოტიომკინი**
**იანვრის დღე 31-ე,**
**1783 წლის. წმინდა**
**გიორგის ციხესიმაგრე".**

**«ამას თან ვურთავთ პროექტს ტრაქტატისა ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლესთან ჩვენს მფარველობაში მისი მიღებისა და მის მიერ უმაღლესი ძალაუფლების აღიარების შესახებ. (ტრაქტატის პროექტი) შეიცავს ყველა იმ პუნქტს, რომლებსაც შეიცავდა ამ თვითმპყრობელის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი თხოვნანი... ეს მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან ჩვენ შევეცადეთ არა მხოლოდ დაგვეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნები, არამედ გადავაჭარბეთ კიდეც, კი არ მივითვისეთ მისი მორთმეული ხარკი, არამედ დავუტოვეთ მას მისთვისვე სასარგებლოდ»**



„ძალიან უყვარდა ლენა ყიფშიძე... გადავუხადეთ ქორწილი. სულ სამი თვე იცხოვრეს ერთად... დაცილდნენ რატომღაც. მერე აღარავინ შეურთავს... ძალიან გულნატკენი იყო. ეტყობა, ბედ-იღბალი მთლად არ სწყალობდა ჩემს ძმიას...“

უძმე დღეების ჩანაწერები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1783 წლის 17 თებერვალი. იმპერატრიცა ეკატერინე II-ს ბრძანებულება სამხედრო კოლეგიის გენერალ-ანშეფს, ბრწყინვალე თავად გ.ა. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფესთან ერეკლე II-სთან მოლაპარაკების წარმოებისა და იმერეთის მეფის სოლომონ I-თან ურთიერთობის შესახებ

„ღვთის შეწევნით ჩვენ, ეკატერინე მეორე, სრულიად რუსეთის იმპერატრიცა და თვითმპყრობელი და სხვა და სხვა და სხვა.

ჩვენს გენერალს, სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტს, ნოვოროსიისკის, აზოვის, ასტრახანისა და სარატოვის გენერალ-გუბერნატორს თავად პოტიომკინს.

ამას თან ვურთავთ პროექტს ტრაქტატისა ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლესთან ჩვენს მფარველობაში მისი მიღებისა და მის მიერ უმაღლესი ძალაუფლების აღიარების შესახებ. *(ტრაქტატის პროექტი)* შეიცავს ყველა იმ პუნქტს, რომლებსაც შეიცავდა ამ თვითმპყრობელის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი თხოვნანი... ეს მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან ჩვენ შევეცადეთ არა მხოლოდ დაგვეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნები, არამედ გადავაჭარბეთ კიდეც, კი არ მივითვისეთ მისი მორთმეული ხარკი, არამედ დავუტოვეთ მას მისთვისვე სასარგებლოდ.

**(ეკატერინე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერეკლე II-ს სრული უფლება აქვს, დადოს ეს ტრაქტატი თავის წარჩინებულებთან განხილვის შემდეგ, რუსეთისგან ყოველგვარი დამოძღვრების გარეშე. ამასთანავე, სთხოვს ამ საქმის სწრაფად დასამთავრებლად გააგზავნოს თავისი რწმუნებულები ტრაქტატის დებულებათა ერთობლივი განხილვისთვის, ირწმუნება, რომ მისი *(რუსეთის)* მიზანი ამ შემთხვევაში სრულიად უანგაროა).**

სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენი იმპერიისთვის ამ ღირსსახსოვარი და სასარგებლო მოვლენის შემდეგ, რომლის განსახორციელებლად თქვენ მონდომებით იღვაწეთ, ქართლის მეფის მაგალითს იმერეთის მეფემ სოლომონმაც მიბაძოს. მისი განწყობილება ჩვენს ამ სურვილს ეთანადება, მაგრამ მისი ერთგვარი დამოკიდებულება თურქეთის იმპერიაზე გვარწმუნებს, თავი შევიკავოთ ამ ქმედების განხორციელებისგან მანამდე, სანამ ჩვენს შორის აშკარა განხეთქილება არ მოხდება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამას არ გვაიძულებს თურქების სიჯიუტე და ჩვენი მოთხოვნილებების შესრულებისთვის თავის არიდება... ან ჩვენი ერთმორწმუნე ხალხის შევიწროვება. ჩვენთვის მონდომებულ თქვენს სამსახურსა და ხელოვნებას თქვენსას სავსებით ვენდობით, გვჯერა ხელიდან არ გაუშვებთ არაფერს ისეთს, რაც მხოლოდ და მხოლოდ დაეხმარება იმერეთის თვითმპყრობელის ჩვენდამი ერთგულების, ხოლო მის ქვეშევრდომთა რუსეთისადმი ნდობის განმტკიცებას.

ერეკლე მეფეს და მის ხალხებს ახლადშეძენილი მდგომარეობიდან გამომდინარე რომ უჩნდებათ სარგებლიანობა და უპირატესობა, სოლომონ მეფესაც ასეთივე არჩევანისკენ უბიძგებს...

ამ ნეგოციაციისთვის საჭირო თანხის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება თქვენს მიერ ადამიანებისა და *(ხელშეკრულების დადების)* ადგილის შერჩევაზე, რის შესახებაც თქვენს შეტყობინებას ველოდებით.

**თქვენ მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი და მოწყალე
გაცემულია სანკტ-პეტერბურგს, თებერვლის მე-17 დღეს 1783 წლისა.
ეკატერინა“**



ერეკლე მეფის წერილი პ.ს. პოტიომკინს

# ასე იცხოვრა ეროსიმ...

**ბავშვობისდროინდელი განუმეორებელი განცდა: სოფელს ბინდი ეპარება, ფერდებამოვსებული საქონელი ნებიერი ბღავილით ბრუნდება სამწყემსურიდან, შარვალდაკოტავებული ბიჭები, ფეხბურთის თამაში ეს-ესაა რომ დავამთავრეთ, ეზოში, კოინდარზე ვყრივართ და მოუთმენლად ველოდებით ნამდვილი ფეხბურთის დაწყებას. რამდენიმე წუთიც და რადიომიმღებიდან სანუკვარი მარშის ხმა ეფინება ეზო-ყურეს...**

და **ეროსი მანჯგალაძე** ომახიანად იწყებს: „ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი, ლაპარაკობს თბილისი, ჩვენი მიკროფონები თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა!..“ შემდეგ ეროსის ვბაძავდით, ხმას ვიბოხებდით და, თუ ზოგჯერ ეროსი მანჯგალაძეს არ მიჰყავდა მატჩის რეპორტაჟი, გულდაწყვეტილი ვიყავით, რაღაც ეშხი და მარილი აკლდა გადაცემას.

ჰოი, როგორ მინდოდა, გამეცნო ეს ბუხუნა ხმის მქონე კაცი, რომლის ყოველი გამოსვლა რადიოთი ფეხბურთის რეპორტაჟების, რადიოსპექტაკლებისა თუ მხატვრული კითხვის დროს ერთიანად მიმაჯაჭვავდა ხოლმე რადიომიმღებთან.

თბილისში რომ ჩამოვედი, გავიცანი „ცოცხალი ეროსი მანჯგალაძე“ ჯერ სპექტაკლებიდან, შემდეგ კი გაზეთ „კომუნისტიდან“ გამაგზავნეს მასთან სასაუბროდ. და ბატონი ეროსიც მომიყვა, როგორ გახდა დიმიტრი ალექსიძისა და გიორგი ტოვსტონოგოვის მოწაფე, როგორ მოხვდა რუსთაველის თეატრში...

საუბრისას ისიც მითხრა, თეატრის გარდა, როგორ უყვარდა ლიტერატურა, როგორ ჰგვრიდა განსაკუთრებულ სიამოვნებას ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონის ნაწარმოებების კითხვა... როგორ უყვარდა თავისი უმცროსი დაიკო, და, რომ ერთადერთი, ის შერჩა მის ცხოვრებას.

...გული დაწყვიტა ყველას, შემოქმედებით ზენიტში მყოფი, შემქმნელი დაუვიწყარი სახეებისა სპექტაკლებში: „ჭინჭრაქა“, „ესპანელი მღვდელი“, „დიდი ხელმწიფე“, „გვადი ბიგვა“, „ოიდიპოს მეფე“, „ხანუმა“, „ჩვენი პატარა ქალაქი“ და ასე შემდეგ... უზადო შემსრულებელი კინოროლებისა ფილმებში: „წარსული ზაფხული“, „ლონდრე“, „ნატვრის ხე“, „თოჯინები იცინიან“, „ქვევრი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ვერის უბნის მელოდიები“... და სხვა, მოულოდნელად რომ წავიდა ჩვენგან 57 წლისა.

ბევრს ახსოვს გადაჭედილი რუსთაველის გამზირი ეროსი მანჯგალაძის დაკრძალვის დღეს... ოპერის თეატრიდან გამოსვენებული დიდი მსახიობი ხელით მიასვენეს დიდუბის პანთეონამდე...

განა ასეთ ბედს ყველას ჩუქნის მამაზეციერი?!

რა შეიძლება ვთქვათ ამჯერად მასზე ისეთი, რაც ჩვენი მკითხველისთვის, შეიძლება სიახლე იყოს? მაგალითად, ხომ არ შევეხმიანოთ მის უსაყვარლეს დაიას, ქალბატონ ბელას? იგი ამჟამად ძალზე ხანდაზმულია, მაგრამ, იქნებ, ტელეფონზე რამე-რუმე ჩამაწერინოს... მართლაც, ვრეკავ ვაკეში, ეროსი მანჯგალაძის ბინაში. ყმაწვილის ხმამ მიპასუხა.

**— ვინ ბრძანდებით?** — ვეკითხები.

— მე ეროსი ვარ!

გამაჟრიალა ტანში...

**— როგორ, ეროსი?!**

— კი, ბელა ბებოს შვილიშვილი — ეროსი ბალავაძე!..

— ო...ო...ო...ო... იცოცხლე შვილო, გაგემართლებინოს ეროსი ბაბუს სახელი!.. ეროსი მკარნახობს ქალბატონ ბელას ტელეფონის ნომერს, მეც ვრეკავ, ვეცნობი, ვთხოვ, ერთი-ორი სიტყვა მითხრას თავისი სახელოვანი ძმის შესახებ და ისიც იხსენებს ზოგიერთ ეპიზოდს.

* * *

— სამი დედმამიშვილი ვიყავით — რეზო გვყავდა უფროსი ძმა მე და ეროსის... ეროსი ჩემზე 4 წლით იყო უფროსი...

**— რა პროფესიის ბრძანდებით, ქალბატონო ბელა?**

— უნივერსიტეტი დავამთავრე, ფსიქოლოგი ვარ... ძალიან ტრავმირებული ოჯახი გვქონდა... ერთ წელიწადს მშობლებმა ბავშვები ბებიასთან წაგვიყვანეს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში. რაღაც ბედად, დედა მწიფე ბალის ხეზე ავიდა, ტოტი მოუტყდა, ჩამოვარდა, საშინლად დაიმტვრა და 26 წელი ლოგინში გაატარა... ულამაზესი რაჭველი ქალი იყო, დიდ პატივს სცემდა სამსახიობო ხელოვნებას და ეროსის სწორედ მან დააძალა, სამსახიობოზე ჩაბარება... უფროსი ძმა — რეზო 1940 წელს ჯარში გაიწვიეს, წავიდა და წავიდა... მამა ცნობილი ეკონომისტი იყო... გამოიარა პატიმრობა, 30-იანი წლები გაუხსენეს... მოკლედ, ასე ვიყავით სევდიან-დარდიანები... ეროსი გვართობდა ცოტას... აღარ იცოდა, ჩემთვის როგორ ესიამოვნებინა. ძალიან მგრძნობიარე, თბილი გულის პატრონი იყო. უკვე მოგვიანებით, ცნობილი კაცი რომ გახდა, მოვიდოდა ჩვენთან და პირველად იმას იკითხავდა — ვინმე ჩვენიანს ხომ არაფერი უჭირსო. ბლოკნოტი ჰქონდა და მასში ინიშნავდა ჩემი ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის საკეთებელ საქმეს...

**— ვიცი, რომ უამრავი მეგობარი ჰყავდა და მათთან დროსტარებაც უყვარდა...**

— ვაკეში ყოველდღეს სავსე იყო მისი ბინა... დიასახლისი ხშირად მე ვიყავი... თვითონ ცოტ-ცოტას სვამდა. ახალგაზრდობაში კუჭი გაუსკდა და ბეწვზე გადარჩა... ჩემს შვილიშვილებს დაუტოვა ვაკეში ბინა... ეროსი და ირაკლი ბალავაძეები სტუდენტები არიან... კარგი ბიჭები...

**— თავად ვერ შექმნა ოჯახი...**

— ძალიან უყვარდა **ლენა ყიფშიძე...** გადავუხადეთ ქორწილი. სულ სამი თვე იცხოვრეს ერთად... დაცილდნენ რატომღაც. მერე აღარავინ შეურთავს... ძალიან გულნატკენი იყო. ეტყობა, ბედ-იღბალი მთლად არ სწყალობდა ჩემს ძმიას...

**— საერთოდ, გულნატკენი წავიდა, ქალბატონო ბელა, არა?..**

— კი... თეატრში მოხდა რაღაც... უკვე ქვეყანამ იცის და აღარ გვინდა მასზე ლაპარაკი...

**— თქვენი ნებაა... რა თქმა უნდა, მისი ყველა როლი გეყვარებათ, მაგრამ თუ გამოარჩევთ მაინც რომელიმეს?..**

— მართლაც ყველა როლი ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ გვადი ბიგვას მაინც გამოვარჩევ!..

**— უღრმესი მადლობა, ქალბატონო ბელა!.. ბოდიშს გიხდით... დაგღალეთ!..**

— მადლობა თქვენ, ჩემი ეროსი რომ გაიხსენეთ!..

**— იცოცხლეთ!..**

# ასე ცხოვრობს ბურჭულაძე...

**ახალგაზრდა, ნიჭიერ და უკვე აღიარებულ ქართველ ბანს — პაატა ბურჭულაძეს, რომელიც ევროპა-ამერიკის ქვეყნებში მიემგზავრებოდა საგასტროლოდ, გზა დავულოცე, წარმატებები ვუსურვე და, მართლაც, ისე ყველაფერი კარგად აგვიხდეს, რა სახელ-დიდებაც პაატამ უცხოეთის საოპერო თეატრებში თავისი გამოსვლებით მოიპოვა... ეს დაახლოებით 35 წლის წინათ იყო... ისე მოხდა, რომ მას შემდეგ, როგორც ჟურნალისტი, აღარც შევხვედრივარ, სტრიქონიც აღარ დამიწერია მასზე... გულით მიხაროდა, მის სასიკეთო მამულიშვილობას რომ ვხედავდი და ვისმენდი...**



რატომ გადავედი წარსულ დროში?.. აგერ, გუშინ, გუშინწინ არ იყო ეს ყველაფერი?!

ჰაი, ჰაი, რომ იყო!.. იყო, სანამ პაატას პოლიტიკაში ჩართვა მოუნდებოდა და სანამ თავისი პარტიის თუ გაერთიანების შექმნას გადაწყვეტდა...

„რამ გადარია ამხელა ხელოვანი, უბრალო ხალხის დასახმარებლად შემართული პიროვნება-მეთქი“, — ვფიქრობდი ჩემთვის. თურმე, არ დაიცდი? **პაატა ბურჭულაძე უკვე „საქმეში“ ყოფილა გასული, მასზე, როგორც პოლიტიკოსზე, საქართველოს ამშენებელი მიხეილ სააკაშვილიც კი საუბრობს თავის „მარჯვენა ხელთან“ — ზურაბ ადეიშვილთან, საუბრობს კიევში, სადღაც რომ მიდიან მანქანით ეს ორნი.**

ნეტა, არ წამეკითხა უკრაინული „ვიკილიქსის“ ეს ჩანაწერი, ნეტა, არ წამეკითხა ეს ადგილი:

**მიხეილ სააკაშვილი:** — შენ ბურჭულაძეზე მითხარი, რა ქენით?

**ზურაბ ადეიშვილი:** — მაგას ჩვენები მივაბით, მესამე ძალად უნდა ავაგოროთ, ფონდი რომ დაარქვა, ცუდია, გასაპიარებელია! მაგრამ კოალიციის სახეს მივცემთ. შენი დახმარება არის საჭირო, ამერიკელებმა მხარი უნდა დაუჭირონ.

**მიხეილ სააკაშვილი:** — ზურა, შენ გააკონტროლე, რა, ეგ საქმე. გირჩა — მირჩებმა იაქტიურონ ბურჭულაძესთან, ვანო როა, მაჭავარიანის ძმა, ბოჩოლასავით რო ნაბავს თვალებს, გააქტიურდეს ყველა. მერე გააბაზრეთ, რომ ამერიკელების პროექტია და ეგ ძალა მოდის სათავეში, პინგვინა გაფრთხილებულია და ბურჭულაძე მოდის, ესე ილაპარაკეთ ყველგან. **პაატას შევპირდი, გვარამია და თარგამაძე გააკეთებენ პიარპროგრამას და „რუსთავი“ შენზე იმუშავებს-მეთქი. მაგანაც მთხოვა ამერიკელების მხარდაჭერა, შევპირდი, შენ იაქტიურე და მერე კელი გამოვა და თავისას იტყვის! დიდი მადლობა, ყველაფერს გავაკეთებ, ბატონო მიშა, — ბარიტონით მითხრა!.. რა გაცინებს შეჩემა!**

**ზურაბ ადეიშვილი:** — კაი, რა! მაგარი სირია ისე ეგ ტიპი!

**მიხეილ სააკაშვილი:** — მოიცა, ეხლა! ღადაობას თავი დაანებე! კაცო, მარგველამ რა თქვა, რაო?

**ზურაბ ადეიშვილი:** — მარგველას ბოკერია ელაპარაკება ძმაკაცურად. ახალ წლამდე კი შეგვპირდა უგულავაზე, მაგრამ თავი შეიკავა, სათანადო პოლიტიკური გარემო არის შესაქმნელი და ვერ გავაკეთებო. ვანოსაც შევიწყალებ და სხვასაცო, მაგრამ პოლიტიკური გარემო უნდა შეიქმნასო“.

რა თქმა უნდა, ბევრს ექნება წაკითხული „ვიკილიკსის“ ეს მასალა, ახლახან, გაზეთებში. და, დარწმუნებული ვარ, ყველა იფიქრებდა ჩემსავით: **„ზურაბ ადეიშვილი რომ სირს დაგიძახებს, უკვე კარგადაა შენი საქმე“!**

მოკლედ, თქვენი საქმისა, თქვენ იცით, ბატონო პაატა ბურჭულაძევ! ისე, ჩემგან არ გესწავლებათ: ხალხის სიყვარულს გაფრთხილება უნდა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ზღვისა და ხმელეთის მეკობრემ, ატლანტიკისგაღმელმა მგელმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — იყნოსა რა ნავთობის სუნი, საერთაშორისო კანონების ფეხქვეშ გათელვით ჯოჯოხეთი დაატრიალა შუამდინარეთში: მოსპო ანტიკური ცივილიზაცია, გაწყვიტა მოსახლეობა, ქვეყნის მეთაურ სადამ ჰუსეინს ჯერ შვილები დაუხოცა, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს დასანახავად დიდ მოედანზე სახრჩობელაზე ჩამოკიდა. წარმატებით თავბრუდახვეული მგელი ლიბიაში შეიჭრა და ყელი გამოსჭრა ყველას, ვინც კი ნავთობის სარეწებთან დაინახა. ქვეყნის მეთაური მუამარ კადაფი კი სარით გააუპატიურა და შემდეგ ბრბოს სახალხოდ ჩააქოლინა.**

# სტალინი და თანამედროვე მსოფლიო

## ეს ყველამ უნდა წაიკითხოს

**1927 წლის 28 ივლისს გაზეთ „პრავდის" 169-ე ნომერში გამოქვეყნდა სტალინის სტატია: „შენიშვნები თანამედროვე თემებზე". პირველი თემა, რომელსაც სტალინი საგაზეთო სტატიაში განიხილავდა, იყო „ომის საფრთხის შესახებ". სწორედ ამ თემაზე უნდა ავაგო ჩემი საავტორო გვერდის დღევანდელი მასალა, რომელიც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.**

კოლონიური მონობისგან თავდახსნილმა დიდმა თუ პატარა ქვეყნებმა სწრაფი აღმავლობა დაიწყეს, როგორც კულტურის სფეროში, ისე ეკონომიკაში. ინგლისელი (იგულისხმეთ ამერიკა — გრ. ონიანი) კოლონიზატორები, რომლებიც წლების განმავლობაში ძარცვავდნენ და აპარტახებდნენ კაცობრიობის კულტურის აკვანს — შუამდინარეთს, ერაყელმა და ავღანელმა ხალხებმა ცხვრებივით გარეკეს თავიანთი ქვეყნებიდან, ამავე პერიოდში უდაბნოებში გაფანტული გაველურებული ლიბიელი ხალხი გაერთიანდა და ცხოველური ყოფიდან ადამიანურ სივრცეში გადაინაცვლა. მონობიდან თავი იხსნა ეგვიპტემ და სირიამ. ამ პერიოდში დაიმსხვრა მსოფლიო კოლონიალიზმი და ხალხმაც თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ კაცმა თუ ბუნების ძალამ მსოფლიოს ხალხებს მიწაზე დაშვებული ღმერთი მოუკლა და ქვეყანაც აირია.

**ზღვისა და ხმელეთის მეკობრემ, ატლანტიკისგაღმელმა მგელმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — იყნოსა რა ნავთობის სუნი, საერთაშორისო კანონების ფეხქვეშ გათელვით ჯოჯოხეთი დაატრიალა შუამდინარეთში: მოსპო ანტიკური ცივილიზაცია, გაწყვიტა მოსახლეობა, ქვეყნის მეთაურ სადამ ჰუსეინს ჯერ შვილები დაუხოცა, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს დასანახავად დიდ მოედანზე სახრჩობელაზე ჩამოკიდა. წარმატებით თავბრუდახვეული მგელი ლიბიაში შეიჭრა და ყელი გამოსჭრა ყველას, ვინც კი ნავთობის სარეწებთან დაინახა. ქვეყნის მეთაური მუამარ კადაფი კი სარით გააუპატიურა და შემდეგ ბრბოს სახალხოდ ჩააქოლინა. ეგვიპტელი ხალხისა და მთელი ისლამური სამყაროს თავკაცსა და სახალხო გელადს — ჰოსნი მუბარაქს ჯერ სახელმწიფო დაუშალა, ხალხი დაუხოცა და ბოლოს, ღრმა მოხუცებულს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**

რა ძალამ იხსნა **ირანელი ხალხი** და ირანის ნავთობსარეწები მოსალოდნელი კატასტროფისგან, ჯერ კიდევ კვლევის საგანია. გმირულად იცავს გმირი **სირიელი ხალხი** თავის ბუნებრივ წიაღისეულსა და სახელმწიფოს წარმატებულ მეთაურს — **ბაშარ ასადს**, მაგრამ როდემდის? ამერიკის შეერთებული შტატები და მას მიტმასნილი მორალურად და ზნეობრივად დაცემული „გამოჩერჩეტებული და ბებერი ევროპა" ხოცავენ, იმონებენ და ძარცვავენ პლანეტის მოსახლეობას.

**მათ არათუ ისლამური სამყაროს გადაყლაპვა მოინდომეს, არამედ მისი ფუძემდებელი და შემქმნელი ბრძენი მუჰამედიც მოჯამაგირედ, სურთ, გაიხადონ და სქესი შეუცვალონ, მაგრამ უნდა იცოდეს ამერიკამაც და მისმა სატელიტებმაც, რომ „ჯერ კიდევ შორს არის დასასრული ისლამისა".**

ახლა კი მივყვეთ სტალინის წინასწარმეტყველებას და განვიხილოთ გაზეთ „პრავდაში" 90 წლის წინათ ჩამოყალიბებული მისი თვალსაზრისი კაპიტალისტების მგლური მადისა და შედეგების შესახებ.

### ომის საფრთხის შესახებ

„ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ თანამედროვეობის ძირითად საკითხს წარმოადგენს ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე. საქმე ეხება არა რომელიღაც გაურკვეველ და უსხეულო საფრთხეს, არამედ საერთოდ, ახალი ომის, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის, რეალურ და ნამდვილ საფრთხეს".

**შენიშვნა:**

**სტალინის მიერ 88 წლის წინათ ნათქვამ ამ ფრაზაში „საბჭოთა კავშირის" ნაცვლად ჩასვით „რუსეთი" და ნახავთ, რომ აზრი არ შეიცვლება.**

„მსოფლიოში გავლენის სფეროების გადანაწილება, რაც უკანასკნელი იმპერიალისტური ომის შედეგად მოხდა, უკვე „მოძველდა". დაწინაურდა ზოგიერთი ახალი ქვეყანა (ამერიკა, იაპონია). ჩამორჩა ზოგიერთი ძველი ქვეყანა (ინგლისი). ცოცხლდება და იზრდება, სულ უფრო ძლიერდება კაპიტალისტური გერმანია, რომელიც ვერსალში კინაღამ დაასამარეს. მაღლა მიძვრება ბურჟუაზიული იტალია, რომელიც შურით შეჰყურებს საფრანგეთს.

წარმოებს გააფთრებული ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გასატანი ბაზრებისათვის, ამ ბაზრების საზღვაო და სახმელეთო გზებისათვის, მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის. იზრდება წინააღმდეგობანი ამერიკასა და ინგლისს შორის, იაპონიასა და ამერიკას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, იტალიასა და საფრანგეთს შორის. იზრდება წინააღმდეგობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, რაც დროდადრო იფეთქებს ხოლმე პროლეტარიატის აშკარა რევოლუციური გამოსვლების სახით (ინგლისი, ავსტრია).



**ძნელია, ეჭვი არ შეიტანო იმ ადამიანების ფსიქიკის ნორმალურობაში, რომლებიც ევროპას მოუწოდებენ ამერიკასთან გაერთიანებისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისკენ. ამ ადამიანებს არ ესმით, რომ ამ ომში არავინ იქნება გამარჯვებული, რადგან, როდესაც პლანეტაზე ბურუსი გაიფანტება, ამბის მთხრობელიც კი არავინ იქნება დარჩენილი. და, თუ მოხდება სასწაული და ვინმე ცოცხალი გადარჩება, ეს იქნება მხოლოდ რუსი, რადგან «რუსი ომს არ იწყებს, იგი ომს ამთავრებს და ამთავრებს გამარჯვებით»**

იზრდება წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სამყაროსა და დამოუკიდებულ ქვეყნებს შორის, რაც ხშირად გადმოხეთქავს ხოლმე აშკარა კონფლიქტებისა და რევოლუციური აფეთქების სახით (ჩინეთი, ინდონეზია, ჩრდილოეთი აფრიკა, სამხრეთი ამერიკა).

მაგრამ ყველა ამ წინააღმდეგობის ზრდა ნიშნავს, რომ იზრდება მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, მიუხედავად სტაბილიზაციისა, კრიზისი, რომელიც შეუდარებლად უფრო ღრმაა, ვიდრე ის კრიზისი, უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინ რომ იყო. სსრ კავშირის (აქაც და ქვემოთ სსრ კავშირის ნაცვლად იგულისხმეთ რუსეთი — გრ. ონიანი) — პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის არსებობა და წარმატება მხოლოდ აღრმავებს და ამწვავებს ამ კრიზისს.

საკვირველი არ არის, რომ იმპერიალიზმი ემზადება ახალი ომისთვის, რომელშიც ამ კრიზისის გადაჭრის ერთადერთ გზას ხედავს. შეიარაღების უმაგალითო ზრდა, ბურჟუაზიულ მთავრობათა საერთო გეზი „მმართველობის" ფაშისტური მეთოდებისკენ, ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნისტების წინააღმდეგ, **სსრ კავშირის** გააფთრებული დევნა, პირდაპირი ინტერვენცია ჩინეთში — ყოველივე ეს სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა — მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის ახალი ომის გასაჩაღებლად მზადებისა.

ისინი, იმპერიალისტები, დიდი ხანია, წაიჩხუბებოდნენ, რომ არ იყვნენ კომუნისტური პარტიები, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომ არ იყოს **სსრ კავშირი**, რომლის სამშვიდობო პოლიტიკა ხელ-ფეხს უბოჭავს ახალი ომის გამჩაღებლებს, რომ არ ჰქონდეთ იმის შიში, რომ ერთმანეთს დაასუსტებენ და ამით გააადვილებენ იმპერიალისტური ფრონტის ახალ გარღვევას.

ვფიქრობ, ბოლო გარემოება, ე.ი. იმის შიში, რომ ერთმანეთს დაასუსტებენ და ამით გააადვილებენ იმპერიალისტური ფრონტის ახალ გარღვევას, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ჯერჯერობით ატარებს ურთიერთშორის ჩხუბისადმი მისწრაფებას".

**შენიშვნა:**

**ნუ დავიბრმავებთ თვალს, ნუ დავიხშობთ გონებას! ნუთუ ასეთი ძნელი მისახვედრია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგია დღედღეზე მოსალოდნელი მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა, რომელიც დაასრულებს ცივილიზაციის არსებობას?! ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ხომ ძაღლიშვილია იმ კაპიტალისტებისა, რომლებმაც თავიანთი გამდიდრებისა და სხვების დაბეჩავების ეს რთული, მაგრამ ადვილად გასაგები მანქანა გამოიგონა?!**

„აქედან წარმოდგება „ბუნებრივი" მისწრაფება იმპერიალისტთა გარკვეული წრეებისა — გვერდზე გადადონ წინააღმდეგობანი თავიანთ ბანაკში, დროებით მიჩქმალონ ისინი, შექმნან იმპერილისტთა ერთიანი ფრონტი და გაილაშქრონ სსრ კავშირის წინააღმდეგ, რათა თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც დროებით გადაჭრან სსრ კავშირის ხარჯზე კაპიტალიზმის კრიზისი, რომელიც თანდათან ღრმავდება.

ის, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტთა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში, ინიციატივა იკისრეს ინგლისის (ამერიკის — გრ. ონიანი) ბურჟუაზიამ და მისმა მებრძოლმა შტაბმა, კონსერვატორთა პარტიამ, ჩვენთვის მოულოდნელობა არ უნდა იყოს. ინგლისური კაპიტალიზმი მუდამ იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი. XVIII საუკუნის დამლევს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით დაწყებული და ჩინეთის ახლანდელი რევოლუციით დამთავრებული, ინგლისის ბურჟუაზია მუდამ იდგა და დგას კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამრბევთა მოწინავე რიგებში. საბჭოთა ადამიანები არასოდეს დაივიწყებენ იმ ძალადობას, ძარცვასა და სამხედრო შემოსევებს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე წლის წინათ განიცადა ინგლისელ კაპიტალისტთა წყალობით. მაშ, რა გასაკვირია, თუ ინგლისის კაპიტალი კვლავ ცდილობს, სათავეში ჩაუდგეს ომს მსოფლიოს პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ.

**მაგრამ ინგლისის (ამერიკის — გრ.ონიანი) ბურჟუაზიას არ უყვარს ომი საკუთარი ხელით. იგი მუდამ ამჯობინებდა სხვისი ხელით ომის წარმოებას. და ზოგჯერ ახერხებდა და პოულობდა სულელებს, რომლებიც მზად იყვნენ, მისთვის ეგლიჯათ ნარი.**

ასე იყო საქმე საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ მოახერხა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა.

ასე იყო საქმე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სსრ კავშირში, როცა ინგლისის ბურჟუაზია, თავს დაესხა რა სსრ კავშირს, შეეცადა, შეექმნა „თოთხმეტი სახელმწიფოს კავშირი" და, მიუხედავად ამისა, კინწისკვრით იქნა გაგდებული სსრ კავშირის ფარგლებიდან. ასეთივე ვითარებაა ახლა ჩინეთში, სადაც ინგლისის ბურჟუაზია ცდილობს, შექმნას ერთიანი ფრონტი ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

გასაგებია, რომ კონსერვატორთა პარტია ემზადება რა სსრ კავშირთან ომისთვის, უკვე რამდენიმე წელიწადია, ეწევა მოსამზადებელ სამუშაოებს სსრ კავშირის წინააღმდეგ დიდი და მცირე სახელმწიფოების „საღვთო კავშირის" შესაქმნელად.

თუ წინათ კონსერვატორთა (ამერიკელთა) ეს მოსამზადებელი მუშაობა ასე თუ ისე ფარულად წარმოებდა, ახლა, ბოლო ხანს, ისინი „პირდაპირ მოქმედებაზე" გადავიდნენ, აშკარა დარტყმებს მიმართავენ სსრ კავშირის წინააღმდეგ და ცდილობენ ყველას თვალწინ შეაკოწიწონ ყბადაღებული „საღვთო კავშირი".

**შენიშვნა:**

**ყბადაღებული „საღვთო კავშირის" „ტყუპისცალი" ორგანიზაცია შექმნა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ ბინ ლადენის „ალ ქაიდას" სახით, რაც მათ უკან ბუმერანგივით მოუბრუნდათ — ამერიკელების მიერ გაწვრთნილმა ტერორისტებმა მანჰეტენზე ძირს დასცეს ტყუპი ცათამბჯენი,** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეორე აშკარა დარტყმა რუსეთს ამერიკამ მაშინ მიაყენა, როდესაც რუსებით დასახლებულ უკრაინას ათასი ჯურის „ბოევიკი“ შეუსია, მათ ძმათამკვლელი ომი გააჩაღებინა და ფაშისტების დროშა აფრიალებინა დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირი მამულიშვილების საფლავებზე. ვერც ამ ომში ჩაითრია ამერიკამ რუსეთი, სწორედ ამიტომ დასჭირდა მას უხილავი ომის გამოცხადება ფინანსური სანქციების შემოღების სახით, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო.

**◀ახლა კი ანალოგიურად მოქმედებენ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართაც — ცალი ხელით ვითომ ებრძვიან ამ ტერორისტულ დაჯგუფებას, მეორე ხელით კი იარაღითა და ფულით ამარაგებენ.**

„პირველი აშკარა დარტყმა მოგვაყენა ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ პეკინში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმისას. ამ თავდასხმის მიზანი იყო ორი: მას უნდა აღმოეჩინა სსრ კავშირის „დამანგრეველი“ მუშაობის „საშინელი“ დოკუმენტები, რომლებსაც უნდა შეექმნათ საერთო აღშფოთების ატმოსფერო და შეემზადებინათ ნიადაგი სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტისთვის, შეექმნა სამხედრო კონფლიქტი პეკინის მთავრობასთან და ჩაება სსრ კავშირი ჩინეთთან ომში.

ეს დარტყმა, როგორც ცნობილია, ჩაიფუშა“.

**შენიშვნა:**

**პირველი აშკარა დარტყმა რუსეთს ამერიკამ ჯერ კიდევ მაშინ მიაყენა, როდესაც შუაგულ ევროპაში ნატოს ჯარები მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავდნენ; როდესაც ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გამართულ იუგოსლავიას, ნაწილ-ნაწილ შლიდნენ და კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებდნენ. ამერიკამ იმხანად ვერ შეძლო, ომში ჩაეთრია ჯერ კიდევ ჭაობში მყვინთავი გველეშაპი.**

„მეორე აშკარა დარტყმა იყო ლონდონში თავდასხმისა და სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის დროს. ამ დარტყმის მიზანი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა სსრ კავშირის წინააღმდეგ დიპლომატიური ბლოკადის დაწყება ევროპაში და საბჭოთა კავშირთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაწყვეტის პროვოცირება.

ეს დარტყმაც, როგორც ცნობილია, ჩაიფუშა“.

**შენიშვნა:**

**მეორე აშკარა დარტყმა რუსეთს ამერიკამ მაშინ მიაყენა, როდესაც რუსებით დასახლებულ უკრაინას ათასი ჯურის „ბოევიკი“ შეუსია, მათ ძმათამკვლელი ომი გააჩაღებინა და ფაშისტების დროშა აფრიალებინა დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირი მამულიშვილების საფლავებზე. ვერც ამ ომში ჩაითრია ამერიკამ რუსეთი, სწორედ ამიტომ დასჭირდა მას უხილავი ომის გამოცხადება ფინანსური სანქციების შემოღების გზით, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო.**

„მესამე აშკარა დარტყმა მოგვაყენეს ვარშავაში ვოიკოვის მოკვლის მოწყობის გზით. ვოიკოვის მკვლელობას, რომელიც კონსერვატორული პარტიის აგენტებმა მოაწყეს, უნდა შეესრულებინა, მისი ავტორების განზრახვით, სარაევოში მომხდარი მკვლელობის როლი, ჩაება სსრ კავშირი პოლონეთთან სამხედრო კონფლიქტში.

ეს დარტყმაც, თითქოს, ჩაიფუშა“.

**შენიშვნა:**

**მესამე და ყველაზე პროვოკაციული დარტყმა რუსეთს ამერიკამ სირიის ტერიტორიაზე მოუწყო: ობამას წაქეზებითა და ერდოღანის განკარგულებით, სირიის ტერიტორიაზე რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდეს ვითომ თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო. ამით ამერიკას გათვლილი ჰქონდა რუსეთ-თურქეთის ომის პროვოცირება, რომლითაც მომაკვდავი ამერიკული კაპიტალიზმი ახალ სისხლს გადაისხამდა და რუსეთ-თურქეთის ომით, რომელიც გაერთიანებულ ევროპულ და ისლამურ ომად გადაიქცეოდა, კიდევ ერთხელ გააცოცხლებდა მსოფლიოს ხალხების სისხლით გამოკვებილ ამერიკულ ეკონომიკას.**

**ჯერჯერობით ეს ამერიკული ხაფანგიც უმსხვერპლოდ დაიკეცა.**



**ნუ დავიბრმავებთ თვალს, ნუ დავიხშობთ გონებას! ნუთუ ასეთი ძნელი მისახვედრია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგია დღე-დღეზე მოსალოდნელი მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა, რომელიც დაასრულებს ცივილიზაციის არსებობას?! ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ხომ ძაღლიშვილია იმ კაპიტალისტებისა, რომლებმაც თავიანთი გამდიდრებისა და სხვების დაბეჩავების ეს რთული, მაგრამ ადვილად გასაგები მანქანა გამოიგონა?!**




„რით უნდა აიხსნას, რომ ამ დარტყმებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია ის ეფექტი, რომელსაც მათგან კონსერვატორები (ამერიკელები — გრ. ონიანი) მოელოდნენ? სხვადასხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს საწინააღმდეგო ინტერესებით, რომელთაგან ბევრი დაინტერესებულია, რომ სსრ კავშირთან ეკონომიური კავშირი შეინარჩუნოს. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკით, რომელსაც მტკიცედ და ურყევად ატარებს საბჭოთა მთავრობა.

იმით, რომ ინგლისზე (ამერიკაზე — გრ.ონიანი) დამოკიდებულ სახელმწიფოებს, — სულერთია, ლაპარაკია ჩჟან ძო ლინის სახელმწიფოსა თუ პილსუდსკის სახელმწიფოზე, — არ სურთ, იყვნენ კონსერვატორთა უსიტყვო იარაღი თავიანთი ინტერესების საზიანოდ.

დარბაისელ ლორდებს, ჩანს, არ სურთ, შეიგნონ, რომ ყოველ სახელმწიფოს, თუნდაც იგი უმნიშვნელო იყოს, მიდრეკილება აქვს თავი მიაჩნდეს ერთგვარ ერთეულად, რომელიც ცდილობს ცხოვრობდეს საკუთარი ცხოვრებით და არ სურს საფრთხეში ჩააგდოს თავისის არსებობა კონსერვატორთა (ამერიკელთა — გრ. ონიანი) ლამაზი თვალებისთვის.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი დარტყმები აღარ იქნება? — არა, პირიქით — ეს იმას ნიშნავს, რომ დარტყმები ახალი ძალით განმეორდება...

ამჟამინდელი საერთაშორისო ვითარება, ყველა ფაქტი სსრ კავშირის წინააღმდეგ ინგლისის (ამერიკის — გრ. ონიანი) მთავრობის „ოპერაციების“ სფეროდან, ისიც, რომ იგი აწყობს სსრ კავშირის ფინანსურ ბლოკადას, ისიც, რომ იგი საიდუმლო საუბრებს აწარმოებს სახელმწიფოებთან სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შესახებ, ისიც, რომ იგი სუბსიდიებს აძლევს უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა ემიგრანტულ „მთავრობებს“ სსრ კავშირის ამ ქვეყნებში აჯანყების მოსაწყობად, ისიც, რომ იგი აფინანსებს ჯაშუშურ-ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებიც აფეთქებენ ხიდებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებსა და ტერორში აყენებენ სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლებს — ყოველივე ეს მიგვითითებს, რომ ინგლისის (ამერიკის — გრ. ონიანი) მთავრობა მტკიცედ და გადაჭრით დაადგა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოწყობის გზას. ამასთანავე, არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს, რომ კონსერვატორებს გარკვეულ პირობებში შეუძლიათ, შეაკოწიწონ ესა თუ ის სამხედრო ბლოკი სსრ კავშირის წინააღმდეგ.

როგორია ჩვენი ამოცანები?

**ამოცანა არის ის,** რომ ევროპის ყველა ქვეყანაში ავტეხოთ განგაში ახალი ომის შესახებ, გავაძლიეროთ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა და ჯარისკაცთა სიფხიზლე და ვამზადოთ, განუწყვეტლივ ვამზადოთ მასები იმისათვის, რომ მზად შეხვდნენ ბურჟუაზიული მთავრობების ყველა და ყოველგვარ ცდას — მოაწყონ ახალი ომი...

**ამოცანა არის ის**, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც მტკიცედ ეწეოდეს მშვიდობის პოლიტიკას, მშვიდობიანი ურთიერთობის პოლიტიკას, მიუხედავად ჩვენი მტრების პროვოკაციული გამოსვლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ შელახონ ჩვენი პრესტიჟი.

**ჩვენ გვაგულისებენ და კვლავაც გაგვაგულისებენ პროვოკატორები მტრული ბანაკიდან იმის მტკიცებით, რომ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აიხსნება ჩვენი სისუსტით, ჩვენი არმიის სისუსტით. ზოგჯერ ეს აღაშფოთებს ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ, აჰყვნენ პროვოკაციას და მოითხოვენ „მტკიცე“ ზომების მიღებას. ეს ნერვების სისუსტეა. Eეს სიმტკიცის უქონლობაა. ჩვენ არ შეგვიძლია, ავყვეთ და არ უნდა ავყვეთ ჩვენი მოწინააღმდეგეების სტვირის ხმას. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით.**

დავიცვათ მშვიდობის საქმე, ცხადვყოთ ჩვენი მისწაფება მშვიდობისკენ, ვამხილოთ ჩვენი მტრების მძარცველური ზრახვები და გამოვამჟღავნოთ ისინი, როგორც ომის ამტეხნი...

**რაც შეეხება ჩვენს „სისუსტეს“ ან ჩვენი არმიის „სისუსტეს“, ჩვენს მტრებს პირველად როდი მოსდით შეცდომა ამ მხრივ. რვა წლის წინათ, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ ინტერვენცია წამოიწყო სსრ კავშირის წინააღმდეგ, ხოლო ჩერჩილი „თოთხმეტი სახელმწიფოს” ლაშქრობით იმუქრებოდა, ბურჟუაზიული პრესა მაშინაც გაჰყვიროდა ჩვენი არმიის „სისუსტეზე“, მაგრამ მსოფლიომ იცის, რომ ინგლისელი ინტერვენტები და მათი მოკავშირეებიც სირცხვილნაჭამი განდევნილ იქნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან ჩვენი ძლევამოსილი არმიის მიერ.** ცუდი არ იქნებოდა, რომ ეს ახსოვდეთ ახალი ომის გამჩაღებლებს.

**ამოცანა არის ის,** რომ გავაძლიეროთ ჩევნი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, გავაუმჯობესოთ სამხედრო და არასამხედრო მრეწველობა, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების სიფხიზლე...

**ამოცანა არის ის,** რომ განვამტკიცოთ ჩვენი ზურგი და გავწმინდოთ იგი სიბილწისგან, არ მოვერიდოთ ტერორისტებთან და ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნებისთვის ცეცხლის წამკიდებლებთან ანგარიშის გასწორებას, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის თავდაცვა შეუძლებელია, თუ მტკიცე ზურგი არ გვექნება.

ამას წინათ მიღებულ იქნა ინგლისის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწეების — **ლენსბერის, მაქსტონისა** და **ბროკუეის** — პროტესტი იმ ოცი ტერორისტისა და ცეცხლისწამკიდებლის დახვრეტის გამო, რომლებიც რუსეთის თავადაზნაურობის რიგებს ეკუთვნოდნენ. მე არ შემიძლია ინგლისის მუშათა მოძრაობის ეს მოღვაწეები სსრ კავშირის მტრებად ჩავთვალო, მაგრამ ისინი მტრებზე უარესნი არიან.

ისინი მტრებზე უარესი არიან, ვინაიდან თავიანთ თავს სსრ კავშირის მეგობრებს რომ უწოდებენ, ისინი, ამასთანავე, თავიანთი პროტესტით უადვილებენ რუს მემამულეებსა და ინგლისელ მაძებრებს, კვლავაც მოაწყონ სსრ კავშირის წარმომადგენელთა მკვლელობები...

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მეგობრებისგან, მტრებს კი ჩვენ თვითონ გავუმკლავდებითო.

რაც შეეხება ოცი „უბრწყინვალესის“ დახვრეტას, დაე, იცოდნენ სსრ კავშირის მტრებმა, როგორც შინაურმა, ისე გარეშე მტრებმა, რომ პროლეტარული დიქტატურა სსრ კავშირში (რუსეთი) ცოცხლობს და მისი ხელი მტკიცეა.

რა უნდა ვთქვათ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს ბედუკუღმართ ოპოზიციაზე? ნუთუ ოპოზიცია იმის წინააღმდეგია, რომ სსრ კავშირმა გაიმარჯვოს იმპერიალიზმთან მომავალ ბრძოლებში, იმის წინააღმდეგია, რომ გაძლიერდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, იმის წინააღმდეგია, რომ განმტკიცდეს ჩვენი ზურგი? ან, იქნებ, ეს სიმხდალეა ახალი სიძნელეების წინაშე, დეზერტირობა, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების სურვილია, რომელსაც მემარცხენე ფრაზების რახარუხით ფარავენ?..“

**შენიშვნა:**

**ძნელია, ეჭვი არ შეიტანო იმ ადამიანების ფსიქიკის ნორმალურობაში, რომლებიც ევროპას მოუწოდებენ ამერიკასთან გაერთიანებისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისკენ. ამ ადამიანებს არ ესმით, რომ ამ ომში არავინ იქნება გამარჯვებული, რადგან, როდესაც პლანეტაზე ბურუსი გაიფანტება, ამბის მთხრობელიც კი არავინ იქნება დარჩენილი. და, თუ მოხდება სასწაული და ვინმე ცოცხალი გადარჩება, ეს იქნება მხოლოდ რუსი, რადგან „რუსი ომს არ იწყებს, იგი ომს ამთავრებს და ამთავრებს გამარჯვებით“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის მოქალაქეებისთვის კიდევ ერთ საფრთხედ პოლიციის მიერ ქონების კონფისკაცია იქცა, რომლის მასშტაბები წლიდან წლამდე იზრდება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქონების კონფისკაცია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. ამერიკაში კი შეუძლიათ, მოქალაქეს ქონება ჩამოართვან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც. პოლიციელებს შეუძლიათ, უბრალოდ გააჩერონ ადამიანი და ჩამოართვან ქონება. პირველ რიგში ჩამორთმევას ექვემდებარება ნაღდი ფული.**

# პოლიციური რეკეტი და ელექტრონული საბანკო საკონცენტრაციო ბანაკი

**აშშ-ში ცხოვრება სულ უფრო სახიფათო ხდება და მრავალი საფრთხე მომდინარეობს არა დამნაშავეებისა და პოტენციური ტერორისტებისგან, არამედ სახელმწიფოსგან. აშშ-ში გისოსებს მიღმაა გამოკეტილი 2,2 მილიონი ადამიანი. ეს პლანეტის პატიმრების რაოდენობის 25%-ია, მეტი, ვიდრე ევროპის 35 უდიდეს ქვეყანაში ერთად; 3,4-ჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში და 4-ჯერ მეტი, ვიდრე ჩინეთში. ამერიკის მოსახლეობა კი მსოფლიო მოსახლეობის 5%-ს შეადგენს.**




**გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემების თანახმად, 2014 წელს ქონების კონფისკაციის საერთო მოცულობამ აშშ-ში 4,6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ნიშანდობლივია, რომ ქონების ოფიციალური კონფისკაციის მოცულობა დახლოებით 0,6 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო 4 მილიარდი დოლარი არაოფიციალურად იქნა ჩამორთმეული მოქალაქეებისთვის**

ამერიკული გულაგი დიდი ბიზნესპროექტია. ამერიკულ ციხეებს კონცესიით გადასცემენ კერძო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ პატიმართა უფასო შრომას და უზარმაზარ შემოსავალს იღებენ. საჭირო არაა კაპიტალის გატანა არც აფრიკაში და არც აზიაში. საკუთარი მონებიც საკმარისად ჰყავთ. ციხეები კი არ ჰყოფნით. მათი მშენებლობა ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

**აშშ-ის მოქალაქეებისთვის კიდევ ერთ საფრთხედ პოლიციის მიერ ქონების კონფისკაცია იქცა, რომლის მასშტაბები წლიდან წლამდე იზრდება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქონების კონფისკაცია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. ამერიკაში კი შეუძლიათ, მოქალაქეს ქონება ჩამოართვან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც. პოლიციელებს შეუძლიათ, უბრალოდ გააჩერონ ადამიანი და ჩამოართვან ქონება. პირველ რიგში ჩამორთმევას ექვემდებარება ნაღდი ფული.** ამერიკის მოქალაქეების ქონების რაღაც ნაწილის კონფისკაცია ხდება სასამართლოთა და სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალური გადაწყვეტილებების საფუძველზეც, მაგრამ ამგვარი ლეგალური კონფისკაციების წილი დღითიდღე იკლებს.

1985 წელს აშშ-ის სახელისუფლო ორგანოების მიერ ჩამორთმეული ქონების მოცულობამ (ლეგალური და არალეგალური კონფისკაცია) 10 მილიონი დოლარი შეადგინა. 1991 წელს ეს მაჩვენებელი 644 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. მომდევნო 1992 წელს აღნიშნულმა თანხამ პირველად გადააჭარბა მილიარდ დოლარს და მას შემდეგ განუხრელად იზრდება.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემების თანახმად, 2014 წელს ქონების კონფისკაციის საერთო მოცულობამ აშშ-ში 4,6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

**ნიშანდობლივია, რომ ქონების ოფიციალური კონფისკაციის მოცულობა დახლოებით 0,6 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო 4 მილიარდი დოლარი არაოფიციალურად იქნა ჩამორთმეული მოქალაქეებისთვის,** ანუ აშშ-ის ხელისუფლების (ძირითადად პოლიციის) მიერ სასამართლო ან სხვა ოფიციალური გადაწყვეტილების გარეშე ქონების ამოღება პრაქტიკულად გაუტოლდა ყველა კატეგორიის დამნაშავეთა მიერ მოპარული ფულისა და ქონების საერთო ღირებულებას.

**დამნაშავეთა სამყარო და პოლიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკელი მოქალაქეების ქონების დაუფლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთის ღირსეულ კონკურენტებად იქცნენ.**

დიდი ხანია, აშშ-ში არაოფიციალური კონფისკაციისთვის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს. ისინი გათვალისწინებულია სამოქალაქო კონფისკაციის შესახებ კანონში, რომელიც პოლიციას უფლებას აძლევს, ამოიღოს ქონება მხოლოდ იმ ეჭვის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ეს ქონება არაკანონიერი საქმიანობის შედეგად არის შეძენილი.

ფაქტობრივად, ეს არის მოქალაქის დამნაშავეობის პრეზუმპციის პრინციპი. სამოქალაქო კონფისკაციის შესახებ კანონი დიდხანს იყო გაყინული და ფართოდ გამოიყენებოდა მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ. **ნიუ იორკში ტყუპი ცათამბჯენის აფეთქებიდან 13 წლის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 70 ათასი კონფისკაცია განხორციელდა. არაოფიციალური კონფისკაციების მკვეთრი მატება შეიმჩნეოდა 2013 წელს, ბოსტონის ტერაქტების შემდეგ.**

პოლიციელების მიერ აშშ-ის მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების რაღაც ნაწილი, ცხადია, შეიძლება პირდაპირ ცალკეული სამართალდამცავის ჯიბეებში ილექებოდეს, მაგრამ ეს იშვიათად. წესრიგის მცველები მათ მიერ განხორციელებულ კონფისკაციებს საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ნაწილად მიიჩნევენ, მოპოვებული ქონება კი პოლიციის ქვეგანყოფილებაში მიაქვთ. ქონებას აღრიცხავენ და ანაწილებენ. **დღეს მოქმედი წესების თანახმად, მონაგარის, სულ ცოტა, 20% სახელმწიფო ხაზინაში უნდა შევიდეს. დანარჩენი 80% კი კანონიერ საფუძვლებზე პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფის საკუთრება ხდება.**

ზოგიერთ შტატში არაოფიციალური კონფისკაციები პოლიციის დაფინანსების არასაბიუჯეტო მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მონაპოვარის ნაწილი იხარჯება ქვეგანყოფილების საერთო პროფესიონალურ საჭიროებებზე (სატრანსპორტო საშუალებების, კავშირგაბმულობის საშუალებების, იარაღისა და სხვათა შეძენა), მეორე ნაწილი იხარჯება ყველაზე „ეფექტიანი“ პოლიციელების პრემიებზე, ხოლო მესამე ნაწილი განკუთვნილია საერთო სოციალური საჭიროებებისთვის.

ეს ამერიკული ცხოვრების ნორმაა. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკაში პოლიცია ფინანსდება უპირატესად შტატებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან, და იმის გათვალისწინებით, რომ შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების დონეზე ფინანსური კრიზისი თანდათან მწვავდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონფისკაციები სულ უფრო მნიშვნელოვანი არასაბიუჯეტო წყარო გახდება პოლიციის დასაფინანსებლად. დროთა განმავლობაში კი ამერიკული პოლიცია, შესაძლოა, მთლიანად „თვითდაფინანსებაზე“ გადავიდეს და აღარაფრით განსხვავდებოდეს იმ კლასიკური კრიმინალური დაჯგუფებებისგან, რომლებიც რეკეტით არიან დაკავებულნი.

ფორმალურად პოლიციელების მიერ გაძარცვულ ამერიკის მოქალაქეს უფლება აქვს, წესრიგის მცველთა ქმედებები სასამართლოსთვის მიმართვის გზით გააპროტესტოს, მაგრამ ამას მხოლოდ ერთეულები აკეთებენ, რადგან სასამართლო განხილვებს დრო, ნერვები და ფული სჭირდება. გარდა ამისა, **პოლიციელები, როგორც წესი, პროფესიონალი ფსიქოლოგები არიან და ესმით, რომ ძალიან ბევრის წართმევა არ შეიძლება. ამიტომ ამოღებული ქონების ღირებულება, ძირითადად, რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათას დოლარამდეა. თითქმის ყოველთვიურად აქვეყნებს ამერიკული მასმედია პოლიციურ კონფისკაციებთან დაკავშირებულ ახალ-ახალ სკანდალს.**

ამერიკული შტატების მხოლოდ ნახევარში კანონები რაღაც დონეზე მაინც ზღუდავს სამოქალაქო კონფისკაციებს, დანარჩენ შტატებში კი პოლიცია არ არის რეგლამენტირებული. 37 შტატში სასამართლო დაცვის ტვირთი პოლიციური რეკეტის მსხვერპლთ ეკისრებათ. პროკურატურა ამჯობინებს, არ ჩაერიოს ამ საქმეებში.

არაოფიციალური კონფისკაციის სისტემის წინააღმდეგ ამერიკაში მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და პოლიტიკოსი გამოდის. ადვოკატები, რომლებიც ამგვარი კონფისკაციის მსხვ-

▶

მოკლედ



## მალიში თავდასხმის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა

**მალიში გაეროს სამშვიდობო ძალების ბაზაზე თავდასხმა განხორციელდა. დაიღუპა 3 ადამიანი, 14 კი დაშავდა.** დაღუპულთა შორის ორი მშვიდობისმყოფელი გვინეიდან არის და ერთი ადგილობრივი სამოქალაქო პირია, რომელიც ბაზაზე კონტრაქტით მუშაობდა. როგორც მედია იტყობინება, თავდასხმა მალის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ქალაქ კიდალში განხორციელდა. სამშვიდობო მისიის ინფორმაციით, ტერორისტებმა ბაზის ტერიტორიის მიმართულებით რაკეტები გაუშვეს. თავდასხმა დილის 4 საათზე განხორციელდა. მალიში გაეროს სამშვიდობო მისია 2014 წლიდან მოქმედებს.



**მსოფლიო სირიაში შეიტყუონ აპოკალიფსისთვის — ეს ექსტრემისტების ბოდვა კი არა, რეალური სიუჟეტია. და წმიდა მიწაზე მსოფლიო მასშტაბის ჟლეტვის მოწყობა, არა — დოლარის გადარჩენის გეგმა, არამედ ათასწლეულების განმავლობაში გააზრებული გზაა მსოფლიოზე ბატონობის დასამყარებლად.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერპლთ იცავენ, ირწმუნებიან, რომ მოქმედი წესები, რომლებიც პოლიციელებს საშუალებას აძლევთ, მიითვისონ სხვათა ქონება, აშშ-ის კონსტიტუციის მეოთხე შესწორების უხეში დარღვევაა. ეს შესწორება პირდაპირ კრძალავს თავისუფალ ჩხრეკასა და დაკავებას. ამერიკის რამდენიმე შტატში „სახალხო რჩეულები“ ცდილობენ, გაიტანონ კანონები, რომლებიც აკრძალავენ ან შეზღუდავენ პოლიციურ რეკეტს, მაგრამ პოლიციური ლობის მხრიდან გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებიან.

სამოქალაქო კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების უდიდესი ნაწილი ნაღდი ფულია. სხვა ქონება პოლიციას არ აინტერესებს, რადგან ფიზიკურ ქონების ფულად ქცევის მხრივ არცთუ უბრალო პრობლემები იჩენს ხოლმე თავს. **პოლიცია ასევე არ ეკარება ჩეკებს, პლასტიკურ ბარათებსა და საბანკო ანგარიშსწორების სხვა ინსტრუმენტებს. საქმე ის არის, რომ პოლიციის სასარგებლოდ გადახდების განხორციელებისთვის საჭიროა მსხვერპლის თანხმობა, მსხვერპლი კი, გასაგები მიზეზების გამო, ამგვარი თანხმობის მიცემაზე უარს აცხადებს. მსხვერპლის იძულება ამ შემთხვევაში წესრიგის მცველთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ამიტომ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემა და საერთო ატმოსფერო ამერიკელ პოლიციელებს უბიძგებს, მოქალაქეებისგან მხოლოდ ნაღდი ფული ამოიღონ.**

პოლიცელთა თავაშვებულობაზე თვალის დახუჭვა ხელს აძლევთ მათ, ვინც დღეს აქტიურად იბრძვის ამერიკაში ნაღდი ფულის ბრუნვის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ ამერიკაში, ასევე მსოფლიოშიც ფულის ბატონ-პატრონები **ელექტრონულ საბანკო საკონცენტრაციო ბანაკს აშენებენ.** ეს მშენებლობა დასრულდება მაშინ, როდესაც მთელი ფული გამოიკეტება უნაღდო ბრუნვაში და დამყარდება სრული კონტროლი ყველა ფულად ნაკადზე, ყველა ანგარიშზე და, საბოლოო ჯამში, ყოველი ადამიანის ცხოვრებაზე.

ნაღდი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე ფულის პატრონთა გააქტიურების დამატებით მიზეზად იქცა ის, რომ აშშ-ისა და სხვა ბანკებში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები ნულისკენ მიისწრაფის. გაჩნდა საფრთხე, რომ ფული არანაღდი ფორმიდან ნაღდ ფორმაში გადავა. ამ გადასვლის წინააღმდეგ კი საჭიროა, ადამიანები ან კანონის ძალით, ან პოლიციური რეკეტით გადააჩვიონ ნაღდ ფულს. ნაღდი ფული არის უკანასკნელი საშუალება ნაქები დასავლური თავისუფლების „ნარჩენების“ შესანარჩუნებლად.

როგორც ჩანს, ამერიკული პოლიცია მიხვდა, რა სურთ მისგან ფულის პატრონებს. ნაღდი ფულის კონფისკაციის შესახებ მრავალრიცხოვანი საინფორმაციო შეტყობინებების კითხვისას **თვალში საცემია, რომ ამერიკელი მოქალაქეების ჯიბეში ნაღდი ფულის არსებობის ფაქტიც კი დიდი ეჭვის საბაბი ხდება.**

კლასიკური მაგალითია მოქალაქეებისთვის ნაღდი ფულის წართმევის შემდეგი სქემა: პოლიციის ქვეგანყოფილებაში შედის ინფორმაცია (შეიძლება ანონიმურიც) მოქალაქეზე, რომელიც ეჭვმიტანილია, რაშიც გნებავთ (ტერორისტებთან კავშირში, გადასახადების გადაუხდელობაში, ფულის გათეთრებაში და ასე შემდეგ); სავსებით საკმარისია ეჭვის გამოხატვა, მტკიცებულებები საჭირო არ არის. ამ მოქალაქეს პოლიცია დააკავებს და ჩაატარებს ყველაფრის — შენობის, ავტომანქანის, სეიფის, ჩანთის, ჯიბეების — ჩხრეკას, რათა გამოავლინოს დანაშაულთან მისი კავშირი ან რაიმე დანაშაულის მზადება. **თუკი მოქალაქეს აღმოაჩნდება საკმაოდ დიდი რაოდენობის ნაღდი ფული (მაგალითად 10 ათასი დოლარი), მას ამოიღებენ, როგორც დამნაშავეობრივი ქმედების, უკიდურეს შემთხვევაში, დამნაშავეობრივი განზრახვის აშკარა ნიშანს.**

ეს ყველაფერი ხუმრობა არ არის, **დღეს ამერიკაში რამდენიმე ათასი დოლარის ოდენობით ნაღდი ფულის ქონა არაკეთილსაიმედოობის ნიშანია. ფულის პატრონთა მიერ კონტროლირებადი მასმედია ცდილობს, ამგვარი ადამიანები მარგინალებად აქციოს. ცოტა ხნის წინათ მათ უყურებდნენ, როგორც ძველმოდურს, ახლა უყურებენ, როგორც პოტენციურ დამნაშავეებს.**

და კიდევ ერთი ხრიკი, რომელსაც პოლიციელები მიმართავენ ხოლმე ფულის ამოღებისას: ისინი იყენებენ ძაღლებს ან ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც ქაღალდის კუპიურებზე ნარკოტიკული ნივთიერებების კვალს ავლენენ. კუპიურაზე, რომელმაც რამდენიმე ათეული ადამიანის ხელში გაიარა, აუცილებლად აღმოჩნდება ამგვარი კვალი. ამერიკული პოლიციისთვის ეს საკმარისი საფუძველია კონფისკაციისათვის.

**ამერიკული სახელმწიფო აპარატი სულ უფრო მეტად ატერორებს ამერიკელ მოქალაქეებს და ელექტრონული საბანკო საკინცენტრაციო ბანაკებისკენ მიერეკება.**

fondsk.ru

# ვაშინგტონი აშშ-ში «ისლამური სახელმწიფოს» ტერაქტს ამზადებს

**ინტერნეტში გავრცელებული მასალების თანახმად, საგარეო დაზვერვის სამსახურის ანგარიში შეიცავდა გაფრთხილებას, რომ უახლოესი კვირების განმავლობაში, მადლიერების დღესთან დაკავშირებული შვებულებებისა და არდადეგების პერიოდში, აშშ, შესაძლოა, „პოტენციურ სისხლიან ჟლეტას“ შეეჯახოს, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტთა ნახელავი იქნება. ამ ტერორისტების ლიდერებს აქტიურად ეძებენ მას შემდეგ, რაც ისინი ამერიკის ტერიტორიაზე გადამალა არმიის მაღალი რანგის გენერლმა, რომელიც ობამამ 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტებამდე რამდენიმე საათით ადრე გაათავისუფლა თანამდებობიდან.**



მიზეზი, რომლის გამოც აშშ კვლავ აპირებს საკუთარ თავზე თავდასხმას, ამავე ანგარიშშია აღწერილი, თუმცა ყველაზე კარგად ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ჩამოაყალიბა. მან განაცხადა, რომ „ნატო ახლა აქტიურად ეძებს მტერს, რადგან კიდევ ერთხელ დაიწყო საკუთარი არსებობის მიზნის ძიება ავღანური კამპანიის ჩავარდნის შემდეგ“. და არა მხოლოდ ეძებს მტერს, არამედ თავადვე ქმნის მას, რადგან **მრავალი ექსპერტი გაკვირვებულია, აქამდე რატომ არ გადაუჭრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ისლამურ სახელმწიფოს“ დაფინანსების წყაროები.** ამის შესახებ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც საუბრობდა, როდესაც აღნიშნა, რომ ტერორისტებს 40 ქვეყნიდან აფინანსებენ ფიზიკური პირები, მათ შორის დიდი ოცეულის წევრი ქვეყნებიდანაც.

ზემოხსენებული ანგარიშის შესახებ გავრცელებულ ცნობებს შეიძლება არც ვენდოთ, რადგან, თუკი ამგვარი ანგარიში მართლაც არსებობს, მის შესახებ მხოლოდ ვიწრო წრისთვისაა ცნობილი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ წრეში ინტერნეტწყაროებიც შედიოდეს. მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ განხორციელებული ტერაქტების ირგვლივ ატეხილი ისტერიის ლოგიკა იმაზე მიანიშნებს, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდება: **მსოფლიო მრისხანების ტალღაზე, აშშ-ის მეთაურობით, სირიაში ფართო კოალიციის მასშტაბური შეჭრის დაწყების გადამწყვეტი ბიძგის მისაცემად ვაშინგტონს ჯერჯერობით აკლია 11.09.2001-ში გამოცდილი განრისხებული და ტერორისტების ხელით დაზარალებული თავისუფლებისა და წესრიგის მცველის სახე.**

აშშ-ში შესაძლო ტერაქტის მსხვერპლნი სწორედ ამ სახეს შექმნიან და იქცევიან იმ უმტკიცეს არგუმენტად, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი წინ ვერ აღუდგება. **წარმოიდგინეთ საგაზეთო მასალების სათაურები: „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-ს დაესხა თავს“, „ნიუ იორკის ქუჩებში სროლებია“, „შემოყვანილია ჯარები, ქალაქები ბლოკირებულია, გამოცხადებულია საგანგებო რეჟიმი“, „მიმდინარეობს ბრძოლა „ისლამურ სახელმწიფოსთან“, „აშშ-ის არმიამ სირიული პასპორტების მქონე 20 ბოევიკი გაანადგურა“, „პენტაგონმა მასშტაბური სამხედრო ოპერაცია გამოაცხადა“, „ღვთაებრივი შურისგება“...**

ამის შემდეგ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მილიონობით წევრი იტყვის, რომ საჭიროა იმ ქვეყნის დახმარება სირიაში წესრიგის დასამყარებლად, რომ ყველა უნდა შემოიკრიბოს მსოფლიოს უდიდესი დემოკრატის ირგვლივ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მძლავრი არმია ჰყავს, და დაეხმარონ ბოროტების განადგურებაში, რომ ყველა კონსპიროლოგიური ტვინის მქონე ბრიყვი არაადამიანია, რომელიც ფიქრობს, რომ ვაშინგტონმა საკუთარი ხელით შექმნა „ისლამური სახელმწიფო“ და საკუთარი ხელით დახოცა საკუთარი მოქალაქეები. არადა, სწორედ ასე მოიქცნენ ამერიკელები 2001 წელს ავღანეთში ჯარების შესაყვანად და, თუკი საჭირო გახდება, კვლავაც გამოიყენებენ იმავე სცენარს.

**აშშ-ის წინააღმდეგ მედიაში გავრცელებული მრავალი მუქარა „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან ნიადაგს ამზადებს. და როდესაც ეს მოხდება, მედიასაშუალებები იზრუნებენ, რომ აშშ-ზე „ისლამური სახელმწიფოს“ თავდასხმას უფრო დიდი ეფექტი ჰქონდეს, ვიდრე ცათამბჯენების განადგურებას ჰქონდა. ეს უნდა იქცეს დასასრულის დასაწყისის სიგნალად.**

ყველაზე საკვირველი არის ის, რომ მასალებში ზედმიწევნითაა მითითებული ამგვარი ქმედების მიზანი. **რისთვის სჭირდება აშშ-ს ეს ყველაფერი, უფრო სწორად ფედერალურ სარეზერვო სისტემას, რომელიც მართავს აშშ-ს და რომელმაც შექმნა დოლარის გლობალური პირამიდა? იმისთვის, რომ მსოფლიოს ურწმუნოები სირიაში შეყაროს აპოკალიფსისათვის. სინამდვილეში ეს არის „ისლამური სახელმწიფოს“ დეკლარირებული მიზნიდან ამოღებული პირდაპირი ციტატა. ისინი ამბობენ, რომ მზად არიან სიკეთისა და ბოროტების გადამწყვეტი შერკინებისთვის და ამზადებენ კიდეც მას.**

მსოფლიო სირიაში შეიტყუონ აპოკალიფსისთვის — ეს ექსტრემისტების ბოდვა კი არა, რეალური სიუჟეტია. და წმიდა მიწაზე მსოფლიო მასშტაბის ჟლეტვის მოწყობა, არა — დოლარის გადარჩენის გეგმა, არამედ ათასწლეულების განმავლობაში გააზრებული გზაა მსოფლიოზე ბატონობის დასამყარებლად.

**რისთვის სჭირდება აშშ-ს ეს ყველაფერი, უფრო სწორად ფედერალურ სარეზერვო სისტემას, რომელიც მართავს აშშ-ს და რომელმაც შექმნა დოლარის გლობალური პირამიდა? იმისთვის, რომ მსოფლიოს ურწმუნოები სირიაში შეყაროს აპოკალიფსისათვის. სინამდვილეში ეს არის „ისლამური სახელმწიფოს“ დეკლარირებული მიზნიდან ამოღებული პირდაპირი ციტატა. ისინი ამბობენ, რომ მზად არიან სიკეთისა და ბოროტების გადამწყვეტი შერკინებისთვის და ამზადებენ კიდეც მას**

cont.ws

მოკლედ

## რუსეთი და საფრანგეთი «ისლამურ სახელმწიფოსთან» ერთობლივად იბრძოლებენ

**რუსეთი და საფრანგეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ერთობლივ ბრძოლაზე შეთანხმდნენ. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოსკოვში ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ორი ქვეყანა საჰაერო დარტყმების მიტანისას კოორდინირებულად იმოქმედებს. იგეგმება ავიაიერიშების გააქტიურებაც.**

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი განაცხადა, რომ მხარეები ტერორიზმის საკითხებზე ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის ხარისხს გაზრდიან. როგორც „დოიჩე ველე“ იტყობინება, მოსკოვმა ასევე პირობა დადო, რომ სირიაში მოქმედი ზომიერი ოპოზიციის ძალებზე ავიადარტყმებისგან თავს შეიკავებს. ფრანსუა ოლანდმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა თანამდებობა უნდა დატოვოს. ვლადიმერ პუტინმა კი, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ასადის არმია „მოკავშირეა ტერორიზმთან ბრძოლაში“.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიდრე ევროპული სახელმწიფოები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ტერორისტები აგებდნენ საყრდენი პუნქტებისა და ბაზების ქსელს. ამ ქსელის ფორმირებას არაერთი წელი დასჭირდა, მაგრამ დღეს ის მთელ ევროპაშია დაქსაქსული. უკვე არის თვითმართვადი ანკლავები მუსლიმანი მოსახლეობით, მრავალი მათგანი შარიათის კანონებით ცხოვრობს.**



# ევროპის მომავალი — საკონცენტრაციო ბანაკი ან სახალიფო

**ახალი ტერაქტების მოლოდინში ევროპის ქვეყნები განაგრძობენ კანკალს. მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურები და პოლიცია გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ, სახალხო ღონისძიებებისა და ტრანსპორტის მუშაობაში შეტანილია ცვლილებები. მაგრამ რჩება კითხვა: შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს შიშში ცხოვრება?**

პარიზში 13-14 ნოემბრის ღამეს ერთდროულად მოხდა შვიდი ტერაქტი. ამან მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა. 15 ნოემბერს რესპუბლიკის მოედანზე მომხდარმა აფეთქებამ მასობრივი პანიკა გამოიწვია — იქ ათასობით ადამიანი მსხვერპლთათვის პატივის მისაგებად მიდიოდა. ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა მედიასაშუალებებში გავრცელებული ცნობები ახალი, ჯერ კიდევ მზადების პროცესში არსებული ტერაქტების შესახებ. **22 ნოემბერს ჰაკერების ჯგუფმა „ანონიმუსმა“ გაავრცელა ცნობა, რომ აფეთქებები მზადდებოდა მილანში, პარიზში, რომსა და სხვა ქალაქებში სტადიონებზე, საკონცერტო დარბაზებსა და ადამიანთა თავშეყრის სხვა ადგილებში.**

ევროპის ქვეყნების ხელისუფლებები მოქალაქეთა დამშვიდებას არც კი ცდილობენ. 16 ნოემბერს გამოცხადდა, რომ ბრიუსელში დასრულდა ტერორისტთა გამოვლენის სპეცოპერაცია, თუმცა ვერავინ იპოვეს და თქვეს, რომ პარიზის ტერაქტების კოორდინატორი **სალეჰ აბდისლამი** აქამდე თავისუფალია და, შესაძლოა, ააფეთქოს ბრიუსელის მეტროპოლიტენი, რადგან ადრე იქ მუშაობდა და კარგად იცის მისი აგებულება.

შედეგად, **21 ნოემბერს ორმილიონიან ბრიუსელში — ქალაქში, სადაც განთავსებულია ევროპარლამენტი და ნატოს შტაბბინა, არ მუშაობდა მეტროპოლიტენი, ტრამვაისა და ავტობუსის მარშრუტების უმრავლესობა. დაიკეტა მრავალი საკონცერტო დარბაზი, მუზეუმი, კაფე და რესტორანი. ამ ყველაფერმა დიდი შედეგი არ მოიტანა, დამნაშავეები ვერ დაიჭირეს, სამაგიეროდ, ბრიუსელელებს შეუძლიათ, ქუჩებში სამხედროებისა და ჯავშნიანი მანქანების მოძრაობას უყურონ.**

უკეთესი მდგომარეობა არც პარიზშია. საფრანგეთი გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებდა საზღვარზე, პარიზი კი უკვე აღარ მოგაგონებთ მსოფლიოს ტურისტულ დედაქალაქს.

**თანამედროვე ევროპული ცხოვრება სიმშვიდით, ზომიერებით, დიდ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობით ხასიათდებოდა. თუკი ყველა ეს მუზეუმი, თეატრი და მყუდრო რესტორანი არ იქნება, ევროპაში ცხოვრება ცოტა რამით თუ იქნება განსხვავებული აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში ცხოვრებისგან.**

მსოფლიო შეძრა **ანტუან ლერის** მიმართვამ დამნაშავეებისადმი. ლერის მეუღლე პარიზის ერთ-ერთი ტერაქტის დროს დაიღუპა. „თქვენ ვერ მიიღებთ ამ ძღვენს — ჩემს სიძულვილს. თქვენ ამის იმედი გქონდათ, ამას ეძებდით, მაგრამ სიძულვილი და მრისხანება ნიშნავდა, მივცემოდი იმავე უმეცრებას, რამაც თქვენ გაქციად იმად, რაც ხართ. თქვენ გსურთ, რომ მეშინოდეს, ირგვლივ ვიყურებოდე დაძაბულად, უსაფრთხოების გამო თავისუფლება შევწირო მსხვერპლად. რა თქმა უნდა, მწუხარებით დაცარიელებული ვარ, თქვენ მიიღეთ თქვენი პატარა გამარჯვება, მაგრამ არა დიდი ხნით. ჩვენ სულ ორნი ვართ, მე და ჩემი ვაჟი, მაგრამ ჩვენ მსოფლიოს არმიებზე ძლიერნი ვართ“, — დაწერა ლერიმ საკუთარ ბლოგზე.

**ცხადია, ევროპული ცივილიზაცია არ იარსებებდა, რომ არა ევროპელების რწმენა თავიანთი დებულებების სისწორეში. მაგრამ რა შეიძლება დაუპირისპირონ უიარაღო და თავისუფლების მოყვარულმა ადამიანებმა ფანატიკოსებს, რომლებიც მზად არიან, სხვათა მსხვერპლად შეწირვის გამო თავადაც მოკვდნენ?**

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ანდრეი მანოილო** ამბობს, რომ **ევროპაში ძველი კეთილდღეობა და უსაფრთხოება აღარ არსებობს და რომ ევროპელები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ამჩნევდნენ, როგორ მიდიოდა მათგან ეს ყველაფერი. სწორედ ამან განაპირობა პარიზის ტერაქტების შემდგომ ასეთი შოკი და სრული დაუცველობის განცდა.** დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ ტერორისტული ინტერნაციონალი მოქმედებს. ახალი შეტევების შესაძლო წერტილები მხოლოდ პარიზსა და საფრანგეთში არ არის, დარტყმის ობიექტები, შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც გახდნენ.

**ერთი თვის წინათ ბელგიაში არმიის ყაზარმებზე მოაწყვეს თავდასხმა. როგორი თავდაჯერებული უნდა იყვნენ ტერორისტები ბრიუსელში, როცა საკუთარ თავს არმიის ქვედანაყოფზე შეტევების ორგანიზების უფლებას აძლევენ?** ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიო შეიცვალა.



**თანამედროვე ევროპული ცხოვრება სიმშვიდით, ზომიერებით, დიდ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობით ხასიათდებოდა. თუკი ყველა ეს მუზეუმი, თეატრი და მყუდრო რესტორანი არ იქნება, ევროპაში ცხოვრება ცოტა რამით თუ იქნება განსხვავებული აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში ცხოვრებისგან**

მსოფლიომ უფრო ადრე დაიწყო შეცვლა, მაგრამ ევროპელებს ჯიუტად არ სურდათ ამის შემჩნევა. დიდწილად იმიტომ, რომ ისინი რუსეთთან დაპირისპირებით იყვნენ გართულნი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მთავარი საფრთხეები მოსკოვის პოლიტიკა და ებოლას ციებ-ცხელებაა. და აი, მოულოდნელად გამომჟღავნდა რეალობა.

**პარიზის ტერაქტებმა არა მხოლოდ შეცვალა სიტუაცია, არამედ მსოფლიო უკვე აღარასდროს იქნება ძველებური. ევროპელები უნდა შეეგუონ რეალობას, რომელშიც ახლა ცხოვრობენ. ამ რეალობაში კი ევროპის არც ერთი მოქალაქე არ არის დაცული ტერორისტული აქტებისაგან.**

**ვიდრე ევროპული სახელმწიფოები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ტერორისტები აგებდნენ საყრდენი პუნქტებისა და ბაზების ქსელს. ამ ქსელის ფორმირებას არაერთი წელი დასჭირდა, მაგრამ დღეს ის მთელ ევროპაშია დაქსაქსული. უკვე არის თვითმართვადი ანკლავები მუსლიმანი მოსახლეობით, მრავალი მათგანი შარიათის კანონებით ცხოვრობს.**

საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელი დრო უკვე ხელიდანაა გაშვებული. დროა, გამოიღვიძონ ევროპელებმა და ეს სისტემა უსწრაფესად შექმნან.

ტერორისტები ახალ ტერაქტებს გეგმავენ. 14 ნოემბრის ღამეს პარიზში მათი მომზადების დონე ვიხილეთ. ეს ტერორისტების პროგრამის რეალიზაციის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. ჩანდა კოორდინაციის უმაღლესი დონე. საფრანგეთის დედაქალაქის შვიდ სხვადასხვა ადგილას შვიდი შეტევა დაგეგმილი და კოორდინირებული იყო ერთ ცენტრში. როგორც ჩანს, მორიგი ტერაქტები განხორციელდება არა მხოლოდ პარიზში, არამედ საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც.

**საფრანგეთი პირველი იმის გამო გახდა, რომ იქ ყველაზე ადვილი იყო ტერაქტების ორგანიზება. ამ ქვეყანაში ბევრია თვითმართვადი ანკლავი, რომლებშიც მუსლიმანური მოსახლეობაა და რომლებზეც საფრანგეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი არ ვრცელდება. ეს ტერორისტული შეტევებისთვის მზა საყრდენი ქსელია.**

დიდ ბრიტანეთში ამგვარი ქსელი უფრო მცირე ზომისაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრიტანეთი, ისევე, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოები, დაზღვეულია ანალოგიური თავდასხმებისგან.

ახლა **ძნელია, ვივარაუდოთ, თუ როგორ მოიქცევიან ევროპელები შექმნილ სიტუაციაში, მაგრამ, თუკი ისინი არ გაერთიანდებიან საფრთხის წინაშე, ევროპულ ცივილიზაციასთან ერთად დაიხოცებიან. არსებობს ტერორისტული ინტერნაციონალი. ყველა ცნობილი ტერორისტული დაჯგუფება დასავლური სამყაროს წინააღმდეგ ერთობლივად იბრძვის.**

პარიზის ტერაქტები და მალში მძევლების აყვანა ერთი ჯაჭვის რგოლებია, ეს მოვლენები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მაგრამ ევროპის ქვეყნები სათითაოდ მოქმედებენ. **თვით გერმანიაც კი თავისი მძლავრი სპეცსამსახურებით ვერ შეძლებს, მარტო გაუმკლავდეს ტერორისტულ ინტერნაციონალს, ამიტომაც არსებობს რეალური პერსპექტივა, რომ ტერორისტები რიგრიგობით მოგუდავენ ევროპულ ქვეყანებს და განახორციელებენ თავიანთ გეგმას, რომელიც აღნიშნულია ტერორისტული დაჯგუფებების მრავალ რუკაზე. ევროპა უკვე დანაწევრებულია ვილაიეთებად, ანუ სახალიფოს პროვინციებად, და ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა.**

ამ საფრთხის წინააღმდეგ გასაერთიანებლად ევროპელებს არ აქვთ უმთავრესი — დრო. საჭირო არ იყო დროის დაკარგვა რუსეთთან დაპირისპირებაზე. **ევროპა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაემორჩილა, ფიქრობდა ტრანსატლანტიკურ სოლიდარობაზე. საჭირო იყო საკუთარ პრობლემებზე დაფიქრება და საკუთარი ინტერესების დაცვა. დროის დეფიციტის პირობებში კი უკიდურესად მაღალია რისკი, რომ ევროპამ ვერ შეძლოს მობილიზება. ევროპისათვის ერთადერთი ხსნა იქნება რუსეთთან, ჩინეთთან და ყველა იმ სახელმწიფოსთან გაერთიანება, რომლებიც მზად არიან ტერორიზმთან** ▶

---

მსოფლიო

## სერგეი ლავროვი: თურქეთმა ზღვარს გადააბიჯა

**„თურქეთმა ზღვარს გადააბიჯა“ — განაცხადა გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სირიელ კოლეგა ვალიდ მუალემთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ თურქეთის ხელმძღვანელობამ ზღვარს გადააბიჯა და რისკავს, თურქეთი ურთულეს სიტუაციაში ჩააგდოს, როგორც გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების, ისე რეგიონში არსებული მდგომარეობის თვალსაზრისით“.**

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, როცა თურქულმა ავიაციამ რუსული „სუ-24.“ ჩამოაგდო. საპასუხოდ, მოსკოვმა თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაყინვის პროცესი დაიწყო, ასევე შეწყვიტა სამხედრო კონტაქტები. კრემლის გადაწყვეტილებით, სირიაში განლაგდა უახლესი საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400. თურქეთის პრეზიდენტის — რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, თუ რუსი სამხედროები თურქულ თვითმფრინავს ჩამოაგდებენ, ანკარა ამას „აგრესიის აქტად“ აღიქვამს და შესაბამის ზომებს მიიღებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტერორიზმთან ბრძოლის ყველა ექსპერტი აღნიშნავს “ისლამური სახელმწიფოს” კომპეტენტურობას: ის ფლობს კავშირგაბმულობის დაშიფვრის უახლეს ტექნოლოგიებს და იცის სარგებლობა დახურული არხებით, რომლებიც დაცულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. „ისლამურმა სახელმწიფომ“ იცის კერძო ვირტუალური ქსელების შექმნა კავშირგაბმულობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

◀ **დასაპირისპირებლად.**

ევროპელები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ რაღაც გამოგონილ სამყაროში, სადაც ყველაფერი კარგადაა. და ეს სამყარო რეალურზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მათ გამოიგონეს მითები მულტიკულტურიზმის, შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, უმცირესობათა მხარდაჭერის შესახებ. არადა, საჭირო იყო საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნა, სპეცსამსახურების ქმედებების კოორდინირება, პოლიციისა და არმიის გაძლიერება, ამიტომაც ევროპულ წინააღმდეგობაზე ეჭვები არსებობს.

გამორიცხული არ არის, რომ ევროპა მკაცრ ზომებზე გადავიდეს და ადამიანების გასახლება მხოლოდ „არასწორი“ კანის ფერის გამო დაიწყოს. ევროპის პოლიტიკოსები მემარჯვენეები ხდებიან, მაგრამ რა არის მემარჯვენე პოლიტიკა? ეს ნიშნავს, რომ საშინაო პოლიტიკა გამოირჩევა სისასტიკით, თავისუფლება და დემოკრატია იყინება. მემარჯვენეთა მოსვლის შემთხვევაში პოლიტიკური რეჟიმები სულ უფრო მეტად იხრებიან ტოტალიტარიზმისკენ. ხოლო მემარჯვენე დიქტატურის უკიდურესი ფორმა, როგორც ცნობილია, ფაშიზმია.

**ევროპამ უკვე დაიწყო რეაგირება მიგრაციისა და ტერორიზმის პრობლემებზე იმით, რომ მემარჯვენე და უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები პოპულარობას იხვეჭენ. შესაძლოა, ამან განაპირობოს მკაცრი ზომები ევროპული ხელისუფლებების მხრიდან.**

მაგრამ როგორია ძალთა თანაფარდობა? სიტუაციის მიშვებულობის გამო უპირატესობა „ბებერი“ ევროპას არ აქვს. დევნილების ახალი ტალღების გაუთვალისწინებლად **ანკლავებში ადრე დამკვიდრებული მიგრანტების რაოდენობა მხოლოდ საფრანგეთში დაახლოებით ცხრა მილიონ ადამიანს შეადგენს ქვეყნის მთელი მოსახლეობის 66 მილიონიდან.** მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ **ამ ანკლავების მოსახლეობა მკაცრ პოლიტიკას მშვიდად არ მოითმენენ, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი იარაღს დაავლებენ ხელს. შედეგად, ევროპის ქვეყნებისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის ხაზი, სირიასა და ლიბიაში კი არა, უშუალოდ ევროპული ქვეყნების დედაქალაქებზე გაივლის. ეს რეალური პერსპექტივაა.**

ტერორიზმის ფსიქოლოგიის ექსპერტი იგორ კარპოვი თვლის, რომ ადრე თუ გვიან ევროპელები გამონახავენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. მთავარია, არ გამწვავდეს მდგომარეობა. საქმის ამჟამინდელ ვითარებას განსაზღვრავს დაპირისპირება საინფორმაციო ბრძოლის ველზე. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც სახელმწიფოთა არმიები გავრცელებული ხმების გამო ვერ უმკლავდებოდნენ მტერს.

მაგალითად, საფრანგეთზე თავდასხმამდე ფაშისტურმა გერმანიამ გაავრცელა ფლაერები. ნოსტრადამუსი წინასწარმეტყველებდა, რომ ცაში რკინის ჩიტები იფრენდნენ და ცეცხლს გააჩენდნენ. გასაგებია, რომ ბევრმა ეს დაბომბვების შესაძლებლობებს დაუკავშირა, მაგრამ გერმანელებმა დაასრულეს წინასწარმეტყველება, რომ გადარჩენა მხოლოდ საფრანგეთის სამხრეთში იქნებოდა შესაძლებელი. და მოსახლეობაც მასობრივად დაიძრა სამხრეთისკენ. არმია, ფაქტობრივად, მომარაგების გარეშე დარჩა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გერმანიამ ძალიან მალე ჩაიგდო ხელში საფრანგეთი.

**მედია აჭარბებს, როდესაც ევროპის სხვადასხვა ქალაქში შესაძლო ტერაქტებზე იტყობინება. გასაგებია, თუ ვის სჭირდება ეს. სირიაში ტერორისტებს ანადგურებენ, გამოუვალი მდგომარეობის გამო ისინი ევროპას ემუქრებიან.**

დიდი ალბათობით, ტერაქტები კიდევ მოხდება, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ადამიანები პოზიტიურად უნდა განაწყონ. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გამოიარა შიში. მოსალოდნელი დანაშაულების მიმართ შიშის გაღვივების ნაცვლად საჭიროა მოსახლეობის მომზადება ამ დანაშაულებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

**ევროპელებს არ აქვთ ამგვარი ტერაქტების გამოცდილება და ამის გამო უსაფრთხოების გარკვეულწილად არაადეკვატურ ზომებს იღებენ. ფსიქოლოგიურად ისინი მზად არ არიან ამგვარი შეტევისთვის.**

ისტერიკა დიდხანს არ გაგრძელდება, მაგრამ ბევრი რამ სპეცსამსახურების ეფექტიანობასა და მედიის ქცევაზეა დამოკიდებული. საჭიროა სპეცსამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერება. სხვა საქმეა, რომ მიგრანტთა ყველა ანკლავის გაცხრილვა ძალზე ძნელი იქნება და, შესაძლოა, არარეალურიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პოზიტივზე უნდა გააკეთონ აქცენტი. მოსკოვის მეტროში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მეტროში დგანან ადამიანები, რომლებიც უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს. ისინი, როგორც წესი, შსს-ს ყოფილი თანამშრომლები არიან. მათი თქმით, არაერთხელ იყო მეტროში იარაღით ჩასვლის მცდელობა, მაგრამ ამაზე ძალზე ცოტას საუბრობენ. მთავარია, ხალხი არ დაშინდეს.

svpressa.ru

# «ისლამური სახელმწიფოს» კიბერარმიის საიდუმლოებები

**„ისლამურ სახელმწიფოს“ არამხოლოდ „ბოევიკები“ ჰყავს, არამედ აქვს კიბერიარაღიც, რომელიც მისი დამრტყმელი ძალის საკვანძო შემადგენელია. მისი მთავარი ამოცანაა „ისლამური სახელმწიფოს“ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს შორის კავშირის უზრუნველყოფა და მისი პროპაგანდა.**




ორივე ფუნქცია უკიდურესად მნიშვნელოვანია XXI საუკუნის მსოფლიოში. კავშირი აუცილებელია „ისლამური სახელმწიფოს“ მსოფლიოში გაბნეულ ნაწილებს შორის, პროპაგანდამ კი მოძრაობას საშუალება მისცა, სხვადასხვა მონაცემებით, 20-დან 30-ათასამდე უცხოელი ბოევიკი მიეზიდა.

დღეს საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ სახელმწიფოები თვალს ადევნებენ ელექტრონული კავშირის ყველანაირ საშუალებებს. სიმართლე რომ ითქვას, ეს ადრეც იცოდნენ ან ეჭვობდნენ მაინც. ეს ეხება „ისლამურ სახელმწიფოსაც“. **ტერორიზმთან ბრძოლის ყველა ექსპერტი აღნიშნავს “ისლამური სახელმწიფოს” კომპეტენტურობას: ის ფლობს კავშირგაბმულობის დაშიფვრის უახლეს ტექნოლოგიებს და იცის სარგებლობა დახურული არხებით, რომლებიც დაცულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. „ისლამურმა სახელმწიფომ“ იცის კერძო ვირტუალური ქსელების შექმნა კავშირგაბმულობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

როგორც NBC News-ი იტყობინება, „ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს საკუთარი ტექნიკური მხარდაჭერა, რომელიც კვირაში შვიდი დღის და დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს წევრებისთვის ნებისმიერი ტექნიკური სირთულის მოგვარებას. ის შედგება გამოცდილი ინჟინრების ექვსკაციანი ჯგუფისაგან „ხალიფატის“ ტერიტორიაზე და ოცი ექსპერტისგან მთელს მსოფლიოში.

**ბოლო პერიოდში TELEGRAM-ი იქცა „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის ინსტრუმენტად. საქმე ისაა, რომ ეს პროგრამა მომხმარებელს სთავაზობს არა მხოლოდ პირად და ჯგუფურ ჩატს, არამედ ერთი მომხმარებლისგან ბევრ მომხმარებელთან შეტყობინების დაგზავნასაც, რაც რაღაც კერძო მედიასაშუალების შექმნის უფლებას იძლევა. მაგრამ პარიზის ტერაქტების შემდეგ ამ ქსელმაც დახურა „ისლამური სახელმწიფოს“ და მისი მომხრეების არხები, ამ უკანასკნელმა კი, საპასუხოდ, TELEGRAM-ს ომი გამოუცხადა.**



რაც შეეხება „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდას, ის ტერორისტული დაჯგუფებისთვის წარმოუდგენელ დონეზე ავიდა. ამ ტერორისტული ორგანიზაციისთვის პროპაგანდა მიზნების საკვანძო შემადგენელია სახალიფოს ფორმირების საქმეში: ორგანიზაციას მსოფლიოს მუსლიმანების მხრიდან რელიგიური და პოლიტიკური ერთგულების მოპოვება ესაჭიროება. ბევრად უფრო პროზაული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი კი საკუთარ რიგებში რაც შეიძლება მეტი „ბოევიკის“ მოზიდვაა.

**THE WASHINGTON POST-ის თანამშრომლების — გრეგ მილერისა და სუად მაკჰენეტის მასშტაბური გამოძიება პირველად იძლევა ნათელ წარმოდგენას „ისლამური სახელმწიფოს“ მანქანის ამ უმნიშვნელოვანეს დეტალზე.**

მათი თქმით, **საინფორმაციო ქვეგანყოფილების ბირთვი ასამდე ადამიანისგან შედგება და ისინი უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ერთ შენობაში მუშობენ. ორგანიზაციაში მშვენივრად ესმით ამ სამსახურის მნიშვნელოვნება: მისი ხელმძღვანელების წოდებაა ემირი, ანუ ისინი ორგანიზაციის სამხედრო ხელმძღვანელებთან არიან გათანაბრებულნი. თანამშრომლებს ძალიან კარგად უხდიან, ზოგჯერ შვიდჯერ მეტს, ვიდრე იმავე რანგის მებრძოლებს, აძლევენ სახლებსა და მანქანებს.**

„ისლამური სახელმწიფო“ მკაცრად აკონტროლებს საინფორმაციო ნაკადს: ყველა ახალ „მოქალაქეს“ უმალ ჩამოართმევენ ყველანაირ კამერას, რათა არც ერთმა სურათმა არ გაჟონოს ნებართვის გარეშე. გუნდებში საქმის ოსტატები მუშაობენ. მათი ნაწილი ჯერ კიდევ „ალ ქაიდასთვის“ მუშაობდა ერაყში. გარდა ამისა, იქ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა მთელი მსოფლიოდან, რომლებიც ისლამისტების რიგებში გადასვლამდე მასმედიის საშუალებებში მუშაობდნენ.

პროპაგანდა უკიდურესად მნიშვნელოვანია. **აშშ აბდულა ყვებოდა, თუ როგორ დადგა სიკვდილით დასჯის სცენა მისმა გადამღებმა ჯგუფმა. იქ იყო დაფები, რომლებზეც ჯალათი ტექსტს კითხულობდა, მან მრავალჯერ აღმართა ხმალი, ვიდრე ოპერატორმა რამდენიმე კუთხიდან არ გადაიღო საჭირო კადრები და მხოლოდ რეჟისორის ნებართვის შემდეგ მოჰკვეთა თავი მსხვერპლს.**

პროპაგანდით მხოლოდ დიდების მოსახვეჭად არ არიან დაკავებულნი. ეს „ისლამური სახელმწიფოს“ საომარი სტრატეგიის საკვანძო ელემენტია. ის ასაზრდოებს მის ტერორს, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას, მიიტაცოს ტერიტორია ისე, რომ მოწინააღმდეგე ტყვიის გასროლის გარეშე გარბოდეს. დასასრულ, ის იზიდავს უამრავ ახლ წევრს. „ალ ქაიდას“ ვიდეორგოლებში ადიდებდნენ ორგანიზაციის ლიდერებს, „ისლამურმა სახელმწიფომ“ კი ეს ტაქტიკა თავდაყირა დააყენა. მის პროპაგანდისტულ მასალებში ფოკუსში მოქცეულნი არიან რიგითი მებრძოლები, „ხალიფა“ კი ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს.

**ტერორიზმთან ბრძოლის ყველა ექსპერტი აღნიშნავს «ისლამური სახელმწიფოს» კომპეტენტურობას: ის ფლობს კავშირგაბმულობის დაშიფვრის უახლეს ტექნოლოგიებს და იცის სარგებლობა დახურული არხებით, რომლებიც დაცულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. «ისლამურმა სახელმწიფომ» იცის კერძო ვირტუალური ქსელების შექმნა კავშირგაბმულობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად**

atlantico.fr

## ამერიკის მთავრობამ აღიარა, რომ კანაფი კიბოს უჯრედებს კლავს

**ამერიკის მთავრობამ აღიარა, რომ კანაფი სიმსივნურ უჯრედებს კლავს. ყველა — დაწყებული კონსპირატოლოგებით, დამთავრებული მაღალკვალიფიციური მეცნიერებით — ირწმუნებოდა, რომ კანაფის მოწევას სამედიცინო კუთხით სარგებელი ჰქონდა. მსოფლიოს მასშტაბით სიმსივნით დღეში 20 000 ადამიანი იღუპება.**

ამერიკის მთავრობის ჯანდაცვის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ კანაფის აქტიური ინგრედიენტები სიმსინური უჯრედების სიკვდილს იწვევს და ზრდაში ხელს უშლის. თაგვებსა და ვირთხებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კანაფს შეუძლია მოკლას სიმსივნური უჯრედები და დაიცვას ნორმალური უჯრედები. მარიხუანის მთავარი ინგრედიენტები აქტიურად ებრძვის ღვიძლის კიბოს, მკერდის კიბოს და დაავადების სხვა ფორმებს. ამასთან, კანაბიდოლს შეუძლია ქიმიოთერაპია გაცილებით ეფექტიანი გახადოს ყოველგვარი თანამდევი მოვლენების გარეშე.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსთავი 2“-ის მხარდამჭერთაგან კრინტს არავინ ძრავს იმაზე, კანონიერად შეიძინა თუ ძალით დაისაკუთრა ეს ტელეკომპანია სააკაშვილმა, ანდა, სიმართლეს ამბობენ მისი ყოფილი მფლობელები თუ ცილს სწამებენ ამერიკის თვალისჩინს – „უპატიოსნეს ძაღლიშვილს“.**

# სასამართლო პროცესები, სატელეფონო მოსმენები და ხელისუფლების პოზიცია

**ისეთი რეზონანსული სასამართლო პროცესი, როგორიც „რუსთავი 2“-ის საკითხზე მიმდინარეობდა, ასეთი გამოხმაურებით შინ და გარეთ, რაც თავი მახსოვს, ჩვენს სინამდვილეში არ ყოფილა. ამ ქონებრივმა დავამ გადაფარა (გაშუქების და გამოხმაურების თვალსაზრისით) ამავე პერიოდში მიმდინარე ორი სხვა, საზარელი და სამარცხვინო მკვლელობების ასევე რეზონანსული პროცესები – უდანაშაულო და უიარაღო ვაზაგაშვილი-შვილის (ხუბულოვთან ერთად) სასტიკი მკვლელობა კორტებთან და ვაზაგაშვილი-მამის აფეთქება შვილის საფლავზე, რომლის მსგავსი მკვლელობა საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.**



ვინმესთვის ქონების წართმევა, რომლის უკან დაბრუნებაც შესაძლებელია, განა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვინმესთვის სიცოცხლის წართმევა, რომელსაც უკან ვერავინ დაიბრუნებს?! — არა, რა თქმა უნდა! ეს იმას ადასტურებს მხოლოდ, რასაც დიდი ხნის წინათ მიხვდნენ: პოლიტიკა ბინძურია, დიდი პოლიტიკა — მით უფრო ბინძური! შესაბამისად, ამ პოლიტიკის გამტარებელი პოლიტიკოსების უმრავლესობაც გასვრილია, მათთვის არ არსებობს მორალისა და ეთიკის ნორმები, ამიტომაც ასე აშკარად და სინდისის ქენჯნის გარეშე კბილებით იცავენ 100%-ით დამნაშავე მხარეს, ანუ სააკაშვილის „რუსთავი 2“-ს ასე აშკარად და სინდისის ქენჯნის გარეშე კბილებით იცავენ „დემოკრატიული“ ამერიკა-ევროკავშირის მმართველი წრეების წარმომადგენლები – პარტიული ლიდერები, ელჩები და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები.

არადა, **„რუსთავი 2“-ის ეს ყბადაღებული საქმე ერთობ ბანალურია – იგი „კრიმინალური ორგანიზაციის“ (პრემიერ ღარიბაშვილის შეფასებაა), ანუ „ნაცმოძრაობის“ ლიდერის, ქვეყნიდან გაქცეული, „ძებნილი“ მიხეილ სააკაშვილის მიერ მიტაცებული ტელეკომპანიის კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნებას ეხება და სხვას — არაფერს.** მაგრამ „ქართული ოცნების“ უფხო მმართველობით თავისუფლებაშენარჩუნებულმა „ნაცებმა“ („ნაცების“ დიდი უმრავლესობისთვის ხომ ხელიც არ უხლია ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლებას. ზოგი „გაექცათ“ ქვეყნიდან, ზოგსაც უბატონოდ ხმას ვერ სცემენ, აქაოდა, პარტიული ნიშნით ანგარიშსწორებას დაგვაბრალებენ დასავლეთშიო), დასავლეთიდან დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობოებმა (იმავე „ასო“-ებმა) და „ნაცების“ მონათესავე პარტიებმა, უცხოელ „დემოკრატებთან“ ერთად, ისეთი ალიაქოთი ატეხეს, თითქოს საქმე ყაჩაღობით მითვისებული ქონების ჩამორთმევას კი არა, თავისუფალი სიტყვის ჩახშობას და ასეთი სიტყვის მედროშის — „რუსთავი 2“-ის დახურვას ეხებოდეს.

ყველაზე საინტერესო და, ამასთანავე, ღიმილის მომგვრელი არის ის, რომ **„რუსთავი 2“-ის მხარდამჭერთაგან კრინტს არავინ ძრავს იმაზე, კანონიერად შეიძინა თუ ძალით დაისაკუთრა ეს ტელეკომპანია სააკაშვილმა, ანდა, სიმართლეს ამბობენ მისი ყოფილი მფლობელები თუ ცილს სწამებენ ამერიკის თვალისჩინს — „უპატიოსნეს ძაღლიშვილს“.** სააკაშვილის პატიოსნების დაცვა თეორიულადაც შეუძლებელია — ეს კარგად მოეხსენებათ ჩვენთანაც და დასავლეთშიც, და სწორედ ამიტომაც ცდილობენ სასამართლო დავის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას. **რაზეა დავა, ვინ ვის უჩივის და რას თხოულობს, ამ საკითხებს საერთოდ გვერდს უვლიან; რატომ არიან სააკაშვილი და გვარამია ასე გაწიწმატებული ვიღაც ყარამანიშვილებისთვის ქონების ჩამორთმევით, არც ამის ახსნით იწუხებენ თავს, ბეჭედდასმულად კი იმას აცხადებენ, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ სიტყვას ებრძვის!**

**სირცხვილი ჩვენს ხელისუფლებას, რომელმაც გვარამიასა და ბოკერიას, რომელთა დაჭერასაც დღე-დღეზე ელოდა ყველა («ნაცების» მხარდამჭერების ჩათვლით), ისევ ყელყელაობისა და გამომწვევი ტონით გამოსვლების საშუალება მისცა**

საქართველოში არავის ეპარება ეჭვი, რომ „რუსთავი 2“-ის ერთადერთი მფლობელი სააკაშვილია და არა — ძმები ყარამანიშვილები, როგორც ამაში ჩვენს დარწმუნებას ცდილობენ „ნაცები“. სააკაშვილის ფაქტობრივი მფლობელობა იმითაც დასტურდება, რომ ეს ძმები ერთხელაც არ გამოჩენილან სასამართლო პროცესზე. **კაცს ათეულობით მილიონის ქონებასართმევდნენ, ის კი ჩირგვებში იყოს დამალული და გენერალურ დირექტორს აყეფებდეს (რომელსაც, საერთოდ, არ ედავებიან არაფერს), აქამდე არავის სმენია;** გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენის აღსრულებისას ფიზიკური წინააღმდეგობის გასაწევ ინსტრუქციებს სწორედ სააკაშვილი აძლევს გვარამიას, და გვარამიაც სააკაშვილს სთხოვს თანამშრომლებისთვის ხელფასების ფულს და არა — ყარამანიშვილებს. ეს ყველაფერი აუდიოჩანაწერებით დასტურდება, რომელთა აუთენტურობა სამივე მოსაუბრემ აღიარა — გვარამიამ, ბოკერიამ და თვით სააკაშვილმა.

კიდევ ერთი, ამ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებული საინტერესო და, ასევე, ღიმილის მომგვრელი „ნაცების“ უტიფრობის დამადასტურებელი ფაქტი: ისევე, როგორც პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ვიდეოკადრების გამომზეურებისას, ახლაც, სააკაშვილის მამხილებელი აუდიოჩანაწერების გასაჯაროების შემდეგაც, „ნაცებმა“ ნაცად ხერხს მიმართეს — იმაზე კი არ აკეთებენ აქცენტს, რაზეც ყველა ნორმალური და პატიოსანი ადამიანი, ანუ ვისი მითითებით ხდებოდა პატიმრების წამება ადრე და რა ანტისახელმწიფოებრივ დავალებებს აძლევს ახლაც სააკაშვილი გვარამიასა და ბოკერიას, როცა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებისკენ და „ბოევიკების“ მობილიზაციისკენ მოუწოდებს მათ. **„ნაცების“ ჭკუით, თურმე მთავარია, ვინ გაავრცელა ეს ჩანაწერები ინტერნეტით, ვინ მოჭრა თავი მათ სათაყვანებელ ბელადს. პრეზიდენტ მარგველაშვილის აზრით კი, თურმე მთავარია, ვიცოდეთ, რამდენ კაცზეა წამების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრული, რამდენ(!) კაცზე და არა იმაზე, რომელი კატეგორიის ხალხზეა საქმეები აღძრული — რიგით შემსრულებლებზე თუ იმათზე, ვისი მითითებითაც (ბრძანებით) მზადდებოდა წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ათასობით ფაილი.**

ამ ჩანაწერებზე საინტერესოა „ნაცების“ კიდევ ერთი სამართლებრივი **„მიგნება“**, რომელიც, უკვე მერამდენედ, გვგვრის მწარე ღიმილს. თურმე მთავარი მნიშვნელობა ჰქონია არა ჩანაწერების შინაარსს (სისხლიანი გადატრიალების დაგეგმვას), არამედ იმას, რომ ჩანაწერები, მიუხედავად მათი აუთენტურობისა, კანონის გვერდის ავლით ყოფილა მოპოვებული და ამიტომ საქმის აღძვრამდე ეს ჩანაწერები სამართლებრივ სამხილად არ გამოდგება, პასუხისგებაში ვერ მიგვცემთო, და იქეთ შეუტიეს მთავრობას – როგორ ბედავთ და ჩვენს სატელეფონო საუბრებს მოსამართლის ნებართვის გარეშე ისმენთო!

ეს **„ნაცინტელექტუალები“ იმასაც ვერ ხვდებიან, რამხელა სისულელეს ბჟუტურობენ, რადგანაც ნებისმიერ მოქალაქეს და, მით უფრო, ქვეყნიდან გაქცეულ პრეზიდენტს, რომელიც მართლმსაჯულებას ემალება(!) და ძალაუფლების ხელში ჩაგდებითაც იმუქრება, სახელმწიფოს უშიშროების სამსახურმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს, ვალდებულია(!), მოუსმინოს მის ყოველ საუბარს და თვალი ადევნოს მის ყოველ ნაბიჯს, მოსამართლის ნებართვის გარეშე.** ამ „ინტელექტუალებმა“ ისიც არ იციან (ან ჰგონიათ, რომ თავიანთთვის სასარგებლოდ ძალიან მოხერხებულად ისულელებენ თავს), რომ სატელეფონო საუბარი მონოლოგი არ არის, რომ იგი, სულ ცოტა, ორი სუბიექტის საუბარს გულისხმობს და ამიტომაც, ბუნებრივია, მოსასმენ ობიექტთან ერთად, მეორე მოსაუბრეც ისმინება.

ვფიქრობ, მეტი სიცხადისთვის, შესაბამის კანონს აუცილებლად უნდა დაემატოს ორი მუხლი:

**1. უნდა აიკრძალოს იმ პირების ინტერვიუების პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გავრცელება (ცხადია, პირდაპირი ჩართვებიც), რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებიან;**

**2. ძებნილ პირებთან კონტაქტები უნდა დაისაჯოს (ოჯახის წევრების, მშობლებისა და დედმამიშვილების გამოკლებით).**

და კიდევ, როგორ დავიჯერო, ამ „მოწინავე“ „ნაცებმა“ იმდენი არ იციან, რომ დღევანდელი ტექნიკური შესაძლებლობები, პრაქტიკულად, განუსაზღვრელია და, თუ სახელმწიფომ მოსმენა და თვალთვალი გადაწყვიტა, ვერსად დაემალები; ამისთვის მას არც მოსამართლის ნებართვა სჭირდება და არც სატელეფონო კომპანიის თანხმობა! **დღეს, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლა ამერიკამ საბაბად დაიხვია ხელზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად მსოფლიოს უსმენს — რიგითი მოქალაქიდან დაწყებული „მეგობარი“ სახელმწიფოების ლიდერებით დამთავრებული, და ამაში უკანონოს და უზნეოს ვერაფერს ხედავს.**

მოსმენების საკითხზე სახელმწიფო დეპარტამენტს პრაგმატული ახს-

▶

მსოფლიო

## თურქეთში ჯაშუშობის ბრალდებით ორი ჟურნალისტი დააპატიმრეს

**ოპოზიციურ გაზეთ Cumhuriyet-ის მთავარი რედაქტორი ჩან დუნდარი და გამოცემის ანკარის ბიუროს უფროსი ერდემ გიული ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ჟურნალისტებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ.**

ჟურნალისტები დააკავეს Cumhuriyet-ში ამა წლის მაისში გამოქვეყნებული სკანდალური მასალის გამო, რომლის თანახმად, თურქული სპეცსამსახურები სირიაში მოქმედ შეიარაღებულ მებრძოლებს იარაღს აწვდიდნენ.

მასალაში აღნიშნულია, რომ 2014 წლის იანვარში პროვინცია ადანაში სამხედროებმა თურქეთის სადაზვერვო ორგანიზაციია MIT-ის კუთვნილი სატვირთო მანქანები შეამოწმეს და იარაღის პარტია იპოვეს. თურქეთის ხელისუფლების ვერსიით, სატვირთო მანქანებს სირიაში მცხოვრებ თურქმენებისთვის ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდათ, თუმცა თურქული მედია ამტკიცებდა, რომ ტვირთი რადიკალი ისლამისტებისთვის იყო განკუთვნილი.

ამ მასალას მთავრობის მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ჟურნალისტები სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა და გაზეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლა ამერიკამ საბაბად დაიხვია ხელზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად მსოფლიოს უსმენს — რიგითი მოქალაქით დაწყებული, „მეგობარი“ სახელმწიფოების ლიდერებით დამთავრებული, და ამაში უკანონოსა და უზნეოს ვერაფერს ხედავს... საქართველოს უშიშროების სამსახურმაც რომ არ მოგვისმინოს მოსამართლის სანქციის გარეშე, ძია სემი მაინც გვისმენს, იგი უსმენს უკლებლივ ყველას და ყველგან!

◀ ნა აქვს: **განურჩევლად მოსმენა-თვალთვალის ობიექტისა, ის თუნდაც გერმანიის კანცლერი იყოს, ყველაფერი ამერიკის სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება. დავანებოთ თავი ეთიკურ მხარეს და ვიკითხოთ: არის ამაში სიმართლის მარცვალი? მოგვწონს თუ არა, ამაში სიმართლის მარცვალი კი არა, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა,** მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ჭეშმარიტება. განა ყოველთვის არ აინტერესებდა ერთ სახელმწიფოს, რას აპირებდა მეორე სახელმწიფო? განა ჯაშუშები, მსტოვრები (დღეს — ინფორმატორები) ყოველთვის არ ჰყავდათ უცხო სახელმწიფოებში, და განა ყველა სახელმწიფოს დაზვერვა არ ცდილობდა, ეს ინფორმატორები რაც შეიძლება მაღალ იერარქიულ საფეხურზე ჰყოლოდათ? ამისთვის ხომ ყველა საშუალებას იყენებდნენ და არც დიდ ხარჯს (მოსყიდვას) ერიდებოდნენ. ჰოდა, აბა, **დღეს რატომ გადაყრის რომელიმე სახელმწიფო მილიონებს ინფორმატორების შესანახად, თუკი შეუძლია, გაცილებით ნაკლები ხარჯით ათასჯერ, მილიონჯერ მეტი ინფორმაცია მოიპოვოს თანამედროვე ტექნიკური აპარატურის გამოყენებით სატელეფონო მოსმენებში, ფეისბუკში, პირად კომპიუტერებში, ონლაინ-მიმოწერებში და სხვა წყაროებში დისტანციური ჩართვით?!** ჩვენი ადგილსამყოფელი, ჩვენი ყოველი ნაბიჯიც ხომ მყისიერად და პერმანენტულად ფიქსირდება ჩვენს ჯიბეში ჩადებული, გამორთული მობილურითაც კი. ასე რომ, სულ თვალის ახვევაა იმაზე გაწიწმატებული მსჯელობა, ვის, როგორ და ვისი ნებართვით ჰქონდეს წვდომა ჩვენს სატელეფონო საუბრებთან და, საერთოდ, თვალთვალთან.

**საქართველოს უშიშროების სამსახურმაც რომ არ მოგვისმინოს მოსამართლის სანქციის გარეშე, ძია სემი მაინც გვისმენს, იგი უსმენს უკლებლივ ყველას და ყველგან!**

ისე, მთავარიდან მეორეხარისხოვანზე ყურადღების გადატანა, როგორც ამას „ნაცები“ ცდილობენ „ვიკილიქსით“ გამომზეურებული ჩანაწერებით, ნაცადი ხერხია და მას „დემოკრატიულ“ დასავლეთშიც იყენებენ.

ანალოგიურ სკანდალურ ფაქტს მოვიყვან საილუსტრაციოდ: **სარკოზის პრეზიდენტობისას საფრანგეთის 100 მაღალი თანამდებობის პირმა ერთდროულად ელექტრონული ფოსტით შეტყობინება მიიღო, რომ პრეზიდენტი სარკოზი ისრაელის დაზვერვის — „მოსადის“ აგენტია. მითითებული იყო თარიღიც და მათი გვარებიც (სამი ადამიანის), რომლებმაც „დაავერბოვკეს“ სარკოზი პრეზიდენტის პოსტის დაკავებამდე კარგა ხნით ადრე. მაშინვე იქნა მიღებული ზომები, მაგრამ არა ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემოწმების მიზნით, არამედ იმის დასადგენად, თუ ვინ(!) გაავრცელა ეს მაკომპრომეტებელი მასალა. უსწრაფესად მიაგნეს იმ ინტერნეტკაფეს, რომლიდანაც გაიგზავნა ინფორმაცია, მაგრამ იმის გამო, რომ იქ ვიდეოკამერა არ იყო დამონტაჟებული, გამომგზავნის ვინაობა ვერ დაადგინეს. სარკოზის აგენტობა არც დადასტურებულ იქნა და არც უარყოფილი, ეს საქმე ჩაიფარცხა. ასევე, ჩაიფარცხა იმავე სარკოზის მიერ „დიქტატორ“ კადაფისგან 50 მილიონი ევროს მიღება წინასაარჩევნო კამპანიისთვის.**

წამების, გაუპატიურებისა და პირად ცხოვრებაში ჩარევის დამადასტურებელი ვიდეოკადრების გამომჟღავნების შემდეგ, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ნიშნების მქონე აუდიოჩანაწერებიც დაემატა, ისევ გაუჩნდა ხალხს იმედი, რომ დამნაშავე „ნაცები“ ახლა მაინც აუცილებლად დაისჯებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოკლე მეხსიერება გვაქვს — **გვავიწყდება, რომ სამართალი სასამართლოს ძალით უნდა დამყარდეს, სასამართლოებში კი ისევ ის მოსამართლეები არიან მანტიამოსხმულები, რომლებსაც ათასობით უკანონო განაჩენი აქვთ გამოტანილი 2004–2012 წლებში.** ამ დამნაშავე მოსამართლეებს, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ყოველდღე დაჭერას ელოდნენ, იუსტიციის მინისტრმა ისეთი რამ შესთავაზა, რომ მათთან ერთად ჩვენც პირი დაგვაღებინა გაკვირვებისგან: დასასჯელები კი ხართ, ბევრი ცოდვა გაწევთ კისერზე, მაგრამ მაინც ხელს არ გახლებთ, ამიერიდან სრულ თავისუფლებას განიჭებთ და, როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე იმოქმედეთ, ვეღარავინ გაბედავს თქვენს საქმიანობაში ჩარევასო; არ გატყუებთ, ხომ ხედავთ, ვინც უკანონო განაჩენის გამოტანას გავალებდათ, არც იმათ ვერჩით — მთავარ მოსამართლესაც ადგილზე გიტოვებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც, მთავარ დამნაშავეებსაც მშვიდობიანად ვისტუმრებთ მეზობელ სახელმწიფოებში და თქვენ ხომ არ გამოგიყვანთ „განტევების ვაცებადო“!

ჰოდა, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! **გარანტიების მიღების შემდეგ ამ მოსამართლეებმაც დაიწყეს დაპატიმრებული (თითებზე ჩამოსათვლელი) „ნაცებისთვის“ ბრალდების უმეტესობის მოხსნა და ისეთი განაჩენების გამოტანა მწამებლებისთვის და მკვლელებისთვის, როგორიც ადრე ორი ღერი ფიცრის ან 50 კილო ჯართის მოპარვისთვის გამოჰქონდათ და დღესაც გამოაქვთ 500 ლარის ქრთამის აღებისთვის.** მოსამართლეების ნებისმიერი, თუნდაც აშკარად არასამართლიანი განაჩენი ხელისუფლების მხრიდან რიხიანად საღდება, როგორც დადასტურება სასამართლოს დამოუკიდებლობისა. **რა დიდი გონებამჭრიახობა უნდოდა იმის მიხვედრას, რომ დიდსულოვანი მიმტევებლობა (თანაც, სამართლის ხარჯზე) შედეგს არ გამოიღებდა, რომ ეს პროკურორ-გამომძიებელ-მოსამართლეები, რომლებზეც (თითოეულზე) უამრავი კომპრომატი აქვთ შეგროვებული „ნაცებს“, სიკვდილამდე მათ ერთგულ მონებად დარჩებიან. გონებაჩლუნგი უნდა იყო, ამას ვერ მიხვდე!**



**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზე, პირწავარდნილ «ნაცზე» — პაპუაშვილზე აღარც ვლაპარაკობ, მას რა ლუსტრაცია სჭირდება, ამხელა თანამდებობის პირს, სააკაშვილის მიერ სხვისთვის წართმეულ და მერე მისთვის ნაჩუქარ სახლში რომ ცხოვრობს და არავითარ უხერხულობას არ განიცდის, რა სამართალი მოეთხოვება, ის ხომ «ნაცების» ინტერესებს დაიცავს კბილებით, სანამ არ მოხსნიან ან არ დაიჭერენ, თუმცა ვინაა ამის გამკეთებელი?!**

მაგრამ გონებაჩლუნგობით ეს არავის მოსვლია. გონებაჩლუნგებად, პირიქით, ჩვენ გვთვლის ხელისუფლება, რომელიც პიარტექნოლოგიების გამოყენებით ხშირად ახერხებს ჩვენს გაცურებას. თუმცა „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო“, და ის თვითლუსტრაციას ეწევა, რისი მაგალითიცაა ახლახან დანიშნული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რესპუბლიკელი ქალბატონი **გვენეტაძე**, რომელიც სწორედ „რუსთავი 2“-ის პროცესზე „გაიყიდა“, როცა გადაწყვიტა „ნაც-რესპუბლიკელებისთვის“ ესიამოვნებინა, და შეეცადა (მისი ჭკუით – ტექნიკურად) ზემოქმედებას მოსამართლე ურთმელიძეზე, როცა იგი გამოტანილ განაჩენზე ახსნა-განმარტებისთვის იუსტიციის საბჭოში „მიიწვია“. **საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზე, პირწავარდნილ „ნაცზე“ — პაპუაშვილზე აღარც ვლაპარაკობ, მას რა ლუსტრაცია სჭირდება, ამხელა თანამდებობის პირს, სააკაშვილის მიერ სხვისთვის წართმეულ და მერე მისთვის ნაჩუქარ სახლში რომ ცხოვრობს და არავითარ უხერხულობას არ განიცდის, რა სამართალი მოეთხოვება, ის ხომ „ნაცების“ ინტერესებს დაიცავს კბილებით, სანამ არ მოხსნიან ან არ დაიჭერენ. თუმცა ვინაა ამის გამკეთებელი?!**

გვენეტაძის რა გვიკვირს, როცა პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩაერია სასამართლო პროცესში და მკაცრად გააფრთხილა მოსამართლე ურთმელიძე: „სასწრაფო და ხისტი გადაწყვეტილება არ გამოიტანო“-ო. აქეთ პრემიერმინისტრი აფრთხილებს სასამართლოს წინასწარ(!): საგარეჯოში აჩევნები არ გაყალბებულა, მაგრამ ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსმა“ შედეგები მაინც გაასაჩივრა, ამ სასამართლო პროცესს ყურადღებას მივაქცევო.

ასეთ ვირეშმაკურ „ნეიტრალურ“ გამონათქვამებს, კარგა ხანია, მივეჩვიეთ და გვეგონა თითქოს, ვეღარაფერი გაგვაკვირვებდა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ?! **„რუსთავი 2“-ის დროებით მმართველობაზე მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლე ურთმელიძეს რამდენიმე დღეში შეაცვლევინეს. არ თქვას ახლა ვინმემ, კარგად დაფიქრდა ურთმელიძე, თავდაპირველ გადაწყვეტილებაში შეცდომები იპოვა და თავისი ინიციატივით გამოასწორაო.**

**სირცხვილი ჩვენს ხელისუფლებას, რომელმაც გვარამიასა და ბოკერიას, რომელთა დაჭერასაც დღე-დღეზე ელოდა ყველა („ნაცების“ მხარდამჭერების ჩათვლით), ისევ ყელყელაობისა და გამომწვევი ტონით გამოსვლების საშუალება მისცა!** ამგვარ სასამართლო პრეცედენტებზე, არა მგონია, ვინმეს სმენოდეს, ეს მხოლოდ ჩვენისთანა „თავისუფალი“ და „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებაა! აუდიოჩანაწერების გამოძიების საქმე როგორ მიდისო, — იკითხავს დაინტერესებული ადამიანი. — როგორ და ზუსტად ისე, როგორც განმუხურის დადგმული სპექტაკლის, მუხროვანის „ამბოხისა“ და ლაფანყურის „სპეცოპერაციისა“, როგორც 7 ნოემბრის, 26 მაისის დარბევებისა და ე.წ. აგვისტოს ომის, ანუ სამხედრო ავანტიურის გამოძიების საქმეები (და კიდევ უამრავი) — ყველა მიმდინარეობს. როდის დასრულდება? — უშაბათო კვირაში!

ყოველივე ამის (და კიდევ ბევრი რამის) შემყურეს და ნერვებდაწყვეტილებს უკვე მწარედაც აღარ გვეღიმება, აბა, **სულელის მეტი ვინ გაიღიმებს, როცა სატირლად გვაქვს საქმე, როცა დაუსჯელი „ნაცები“ აქეთ დაგვცინიან, ნიშნისმოგებით ენას გვიყოფენ და გვემუქრებიან: „თუ ბიჭები ხართ და, თუ ქვეშ არ ისვრით ჩვენი მფარველების თითის დაქნევაზე, დაგვიჭირეთ და გაგვასამართლეთ, თორემ მალე ხელისუფლებაში მოვალთ და ყველას დედას გიტირებთო“!**

ამ მთავრობის ხელში, რომელიც თითსაც ვერ აკარებს დამნაშავე „ნაცებს“, არაფერია გამორიცხული; იგი მხოლოდ ლანძღვას უბედავს მათ – რომ „ნაცმოძრაობა“ „დამნაშავე ორგანიზაციაა“, რომ „მიხეილ სააკაშვილის ადგილი ციხეშია“. ცარიელი სიტყვების კი არავის ეშინია, სწორედ ესაა მიზეზი „ნაცების“ გათავხედებისა. მეორე მხრივ, **მე რომ მეუბნები, ბატონო პრემიერო, „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციაო, მასხრად მიგდებ თუ მისამართი გეშლება, არ იცი, რომ თქვენი, მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა დამნაშავეების დასჯა?!**

ხელისუფლებას ხელს აძლევს არსებული „სტატუს კვო“ და ამიტომაც არ ცვლის მახინჯ საარჩევნო კანონს — **ხალხის თავგანწირვის ფასად 2012 წელს არჩეული „ქართული ოცნება“ დღეს უსირცხვილოდ არწმუნებს ხალხს, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა არაფრით არ ესწრება 2020(!) წლამდე. ამასაც, მასხრად აგდების მეტი, სხვა სახელი არ ექნება!**

ყველას მოგვბეზრდა მწარედ გაღიმება, ყველას გვენატრება ნაცნობ-უცნობის ღიმილიანი სახეები ქუჩაში და სახლშიც, მაგრამ ამ უმსგავსობის შემხედვარეს, რაც ჩვენს თავს ხდება, როცა წელი წელს მისდევს და არსებითად არაფერი იცვლება ჩვენს ცხოვრებაში – არც ეკონომიკურად და არც სამართლებრივად, როცა ოცნებები უკეთეს ხელისუფლებაზე და, შესაბამისად, უკეთეს მომავალზეც, დაიმსხვრა, გამწარებულებს,, ღიმილი კი არა, ღრიალი გვინდება, მაგრამ ამას შველა არ მოაქვს – გულს ვასკდებით მხოლოდ; ხელის მოწერების შეგროვებითა და შიმშილობითაც, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანს ამ ხელისუფლების ხელში ვერ მივაღწევთ, ამერიკელ სენატორებთან საჩივლელად სირბილიც, რომელთა გამოც ვართ ამ დღეში, ხომ თავის მოტყუებაა, ამიტომ **ამ უსამართლო მდგომარეობის გამოსასწორებლად კონსტიტუციით მონიჭებული ყველა უფლება უნდა გამოვიყენოთ, ყველა გზა მოვსინჯოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს სამართალი, ერთადერთი რამ, რასაც გაჭირვებული ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება და 25 წლის განმავლობაში გახლეჩილი ქართველი საზოგადოების გამთლიანება შეუძლია.**

**იაკობ ლეჟავა**

---

მოკლედ

# ლევან იზორია: სირიაში საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორიას განცხადებით, სირიაში საქართველოს დაახლოებით 50-მდე მოქალაქე იმყოფება და სუს-ს ყველა მათგანზე აქვს ინფორმაცია.**

„სირიაში საქართველოს დაახლოებით 50-მდე მოქალაქე იმყოფება. ყველაზე გვაქვს ინფორმაცია და მეტიც, ყველა მათგანზე, რომელზეც კონკრეტული მტკიცებულებები გაგვაჩნია, დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. შესაბამისად, როგორც კი ისინი ჩამოვლენ, კანონის წინაშე პასუხს აგებენ“, — განაცხადა იზორიამ.

გარდა ამისა, სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილის თქმით, არსებობს პარტნიორი ქვეყნების მიერ მოწოდებული სხვა „ათასობით ადამიანის“ სია, რომლებიც შესაძლოა, პოტენციურად იყვნენ საფრთხის მატარებელნი. ლევან იზორიას თქმით, საფრთხე საქართველოსთვისაც არსებობს, მაგრამ არა მაღალი კატეგორიის. მისივე განცხადებით, დაგეგმილია კონტროლის გამკაცრება ისეთ ტერიტორიებზე, რომლებსაც საქართველო ჯერჯერობით ვერ აკონტროლებს.



ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფრედს ერთხელ და სამუდამოდ ვუთხარი, რომ არ მჯერა წითელი შპიონაჟის შესახებ მითებისა, თუმცა არც კომუნისტების დოგმატიზმი მეპრიანება. კმარა. ჩვენ ადრეც საკმაოდ ვიკამათეთ, მართალია, დიდი ჯოს სიკვდილის მერე ისინი უფრ მოქნილნი გახდნენ, მაგრამ ეს რას ამტკიცებს? მხოლოდ ერთს — მათ არ სურთ გამანადგურებელი ომი. კრემლში საკმაოდ გონიერი ხალხი ზის — ამას ვერ დავუკარგავ. მაგრამ — კომუნიზმი?

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-43 (315-325)

— ფრედ, — ვეუბნები, — ფრედ მეტი აღარ შემიძლია! გუშინ ბერნსტაინმა თავი ჩამოიხრჩო. საჭიროა რაიმე ვიღონოთ, ფრედ!

— გამოაგდე საღეჭი რეზინი, — საქმიანად მირჩევს მაკ-კორმაკი, ის ხელს გიშლის. უჰ! როგორ ცხელა თქვენთან.

მაკ-კორმაკის დახრილ შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ბრწყინავს. იგი სულს ითქვამს, ცხვირსახოცით იწმენდს შუბლს: მოურიდებლად იხდის პიჯაკს და სკამის ზურგზე ჰკიდებს.

ის სულაც არ არის ისეთი უგრძნობელი, როგორადაც თავს გაჩვენებს. ცდილობს დამაწყნაროს, ყურადღებას მიფანტავს.

— ბერნსტაინი — აი, ის პატარა, ყურპანტურა? რამ აიძულა?

— ვინ იცის, — ვპასუხობ მე.

ფრედი ჩაფიქრებული ისრესს ნიკაპს.

— ცუდია...

მეზობლად კონოლები მოეწყვნენ. მისის კონოლი, პატარა, ნაოჭებიანი იტალიელი ქალი, ცდილობს შვილს პირში ღვეზელის ნაჭერი ჩასჩაროს. ბილი ენით უკან აგდებს მას და ხარხარებს. მისის კონოლი საცოდავად იღიმება და ცდას იმეორებს. არაფერი გამოსდის. სხვანაირადაა საჭირო.

— მაიორი კონოლი! — ვღრიალებ.

ბილი თვალებს აჭყეტს.

— დიახ, სერ!

— თვითმფრინავი უნდა გავმართოთ. ჩვენ ესენისკენ მივფრინავთ.

— დიახ, სერ!

ბილი გაცხარებით ილეჭება. მისის კონოლი მე და ფრედს მადლიერ მზერას გვაპყრობს და ჯიბიდან ვაშლს იღებს. ცხვირსახოცით წმენდს მას და ელოდება მომენტს, რომ პირში ჩაუდოს შვილს.

— ჰოო... — გაბმით ამბობს ფრედი. იგი ოდნავ დაბნეულია.

— და ასეა ყოველდღე, — ვამბობ, — ასე დიდხანს ვერ გავძლებ. ნუთუ არავითარი იმედი არ არსებობს?

თანდათან ვღიზიანდები. მაკკორმაკს რა უჭირს. იგი აქ მხოლოდ სტუმარია, მე კი — მცხოვრები. მე რომ გამიგოს, უნდა გარდაისახოს. ფრედი ძალზე დინჯია, მას ფანტაზია არ ჰყოფნის.

კონოლი ვაშლს ახრაშუნებს და ყელში ეჩხირება.

— იცით, კლოდ, — ამბობს მაკ-კორმაკი, — ძალიან მიჭირს თქვენთან საუბარი. თქვენ საძაგელი ხასიათი გაქვთ.

— ეს ვის, მე?

— თქვენ, თქვენ ინტელიგენტი ხართ. აირინი თქვენზე მტკიცეა, ის თქვენ ას ქულას მოგცემთ წინდაწინ. მას ახლა უჭირს, მაგრამ ჩემთან შეხვედრისას მხოლოდ თქვენზე ლაპარაკობს, კლოდ. თქვენ კი არც გიკითხავთ, როგორაა მისი საქმეები.

— ის გაემგზავრა, ლარიმ ბარათი მომიტანა.

— ეს გამართლება არაა. ნუთუ არ შეგიძლიათ, იყოთ სულ ცოტათი ნაკლებად ეგოისტი?

— რა შეიძლება მოსთხოვო ინტელიგენტს? ლარი მირჩევს ზნეობრივი სრულყოფით დავინტერესდე, თქვენ გინდათ, რომ რობოტი გავხდე...

— სრულიადაც არა. კლოდ, უბრალოდ, იყავით მხნედ. თქვენი საქმეები არც ისე ცუდადაა.

— გმადლობთ ნუგეშისცემისათვის.

ფრედი ილუშება, მაგრამ არ მედავება. თანდათან სირცხვილის გრძნობა მეუფლება, მაგრამ სიჯიუტე მაიძულებს განვაგრძო.

— ისღა გვაკლია, ღვეზელით კვება დამაწყებინოთ... მაგრამ გარწმუნებთ, ცოტა კიდევ და კონოლის, ასტორს ან კანდინსკის დავემსგავსები.

— ციხე ჯობია? — მკაცრად მეკითხება ფრედი.

— დიახ, ათასჯერ.

ფრედი მსუქან მხრებს იჩეჩს.

— იცით, — მეუბნება იგი, — ლარი მართალია: თქვენ მაინც ფსიქოპათი ხართ.

მაკ-კორმაკს კამათში ვერ აჯობებ. როგორც ყოველთვის, ის მოხერხებულად გაურბის კითხვებს და ყველაზე მტკივნეულ ადგილას გირტყამს. მე თითქმის ვყვირი:

— გაგაჩნიათ კი რაიმე წმიდა?

— გვაქვს, — მპასუხობს ფრედი, — აბა, რისთვის ვწვალობ, თქვენთვის? — თქვენ ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტი ბრძანდებით და არ ხართ იმის ღირსი, რომ თქვენი უკვდავი სულისთვის ვიბრძოლოთ...

ასეა ყოველთვის. ახლა ჩემს დაცინვას დაიწყებს, თეთრ ცხელებამდე მიმიყვანს, შემდეგ კი, შეშინებული, დამშვიდებას დამიწყებს. ასეთი მანერა აქვს. ნეტავ, რისთვის ჩავებით ამ უაზრო დავაში?

მჭიდროდ მიწყობილ სკამებს შორის დავიარებით, ჩვენკენ გზას იკვლევს ლარი. მაკკორმაკს შორიდან უქნევს ხელს.

— მიეცით კლოდს ვალერიანის წვეთები, — ამბობს მაკ-კორმაკი, ლარი იცინის.

— უკვე?

თავს ვერ ვიკავებ და ვიღიმები.

— ვალერიანის წვეთები მოიცდის, — ასკვნის ლარი, — თუ სასწრაფოდ დაგჭირდებათ, დამიძახეთ. მე დარბაზში ვიქნები.

ფრედი თავს აქნევს და მძიმედ ტრიალდება ჩემკენ. ხელს მადებს მუხლზე.

— კლოდ, ხელში აიყვანეთ თავი და თუ დაიწყებთ სიხარულისაგან ხტუნვას, როცა ჩემს ნათქვამს მოისმენთ. პარასკევს შტატის უმაღლესი სასამართლო განიხილავს თქვენს კასაციას...

— ფრედ...

ჩემი გული სადღაც ქვევით მიექანება — უძირო უფსკრულში.

— მერე, მერე, — ხმას იბოხებს მაკ-კორმაკი და ცხვირის მოხოცვას იწყებს. იგი ამას საფუძვლიანად აკეთებს; საგულდაგულოდ იწმენდს სათითაოდ ორივე ნესტოს. შემდეგ კეცავს ცხვირსახოცს და ნაღვლიანად იღიმება.

წარმოგიდგენიათ, კაცს უხარია, რომ ციხეში ამწყვდევენ.

— სამუდამოდ ხომ არა!

— ოციდან ოცდაათ წლამდე.

— ოცდათვრამეტისა ვარ. კიდევ მოვესწრები.

— სევდისმომგვრელი არითმეტიკაა.

— მაგრამ, იქნებ არის რაიმე შანსი?

— ძალზე მცირე. თქვენ გაგასამართლებენ როგორც განგსტერს, მაგრამ პოლიტიკური დანაშაულისათვის. მოსამართლეები თქვენს წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ასეთ პროცესებზე განაჩენი წინასწარ არის გამოტანილი. გახსოვს ელიზაბეტ ფლინი?

— ბუნდოვნად... ის, ვგონებ, კომუნისტია?

— და ძალზე ცნობილიც. მე ვიყავი ფოლისკვერზე, როცა ისმენდნენ მის საქმეს. მოსამართლე დიმოკი და პროკურორი ლეინი ისე იქცეოდნენ, თითქოს ლინჩის წესით ასამართლებდნენ. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ფლინს ისინი დიდი ხნით ჩაამწყვდევდნენ.

— მე კომუნისტი არა ვარ.

— მაგრამ არც ჩვეულებრივი მძარცველი ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში გუბერნატორი ადრე თუ გვიან შეგიწყალებდათ. **განგსტერებს ლიბერალურად ექცევიან. აქ არაფერია გასაკვირი. პროკურორი ლეინი, როცა ელიზაბეტს დებდა ბრალს, სამთითა ბრაუნის კმაყოფაზე იყო. და, არა მხოლოდ ის, არამედ ნიუ-იორკის მერი ვინსენტ იმპელიტერი, მოსამართლე ირვინ საიროლი და ფედერალური მოსამართლე თომას მერფიც. თქვენ ეს სახელები არაფერს გეუბნებათ, მე კი მერფისთან ერთად ვსწავლობდი კოლეჯში. იგი ჩემი მეგობარი იყო. სამთითა ბრაუნმა მოსამართლის ადგილი უყიდა. ეს ადგილი ასი ათასი დაუჯდა.**

რაც უნდა ის უქნია ამ მერფის. მისი ისტორია ნაკლებად მაღელვებს. მოსყიდული მოსამართლეც არცთუ ისეთი იშვიათობაა, რომ ღირდეს მასზე ამდენი ლაპარაკი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ არსებობს საავადმყოფოდან თავის დაღწევის იმედი. ციხე არ მაშინებს. „განუსაზღვრელი ვადა“ და ოცი წელი — სხვადასხვა ცნებაა, რატომღაც მინდა დავიჯერო, რომ მოსამართლე უმცირეს სასჯელს გამოიტანს.

ვიღაც გაუბედავად მეხება მხარზე. ვტრიალდები.

მისის კონოლი თვალებში ჩამცქერის.

— მისტერ ემრიჩ, — მეუბნება იგი, — ო, მისტერ ემრიჩ...

ის მზადაა აქვითინდეს, მაგრამ ჯერ თავს იკავებს; მისი უზარმაზარი თვალები მოხუცის ჩამუქებული უპეებით, ცრემლით ივსება.

— თქვენ ისეთი კეთილი ხართ ბილის მიმართ, — მეუბნება იგი, — ღმერთი არ გაგწირავთ, ღვთისმშობელ მარიამს შევევედრები თქვენს ბედნიერებას.

რატომ ლაპარაკობს ყველაფერ ამას? ისედაც მცირე მხნეობა შემრჩენია. თუ იგი ახლა არ წავა, ეშმაკმა იცის რა მოხდება?

— გმადლობთ, — ძლივს ვამბობ და ბოღმა ყელში მებჯინება.

მისის კონოლი ხშირ-ხშირად ახამხამებს თვალებს, პირჯვარს მწერს და ცუნცულით ბრუნდება ბილთან. ბილი ისევ ილეჭება.

— არ შეგიძლიათ, რომ მეგაზეთეები გორდონს მივუსიოთ? — ვეკითხები ფრედს.

მაკ-კორმაკი დაეჭვებული აქნევს თავს.

— არა მგონია. გაზეთები ისეა დაკავებული ჰარამშელდითა და დოკებში მომხდარი უკანასკნელი ხანძრით, რომ საგიჟეთებისთვის აღარ სცალიათ. ომის ვეტერანები აღარ არიან მოდური. მე მივწერე სმიტს, — იგი ჰერსტთანაა დაკავშირებული, — მან კი პასუხის გაცემაც არ ინება.

— ვიცი.

— ერთადერთი გაზეთი, რომელიც დაინტერესდება, „უორქერია“.

— ისევ კომუნისტები.

— თქვენ ისინი არ გიყვართ, კლოდ? რატომ?

— ასე არ ვიტყოდი. მე გულგრილი ვარ მათ მიმართ... რისთვის უნდა მიყვარდნენ? ისინი რუსეთზე ლოცულობენ, კრემლი კი წყალბადის ბომბებს აგროვებს. ორმოცდაცხრაში მათ თავიანთი „ჯო-ერთი“ ააფეთქეს; ორმოცდაცამეტის აგვისტოში — მშრალი წყალბადის სუპერი; ახლა ცდიან სამმაგი დაყოფის ბომბს. **თუკი მე მძულს ჩვენი ბომბი, რატომ უნდა ვიყო სიმპათიით განწყობილი რუსულის მიმართ? ერთიცა და მეორეც უნდა აიკრძალოს.**

— კომუნისტები სწორედ ამას ცდილობენ.

— გვეყოფა, ფრედ. მე არ ვაპირებ რწმენის შეცვლას.

ცოტა ნაწყენი ვარ. მაკკორმაკმა დაარღვია ჩვენი ძველი შეთანხმება — არ შევხებოდით მსგავს თემებს. **ფრედს ერთხელ და სამუდამოდ ვუთხარი, რომ არ მჯერა წითელი შპიონაჟის შესახებ მითებისა, თუმცა არც კომუნისტების დოგმატიზმი მეპრიანება. კმარა. ჩვენ ადრეც საკმაოდ ვიკამათეთ, მართალია, დიდი ჯოს სიკვდილის მერე ისინი უფრ მოქნილნი გახდნენ, მაგრამ ეს რას ამტკიცებს? მხოლოდ ერთს — მათ არ სურთ გამანადგურებელი ომი. კრემლში საკმაოდ გონიერი ხალხი ზის — ამას ვერ დავუკარგავ. მაგრამ — კომუნიზმი? უტოპიაა.**

ფრედმა მირჩია წამეკითხა მარქსი.

ეკონომიკური მონაცემები, ყველა ეს ბაზისები, ზედნაშენები, ზედმეტი ღირებულებანი — ძალზე მშრალია, ძალზე სპეციალური. ეს ტერმინები ჩემთვის ისევე ნაკლებადაა გასაგები, როგორც, ვთქვათ, საჰაერო ბრძოლის თეორია პრინსტონელი ფეხბურთელებისათვის.

მე მიყვარს დრაიზერის ნაწარმოებები. დრაიზერი კომუნისტი იყო, მაგრამ მე ჰოვარდ ფასტის რომანებიც მომწონს. ის კი კომუნისტებს განუდგა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

განგსტერებს ლიბერალურად ექცევიან. აქ არაფერია გასაკვირი. პროკურორი ლეინი, როცა ელიზაბეტს დებდა ბრალს, სამთითა ბრაუნის კმაყოფაზე იყო. და, არა მხოლოდ ის, არამედ ნიუ იორკის მერი ვინსენტ იმპელიტერი, მოსამართლე ირვინ საიროლი და ფედერალური მოსამართლე თომას მერფიც. თქვენ ეს სახელები არაფერს გეუბნებათ, მე კი მერფისთან ერთად ვსწავლობდი კოლეჯში. იგი ჩემი მეგობარი იყო. სამთითა ბრაუნმა მოსამართლის ადგილი უყიდა. ეს ადგილი ასი ათასი დაუჯდა

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-400-ის მოქმედების რადიუსი სირიის ტერიტორიას სრულად დაფარავს და რუსეთს სირიის საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალებას მისცემს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ თვითმფრინავს — თურქეთის თუ ნატოს წევრი სხვა ქვეყნის — სირიის საჰაერო სივრცეში მხოლოდ რუსეთის ნებართვით შეექლება გადაადგილება“.

# «ბუზღუნამ» სირიის საჰაერო სივრცე გადაკეტა

## C-400-ის განლაგება რუსეთს სირიის საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალებას მისცემს

**თურქეთის გამანადგურებლების მიერ ბომდამშენ Су-24-ის ჩამოგდების შემდეგ რუსეთმა სირიაში, ავიაბაზა ჰმეიმიმში, საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400-ის განლაგება გადაწყვიტა. მოსკოვის ამ გადაწყვეტილებამ კი აშშ-ის სამხედრო წრეები შეაშფოთა.**

„საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-400-ის მოქმედების რადიუსი სირიის ტერიტორიას სრულად დაფარავს და რუსეთს სირიის საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალებას მისცემს. ეს ნიშნავს, რომ **ნებისმიერ თვითმფრინავს — თურქეთის თუ ნატოს წევრი სხვა ქვეყნის — სირიის საჰაერო სივრცეში მხოლოდ რუსეთის ნებართვით შეექლება გადაადგილება**“, — განაცხადა „სი-ენ-ენის“ მიმომხილველმა **მეტიუ ჩანგმა.** არანაკლებ შეშფოთებულები არიან აშშ-ის ნატოელი მოკავშირეებიც. სამხედრო ჟურნალ Jane's Defence Weekly-ის რედაქტორი **ნიკ დე ლარინაგა** წერს: „C-400-ის განლაგება მნიშვნელოვნად აფართოებს რუსეთის შესაძლებლობებს სირიაში. სიგნალი, რომელსაც გზავნიან რუსები, არის: „კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში შეგვწევს უნარი, დავიცვათ ჩვენი ძალები სირიაში“.

**C-400-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

C-400 („ტრიუმფი“ ნატოს კოდიფიკაციით — SA-21 Growler — „ბუზღუნა“) — ეს არის ახალი თაობის საშუალო და შორ მანძილზე მოქმედი რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა ყველა თანამედროვე საჰაერო-კოსმოსური საშუალების განადგურება სამხედრო და ადმინისტრაციული ობიექტების დაცვის მიზნით. კომპლექსს შეუძლია 400 კმ-ით დაშორებული აეროდინამიკური მიზნის განადგურება, აგრეთვე, ტაქტიკური ბალისტიკური მიზნებისა, რომლებიც წამში 4,8 კმ სიჩქარით ფრენენ: ფრთოსანი რაკეტების, სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაციის თვითმფრინავების. C-400-ს აქვს რადარი, რომელიც საშუალებას იძლევა, აღმოაჩინოს 600 კმ-ით დაშორებული დაბალ სიმაღლეზე (5 მ) მფრინავი მიზანი.




# სნაიპერული შაშხანა T-5000 M

**T-5000 M -ეს არის კომპანია „ორსისის“ ცნობილი რუსული სნაიპერული შაშხანა T-5000-ის მოდიფიკაცია, რომელიც განკუთვნილია როგორც არმიის, ისე სამართალდამცველი ორგანოების ქვედანაყოფების სნაიპერებისთვის, გამოირჩევა სროლის მაღალი სიზუსტით.**



სამხედრო სპეციალისტების აზრით შაშხანა T-5000 და მისი მოდიფიკაცია T-5000 M ერთ-ერთი სრულყოფილი და ზუსტი სნაიპერული სისტემაა მსოფლიოში. ამ შაშხანის მთავარი ღირსება არის ლულა, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიით ამუშავებენ. შაშხანის გამოყენება შეიძლება მინუს 50-დან პლუს 50 გრადუსი ტემპერატურის პირობებში. იოლი გამოსაყენებელია და აღჭურვილია მოწყობილობა „პიკატონით“, რომელიც იარაღზე დამატებითი სამიზნეების დამონტაჟების საშუალებას იძლევა.

შაშხანას ამზადებენ სამი კალიბრისას — 7,62X51 მმ, 7,62X67 მმ და 8,6X70 მმ. ყველაზე მსხვილკალიბრიან შაშხანას შეუძლია, 1,5 კმ-ით დაშორებული მიზანი დააზიანოს.

## REUTERS:

# თვითმფრინავის თბური კვალის გაანალიზების შემდეგ აშშ იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ თურქეთმა ტერორისტული აქტი მოაწყო

**თეთრი სახლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თურქულმა გამანადგურებლებმა რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავი სირიის საჰაერო სივრცეში ჩამოაგდეს — ეს დასკვნა ექსპერტებმა თვითმფრინავის თბური კვალის გაანალიზების შედეგად გამოიტანეს, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „როიტერი“.**

ნატოს გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** განცხადებით, ნატო თვლის, რომ რუსულმა Су-24-მა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. ამას მოჰყვა ნატოს სხვა წარმომადგენლების განცხადება, რომ ეს სტოლტენბერგის თვალსაზრისია და არა — ნატოსი.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი კანი უნდა გაიწმინდოს დღეში ორჯერ — დილა-საღამოს. უმჯობესია, ეს საღამოს ათ საათამდე მოასწროთ, იმიტომ, რომ 22 საათის შემდეგ სასარგებლო ნივთიერებებს კანი ძნელად ითვისებს. მნიშვნელოვანია წყლის ტემპერატურა: თუ მუდამ ცივი წყლით იბანთ, კანი შესაძლოა გამოშრეს, დაჭკნეს, თუ ცხელით — შესაძლოა ნაადრევი ნაოჭები გაგიჩნდეთ. ოპტიმალური ვარიანტია ოთახის ტემპერატურის წყლის გამოყენება (ეს დაახლოებით 20-22 გრადუსია).**

# ზოგი რამ სახის მოვლის შესახებ

**კანი რთული და მნიშვნელოვანი ორგანოა. ის მონაწილეობს სუნთქვასა და ნივთიერებათა ცვლაში, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას, იცავს შინაგან ორგანოებს მიკროორგანიზმებისა და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან. ჯანმრთელი კანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ორგანიზმის სიჯანსაღისთვის. ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ სურს, ლამაზი, სუფთა, გლუვი, მკვრივი და ელასტიკური კანი ჰქონდეს. კანის სილამაზისა და სიჯანსაღის საწინდარი სისუფთავეა. ორგანიზმში მიმდინარე პროცესები კანზე აისახება. მის მდგომარეობაზე საკვებიც მოქმედებს და გარემოც. თუ არ გაქვთ ძვირად ღირებული საცხის შეძენის საშუალება, კარგი შედეგის მიღწევა შედარებით იაფი საშუალებებითაც შეიძლება.
უმთავრესი საიდუმლო მათი გამოყენების სიხშირეა.**



**დღეში, სულ ცოტა, 12 ჭიქა წყლის დალევა კანს დაატენიანებს და მას გამოშრობის საშუალებას არ მისცემს. ეს არის ყველაზე მარტივი, იაფი და ეფექტიანი საშუალება მშრალ კანთან საბრძოლველად**

არსებობს სამი ფერის კანი: შავი, თეთრი და ყვითელი. ადამიანის კანის ფერი დამოკიდებულია ოთხ გენზე, რომლებიც განაგებს ორგანიზმში პიგმენტ მელანინის გამომუშავებას. ეს გენები ოთხ სხვადასხვა ქრომოსომაშია ლოკალიზებული. რაც უფრო მეტ აქტიურ გენს შეიცავს მელანინის სინთეზის უჯრედი, მით უფრო მუქია კანი. ყველაზე მუქკანიან ადამიანებს ამ გენების რვა აქტიური ალელი აქვთ, ყველაზე ღია კანის ფერის მქონეებს კი აქტიური ალელი საერთოდ არ გააჩნიათ. ადამიანის კანის ფერს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ისიც, დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობდნენ მისი წინაპრები.

კანი სამი სახის საღებავს, ანუ პიგმენტს შეიცავს: მელანინს, კაროტინს და ჰემოგლობინს.

**მელანინი** ის პიგმენტია, რომელსაც შეიცავს კანი, თმა და თვალის ფერადი გარსი. იგი ნახშირწყლისგან, აზოტისა და წყალბადისგან შედგება, ზოგ შემთხვევაში მასში გოგირდიც არის — 2-დან 12%-მდე. მელანინი არ იხსნება წყალში, მჟავასა და ორგანულ გამხსნელებში. გამონაკლისია თმის პიგმენტი. იგი ადვილად იხსნება ტუტეებში და სწორედ ამიტომ არის, რომ საღებავები ადვილად უცვლის ფერს თმას.

მზეზე დიდხანს ყოფნისას თეთრკანიანი ადამიანის კანში დიდი რაოდენობით მელანინი წარმოიქმნება და იგი მუქდება — ირუჯება. კანში მელანინის დაგროვება ერთგვარი დამცავი რეაქციაა — იგი იცავს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, რომლის სიჭარბეს შეუძლია კანის კიბო გამოიწვიოს. სწორედ მელანინი შთანთქავს ჭარბ და მავნებელ ულტრაიისფერ სხივებს.

მეორე პიგმენტია **კაროტინი.** ეს ყვითელი ნივთიერებაა, რომელიც ყველაზე მეტია სტაფილოსა და კვერცხის გულში. როგორც მელანინს, კაროტინსაც ყველა ადამიანის კანი შეიცავს. ბაცი შეფერილობის გამო იგი ნაკლებად ხვდება თვალს, ვინაიდან მუქი მელანინი ფარავს. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც მელანინის მცირე შემცველობის ფონზე კაროტინის სიჭარბე აღენიშნებათ. სწორედ ასეთები არიან აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებნი. მათ ყვითელკანიანებს უწოდებენ.

მესამე პიგმენტია **ჰემოგლობინი.** იგი სისხლს წითელ ფერს სძენს. ჰემოგლობინი ადვილი შესამჩნევია თეთრკანიან ადამიანებში. სწორედ იგი სძენს კანს ვარდისფერს და სახის წამოწითლებაც მისი დამსახურებაა. ამ სამი პიგმენტის თანაფარდობის მიხედვით იყოფიან ადამიანები შავკანიანებად, ყვითელკანიანებად და თეთრკანიანებად.

**კანის ოთხი ტიპია ცნობილი: ნორმალური, მშრალი, ცხიმიანი (პრობლემური) და კომბინირებული (შერეული).**

კანის ძირითადი სტრუქტურა, ცხადია, ყველას ერთნაირი აქვს. განსხვავება ისაა, როგორი ინტენსივობით გამოყოფენ ჯირკვლები ცხიმს და სახის რომელ ნაწილში არიან ისინი უფრო მეტად აქტიურები. კანის ტიპი წლოვანებასთან ერთად იცვლება, თუმცა სწორი ჰიგიენითა და მოვლით მას შეიძლება, დიდხანს შევუნარჩუნოთ სიჯანსაღე. **იმისთვის, რომ განვსაზღვროთ კანის ტიპი, სახე გულდასმით უნდა გავიწმინდოთ, მაგრამ არა ტონიკით ან დამატენიანებელი კრემით. კანმა რამდენიმე საათი უნდა დაისვენოს კოსმეტიკისგან. შემდეგ ის ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ბუნებრივ, დღის შუქზე ჩვეულებრივი ან გამადიდებელი სარკის საშუალებით.**

კანის ტიპი ასე განისაზღვრება:

**ნორმალური კანი** ყველაზე ხშირად პატარა ბავშვებს აქვთ. იგი მოვარდისფროა, რბილი, გლუვი, სუფთა, ელასტიკური, ზომიერად ხავერდოვანი, არ აქვს წითელი ლაქები, ანთებითი უბნები, დიდი ფორები, არ აქვს გამონაყარი, თეთრი და შავი ფერის წერტილები, მით უფრო, მასზე არ არის დაჩირქებული უბნები. კანის ყველაზე დიდი ღირსება სიმკვრივეა. იგი პრაქტიკულად არ ქმნის პრობლემებს, მშვენივრად იტანს სიცხესა და სიცივეს, ყინვასა და ქარს.

ნორმალურისგან განსხვავებით, **მშრალი კანი** პრაქტიკულად არ აქვთ ბავშვებსა და მოზარდებს. იგი მოვარდისფრო-მოყვითალოა, ნაზი, თხელი და მცირეფორებიანი, მიდრეკილია აქერცვლისკენ. ადვილად უჩნდება ნაოჭები და ღრმა ნაკეცები, მტკივნეულად რეაგირებს დასაბან საშუალებებზე. სიცივესა და ქარში შესაძლოა გაწითლდეს და აიქერცლოს. მას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, რადგან ყოველთვის მტკივნეულად რეაგირებს არასწორად შერჩეულ კოსმეტიკაზე.

მშრალი კანი საკმაოდ ხშირად გვხვდება და განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს, რადგან უარყოფითი ზემოქმედებისადმი მეტისმეტად მგრძნობიარეა და სწრაფად ბერდება. მშრალ კანს აქვს მცირე ზომის ფორები და მკრთალი ელფერი, ახასიათებს ცხიმის დაქვეითებული შემცველობა. არასაკმარისი ან არასწორი მოვლის დროს შრება, იქერცლება და ელასტიკურობას კარგავს. ასეთ კანზე ნაოჭები, განსაკუთრებით თვალების ირგვლივ, სხვა ტიპის კანთან შედარებით ადრე წარმოიქმნება. კანის სიმშრალე უმეტესად 50 წელს გადაცილებულ, ცხელი ან ცივი მშრალი კლიმატის ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს აღენიშნებათ. კანი შეიძლება გამოუშრეთ იმ ქალებსაც, რომლებიც არ იცავენ მას გარემოს მავნე ფაქტორებისგან, სვამენ საკმაოზე ნაკლებ წყალს და ა.შ. ასეთ დროს კანი უხეშდება და აქერცვლას იწყებს.

**ცხიმიანი კანი** უმეტესად ახალგაზრდებს აქვთ სქესობრივი მომწიფების ასაკში, თუმცა მათ 10%-ს ასეთი კანი ზრდასრულ ასაკშიც გაჰყვება და ბოლომდე რჩება. აქვს მოყვითალო-მონაცრისფრო ფერი, პრიალაა და ცხიმიანი, ყველაზე ხშირად — სახის ცენტრალურ ნაწილში: შუბლის, ცხვირისა და ნიკაპის არეში. მასზე კარგად ჩანს გაფართოებული ფორები, რომლებიც კანს გამონაყარისკენ მიდრეკილს ხდის. ეს პრობლემური ტიპია, თუმცა ბევრი დადებითი თვისებაც აქვს: კარგადაა დაცული გამოშრობისგან და მაქსიმალურად ხანგრძლივად ინარჩუნებს სიგლუვესა და სიმკვრივეს. მასზე ნაოჭები გაცილებით გვიან ჩნდება, ვიდრე სხვა ტიპის კანზე.

ცხიმიანი კანი შესახედავად სქელი, უხეში და პრიალაა. მისთვის დამახასიათებელია თვალში საცემად მსხვილი ფორები. ზოგჯერ ასეთი კანი ფორთოხლის ქერქსაც კი მოგვაგონებს. ჭარბი ცხიმი მკვდარ უჯრედებსა და მტვერთან ერთად ცხიმის ჯირკვლებში წარმოქმნის საცობებს — შავ წერტილებს. ცხიმიან კანს ადვილად უჩნდება ფერიმჭამელები, სამაგიეროდ, მშრალ კანზე გვიან ნაოჭდება. ცხიმის სიჭარბე მას გამოშრობისგან იცავს. ცხიმიანი კანი უმეტესად ახალგაზრდებს აქვთ, 35-40 წლამდე.

**კომბინირებული (შერეული) ტიპის კანი** უფრო ხშირად გვხვდება, უმეტესად — ახალგაზრდა და შუახნის ქალებში. კანი შუბლზე, ცხვირსა და ნიკაპზე, ჩვეულებრივ, ცხიმიანია; საფეთქლებზე, ლოყებსა და კისერზე, განსაკუთრებით კი თვალების ირგვლივ — მშრალი. შერეული ტიპის კანი სახის სხვადასხვა ნაწილის სხვადასხვანაირ მოვლას მოითხოვს. თუ სწორად მოვუვლით, ასეთი ტიპის კანს ნაოჭები დიდხანს არ გაუჩნდება. არსებობს კანის ტიპის განსაზღვრის ასეთი მეთოდი: დაბანიდან 2-3 საათის შემდეგ სახის სხვადასხვა უბანზე მივიდოთ ქაღალდის ხელსახოცი. თუ ხელსახოცზე ცხიმიანი ლაქა გაჩნდა, კანი ამ უბანში ცხიმიანია. კანი ყველაზე უკეთ ასახავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამიტომ მისი რეგულარული მოვლა ადრე უნდა დავიწყოთ.

თუ მოზარდი ასაკიდან გამოხვედით, მყარი საპონი არ გამოგადგებათ. **თუ მშრალი და მგრძნობიარე კანი გაქვთ, უმჯობესია, ისარგებლოთ თხევადი საპნით. ამასთანავე, წყლის ხარისხიც უნდა შეამოწმოთ. ონკანის წყალი დასაბანად არ ვარგა. ის ან უნდა აადუღოთ, ან სოდა დაამატოთ (ნახევარი ჩაის კოვზი 1 ლიტრ წყალზე). თუ ფინანსები ხელს გიწყობთ, შეიძინეთ ბოთლებით წყალი მაღაზიაში. ძლიერ მგრძნობიარე კანის პატრონებმა, სასურველია, წყალს დაუმატონ ცოტაოდენი რძეც.**

**ნებისმიერი კანი უნდა გაიწმინდოს დღეში ორჯერ — დილა-საღამოს. უმჯობესია, ეს საღამოს ათ საათამდე მოასწროთ, იმიტომ, რომ 22 საათის შემდეგ სასარგებლო ნივთიერებებს კანი ძნელად ითვისებს. მნიშვნელოვანია წყლის ტემპერატურა: თუ მუდამ ცივი წყლით იბანთ, კანი შესაძლოა გამოშრეს, დაჭკნეს, თუ ცხელით — შესაძლოა ნაადრევი ნაოჭები გაგიჩნდეთ. ოპტიმალური ვარიანტია ოთახის ტემპერატურის წყლის გამოყენება (ეს დაახლოებით 20-22 გრადუსია).** კონტრასტული დაბანა, როცა მორიგეობით იყენებთ ცივ და ცხელ წყალს, მხოლოდ რამდენიმე წამი უნდა გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში ის სასარგებლოა, ხელს უწყობს კანის ტონუსის მომატებას. ეს თავისებური სისხლძარღვების ვარჯიში უნდა ჩატარდეს რამდენიმე დღეში ერთხელ. კიდევ უფრო უკეთესია კანის გაწმენდა კოსმეტიკური ყინულით, ანუ სასარგებლო მცენარეების გაყინული ნახარშით.

გამწმენდი საშუალებები კანის ტიპის მიხედვით უნდა შეირჩეს.

* ნორმალურ კანს უხდება გაწმენდა წყლითა და ქაფისებური გელით. მიაქციეთ ყურადღება, რომ კანისათვის განკუთვნილი საშუალების ეტიკეტზე იყოს აღნიშვნა: „ნორმალური კანისათვის".

* ცხიმიან კანს, გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საპნით ნუ გაისუფთავებთ, მეტადრე მაშინ, თუ ანთებისკენ, ჩირქოვანი გამონაყარისკენ არის მიდრეკილი. უმჯობესია, სპეციალური საშუალებები — გელი, კრემი, მუსი, თხევადი საპონი სცადოთ, ოღონდ ამ ტიპის კანისთვის განკუთვნილი. ცხიმიან და ანთებისკენ მიდრეკილ კანს ძალიან უხდება სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საშუალებები. კარგი იქნება, თუ დასაბან წყალსაც დაამატებთ გვირილის, კრაზანის, პიტნისა და სხვა მცენარეთა ნაყენს.

* ლოსიონი სპირტიანი შეარჩიეთ. ფერიმჭამელების დროს კანი უნდა დაიბანოთ ადუღებული წყლით, რომელსაც დამატებული ექნება ცოტაოდენი სოდა.

* მშრალი კანი ვერ იტანს გამაღიზიანებელ და გამჭიმავ ნივთიერებებს. თუ დაბანის შემდეგ ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს კანზე ცეცხლი გიკიდიათ ან წებო გისვიათ, აუცილებლად უნდა შეიცვალოთ გამწმენდი საშუალება. ასევე, რაც შეიძლება იშვიათად მიიკარეთ სახეზე წყალი. კანის გაწმენდა უწყლოდაც შეიძლება. საჭიროა მხოლოდ სათანადო საშუალების შერჩევა. ყურადღება მიაქციეთ, მის შემადგენლობაში არ შედიოდეს სპირტი. მაკიაჟის მოსაშორებლად გამოიყენეთ კოსმეტიკური რძე ან ნაღები, მეტადრე მაშინ, თუ მუდმივად ხმარობთ ტონალურ საშუალებებს. დასაბანად განკუთვნილი დამარბილებელი საშუალებები არღვევს კანის დამცავ ბარიერს — მის ლიპიდურ ფენას, მართალია, საპონზე ნაკლებად, მაგრამ მაინც. ასე რომ, გაწმენდის შემდეგ აუცილებლად წაისვით თქვენი კანისთვის შესაფერისი და უკვე შერჩეული კრემი.

* თვალების ირგვლივ კანს ნუ შეეხებით, ამ ადგილას კანი განსაკუთრებით მგრძნობიარე და ფაქიზია, ამიტომ დაბანისას, მაკიაჟის მოშორებისას ეცადეთ არ შეეხოთ. მისთვის არსებობს სპეციალური საშუალებები — გელები, კრემები და სხვ. ქუთუთოების კანი ძალიან მგრძნობიარეა და ნაზი, ის ადვილად იჭიმება, ადვილად მოეშვება და დეფორმირდება. გახსოვდეთ, კანის მოსავლელი საშუალებები კანის ტიპის შესაბამისად უნდა შეირჩეს, რათა შედეგი თვალსაჩინო იყოს, ხოლო ეფექტი — ხანგრძლივი.

ნებისმიერი ტიპის კანს მუდმივი ყურადღება სჭირდება. თუ გსურთ, თქვენმა კანმა დიდხანს შეინარჩუნოს სილამაზე, სინაზე, ელასტიკურობა, მიმზიდველობა და ახალგაზრდობა, ყოველდღიურად უნდა გამონახოთ დრო მის მოსავლელად.

კოსმეტოლოგიური საშუალების თითოეულ კოლოფზე მითითებულია, რომელი ტიპის კანისთვის არის ის განკუთვნილი, მაგრამ იმისათვის, რომ არჩევანში არ შევცდეთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ საკუთარი კანის ტიპი. გაითვალისწინეთ, კანის მდგომარეობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცვლელი როდია. კანის ▶

# კანი რომ დავიცვათ გამოშრობისა და ნახეთქების გაჩენისაგან, აუცილებელია რეგულარული ვიტამინიზებული მხარდაჭერა. A, C და E ვიტამინები კარგი ანტიოქსიდანტია, ისინი ნაზ კანს ეხმარება ამინდთან დაკავშირებული უსიამოვნებების გადატანაში. დამატენიანებელი საშუალებები მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება, თუ მას ქუჩაში გასვლამდე 2 საათით ადრე წაისვამთ.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტიპი შეიძლება შეიცვალოს, როგორც სიცოცხლის განმავლობაში (უფრო ხშირად ჰორმონული მიზეზით), ასევე, დროის მცირე მონაკვეთშიც, გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით.

ცხიმიანი კანისთვის განკუთვნილი საცხების შემადგენლობაში ხშირად შედის გვირილის, გულყვითელას, ფარსმანდუკის ექსტრაქტი. ისეც ხდება, რომ კლიმატის ცივიდან ცხელისკენ შეცვლასთან ერთად, დროებით თქვენი კანის ტიპიც იცვლება. ამ დროს მშრალმა კანმა შეიძლება ცხიმოვანის ნიშნები შეიძინოს. ამ პერიოდში დროებით უნდა შეცვალოთ მოვლის საშუალებები.

კომბინირებული კანისთვის განკუთვნილ საცხში უნდა შედიოდეს ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, მაგალითად: გვირილა, სალბი, მრავალძარღვა, რაც ანთებითი პროცესის განვითარებას შეუშლის ხელს. კომბინირებული კანის შემთხვევაში, საკმაოდ რთულია სხვადასხვა უბანზე განსხვავებული საცხის გამოყენება. შეეცადეთ, მხოლოდ ნატურალურ ზეთებზე დამზადებული საშუალებები შეიძინოთ, რადგან მინერალური ზეთები ფორებს ახშობს და კანს აბინძურებს.

პრობლემური კანის მოსავლელად უნდა შეარჩიოთ ისეთი საშუალება, რომლის შეფუთვაზეც აღნიშნულია **„PH-ნეიტრალური“**. ასეთი კოსმეტიკა არ არღვევს ბუნებრივ ბალანსს და აცხრობს ანთებას. პრობლემური კანის საცხების შემადგენლობაში უნდა იყოს ჩაის ხის, ფურისულას, ლავანდის ზეთი, კაოლინი, F, E, C, B6 ვიტამინები. პრობლემური კანის მოსავლელად კარგ შედეგს იძლევა მკვდარი ზღვის სამკურნალო ტალახისა და მინერალების საფუძველზე შექმნილი საცხები. მათი შეძენისას ყურადღება მიაქციეთ წარმოების ადგილს. მკვდარ ზღვას მხოლოდ ორი ქვეყანა — ისრაელი და იორდანია ეკვრის.

ახალგაზრდების კანი შეიძლება პირობითად ორ ქვეჯგუფად დავყოთ — ყმაწვილობისა და უშუალოდ ახალგაზრდული. პირველი ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი საცხები სამკურნალო ეფექტის მქონეა, სახის კანზე ჰორმონული გარდაქმნების შედეგების გამოვლინებას აქვეითებს, ახალგაზრდა კანის საცხები კი აუმჯობესებს მის მდგომარეობას. ახალგაზრდა კანის საცხის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს: საფუარი, თაფლი, შვრიისა და მცენარეების გამონაწვლილი, კვერცხის გული, ზეითუნის ზეთი. ეს უკანასკნელი პრაქტიკულად ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალების საუკეთესო კომპონენტია. ამ ასაკისათვის განკუთვნილ საცხებში შედის თუთია და სალიცილის მჟავა, ისინი კანს სიჯანსაღის შენარჩუნებაში ეხმარება. გაითვალისწინეთ, რომ საცხი სუფთა კანზე უნდა წაისვათ.

როგორც მცენარეს სჭირდება მორწყვა, ასევე ჩვენს კანსაც უნდა მუდმივი დატენიანება, რომ სილამაზე და ახალგაზრდობა არ დაკარგოს. ცხადია, დაბერების პროცესი გარდაუვალია, მაგრამ შეიძლება მისი მნიშვნელოვანი შენელება. შხაპის ყოველი მიღების შემდეგ სახე აუცილებლად უნდა დატენიანდეს. კანის დაბერების საწინააღმდეგო საცხებში არსებული ჰიალურონის მჟავა ხელს უწყობს დატენიანებას და ახანგრძლივებს კანის ახალგაზრდობას. ცალკე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ ბოტოქსის ეფექტის მქონე საცხები, მაგრამ, როგორც წესი, ისინი საკმაოდ ძვირად ღირებულია. კანის დაბერების საწინააღმდეგო საცხების ეფექტიანობის საიდუმლო მათი გამოყენების სიხშირეა. რეტინოიდები, ანუ A ვიტამინის ნაწარმი, ჯერჯერობით ერთადერთი ინგრედიენტია, რომლის ეფექტიანი მოქმედება მეცნიერულად დასაბუთებულია. ის ნაოჭების წარმოქმნის პროფილაქტიკასა და უკვე არსებული წვრილი ნაოჭების გადასწორებას უწყობს ხელს. 30 წლის შემდეგ აუცილებელია A ვიტამინის შემცველი, ძირითადად, ღამის საცხების ყოველდღიური გამოყენება.



**გარგარი გაღიზიანებულ და შეწითლებულ კანს ამშვიდებს, ბადრიჯანი საუკეთესო დამატენიანებელია, ატამი ნაოჭებს ასწორებს, ყურძენი არბილებს და ატენიანებს კანს, მოცხარი და მაყვალი ინფექციას იოლად უმკლავდება, ლიმონი ფორებს ავიწროებს და თუ მას გახეხილ კარტოფილსაც დაუმატებთ, ეფექტი საგრძნობლად გაიზრდება. კიტრი ატენიანებს და ხსნის დაღლილობას, ალუბალი ფორებს ავიწროებს, მარწყვი ეფექტურია აკნეს დროს, სტაფილო უხდება ცხიმიან კანს, ასევე დადებითად მოქმედებს კანის ფერზეც, კარტოფილი ხსნის დაღლილობას, ავიწროებს ფორებს, ასწორებს ნაოჭებს და ასევე ეფექტიანია თვალის ქვეშ მუქი ლაქების მოსაშორებლად**





**კანი რომ დავიცვათ გამოშრობისა და ნახეთქების გაჩენისაგან, აუცილებელია რეგულარული ვიტამინიზებული მხარდაჭერა. A, C და E ვიტამინები კარგი ანტიოქსიდანტია, ისინი ნაზ კანს ეხმარება ამინდთან დაკავშირებული უსიამოვნებების გადატანაში. დამატენიანებელი საშუალებები მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება, თუ მას ქუჩაში გასვლამდე 2 საათით ადრე წაისვამთ.**

დღე-ღამის პერიოდსაც აქვს მნიშვნელობა. დღის საცხები მსუბუქი კონსისტენციისაა, კარგად იწოვება და იცავს კანს გამოსხივების, ქარის, ყინვისა და ტენის დაკარგვისაგან. ღამის საცხებს კი აღმდგენი თვისებები აქვს, მეტი ბიოლოგიური აქტივობით, სიმკვრივითა და ცხიმიანობით გამოირჩევა.

ნუ გეგონებათ, რომ ქილა ან ტუბი მხოლოდ დიზაინერული მიგნებაა. როდესაც საცხს ქილაში თითებით ვეხებით, მისი ბაქტერიებით დაბინძურების რისკი იზრდება. ჰაერის ჭარბად მოხვედრაც უკარგავს მას სასარგებლო თვისებებს. **ტუბებში არსებული საცხი შესაძლოა გარეგნულად ნაკლებმიმზიდველი იყოს, მაგრამ მას თავისი უპირატესობა აქვს: ხელებსა და ჰაერთან კონტაქტი არ ხდება.**

უნდა აღინიშნოს, რომ სახის კანის მოსავლელად ბაზარზე არსებული ხარისხიანი პროდუქცია საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა და შესაძლოა, ყველამ ვერ შეძლოს რეგულარულად მისი შეძენა და გამოყენება. ამის გამო დადარდიანება არ ღირს, რადგან გაცილებით უფრო იაფფასიანი ალტერნატივა ქილებში მოთავსებულ საცხებზე უფრო ჯანსაღი და სასარგებლოა. საქართველო ხილითა და ბოსტნეულით მდიდარი ქვეყანაა და ყველას შეუძლია, ისარგებლოს ამით. შეგიძლიათ, ძვირადღირებული ნიღბებისა და საცხების ნაცვლად სახეზე ხილის წვენი ან რბილობი შეიზილოთ. როდესაც ამ საქმეს შეუდგებით, გაითვალისწინეთ:

**გარგარი გაღიზიანებულ და შეწითლებულ კანს ამშვიდებს, ბადრიჯანი საუკეთესო დამატენიანებელია, ატამი ნაოჭებს ასწორებს, ყურძენი არბილებს და ატენიანებს კანს, მოცხარი და მაყვალი ინფექციას იოლად უმკლავდება, ლიმონი ფორებს ავიწროებს და თუ მას გახეხილ კარტოფილსაც დაუმატებთ, ეფექტი საგრძნობლად გაიზრდება. კიტრი ატენიანებს და ხსნის დაღლილობას, ალუბალი ფორებს ავიწროებს, მარწყვი ეფექტურია აკნეს დროს, სტაფილო უხდება ცხიმიან კანს, ასევე დადებითად მოქმედებს კანის ფერზეც, კარტოფილი ხსნის დაღლილობას, ავიწროებს ფორებს, ასწორებს ნაოჭებს და ასევე ეფექტიანია თვალის ქვეშ მუქი ლაქების მოსაშორებლად.**

მშრალი კანი ერთ-ერთი გავრცელებული პრობლემაა ადამიანებისთვის და ეს პრობლემა ზამთრის სეზონის განმავლობაში მწვავდება. იმისათვის, რომ მინიმალური დანახარჯებით გაუმკლავდეთ ამ სირთულეებს, პირველ რიგში, დალიეთ ბევრი წყალი. წყალი თქვენს სხეულს გამოაცოცხლებს. **დღეში, სულ ცოტა, 12 ჭიქა წყლის დალევა კანს დაატენიანებს და მას გამოშრობის საშუალებას არ მისცემს. ეს არის ყველაზე მარტივი, იაფი და ეფექტიანი საშუალება მშრალ კანთან საბრძოლველად.**

**არ გამოიყენოთ საპონი.** ზოგი ფიქრობს, რომ საპნით სახის კანის დაბანა კარგია მის მოსავლელად, რაც მცდარი შეხედულებაა. საპნის შემადგენელი ქიმიკატები კანს სიმშრალისკენ უბიძგებს, რადგან აცილებს მას ზედა ფენას (ეპიდერმისს), ამიტომ არ დაიბანოთ კანი საპნით.

შეიტანეთ მეტი რაოდენობით **ხილი** თქვენს დღიურ კვებაში. ისეთი ხილი, როგორებიცაა ყურძენი, საზამთრო და მსხალი შეიცავს დიდი რაოდენობით წყალს, რაც თქვენს კანს გამოშრობის საშუალებას არ აძლევს.

**იძინეთ სწორად.** თქვენს კანსა და სხეულს დღეში, სულ ცოტა, 8 საათი ძილი ესაჭიროება, რათა ჯანმრთელად გამოიყურებოდეთ. ძილის ნაკლებობა კანს უქმნის პრობლემას, ამიტომ, როდესაც გიწევთ დილის 8 საათზე ადგომა, ეცადეთ, რომ ღამის 12 საათზე გვიან არ დაიძინოთ.

**ცხელი წყლით** სახის დაბანა არაა სასურველი. შეცვალეთ ის ცივი ან ნელ-თბილი წყლით. ცხელი წყალი კანს ისე აზიანებს, როგორც საპონი, ამიტომ მოერიდეთ მას.

საშინაო პირობებში სახის გაწმენდის ერთი შეხედვით რთულ პრობლემასაც მშვენივრად გაუმკლავდებით, თუკი შემდეგ ნაზავს მოამზადებთ:

*** ერთი სუფრის კოვზ წვერის საპარს ქაფს, დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი სოდა. კარგად აურიეთ. ადუღებულ წყალში ჩაყაჭურჭელში (ისეთში, რომელსაც შემდგომ მჭიდროდ დაახურებთ თავსახურს) ჩააწვეთეთ 1-2 წვეთი იოდი, შემდეგ სხვა კომპონენტები, კარგად აურიეთ და შეინახეთ მაცივარში.**

**წაისვით სახეზე კვირაში 2-3-ჯერ და გაიჩერეთ 2 საათით, შემდეგ ჩამოიბანეთ ნელ-თბილი წყლით.**

**რამდენიმე პროცედურაში კანი გახდება ელასტიკური, გაქრება პიგმენტური ლაქები, საგრძნობლად გასწორდება ნაოჭები.**

ნებისმიერი ტიპის კანის გასაწმენდად ასევე ძალიან ეფექტიანია ასპირინის ნიღაბი:

*** 1 სუფრის კოვზ შემთბარ თაფლს შეურიეთ ერთი სუფრის კოვზი წყალი. დადგით მასა ორთქლის აბაზანაზე და როგორც კი ის 40 გრადუსამდე გათბება, დაუმატეთ წინასწარ დაფხვნილი ასპირინის ორი აბი. თუ წყალი და თაფლი ძალიან გაგიცხელდათ ან აგიდუღდათ, თაფლი დაკარგავს თავის სამკურნალო თვისებას. სანამ ნიღაბს სახეზე დაიდებდეთ, კარგად გაიწმინდეთ კანი. შეგიძლიათ ორთქლის აბაზანაც გაიკეთოთ. მას შემდეგ, რაც სახე მზადყოფნაში გექნებათ, დაიდეთ ნიღაბი, 20 წუთის შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. კვირაში მხოლოდ ერთი ასეთი ნიღაბი და თქვენი კანი ჯანმრთელი და სუფთა იქნება.**

სახეზე ფართო ფორების, ცხიმიანი სებორეისა და ეგზემის დროს უნდა ვიხმაროთ სადეზინფექციო მცენარეები — მარწყვაბალახას ძირები, ფარსმანდუკი, შვიტა, სალბი, კრაზანა. თესლიანად დაფქული მატიტელა სახეს ნაწიბურებს მოაშორებს, მოსპობს ჭორფლსა და დიდი ხნის სისხლნაჟღენთს, ხოლო მატიტელას სახვევით გაიწოვება მკვრივი სიმსივნეც.

*** თუკი მშობიარობის შემდეგ სახეზე პიგმენტური ლაქები დაგრჩათ, არაპასტერიზებულ რძეს შეურიეთ სუფთა სპირტი 3:1-ზე და ნაზავი ღამით სახეზე შეიზილეთ.**

* გარუჯული ან ქარისგან აქერცლილი სახის კანზე სქლად დაიდეთ კვერცხის გული, როდესაც გული შეშრება, წყლითა და საპნით ჩამოიბანეთ.

*** კანის შესივებისა და გაღიზიანების დროს 1 მუჭა ვარდის ფურცელს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი და 30 წუთს გააჩერეთ. ცივი ნაყენით სახე დღეში 2-ჯერ გაიწმინდეთ. ამ ნაყენისგან შეგიძლიათ დაამზადოთ ყინულის კუბები და დაიზილოთ მკერდი, სახე და კისერი.**

* ნაოჭების მოსაცილებლად: ერთმანეთს შეურიეთ თითო სუფრის კოვზი ჟოლოს ფოთლები და ცაცხვის ყვავილები, წამოადუღეთ, შეფუთეთ და 30 წუთს ასე დატოვეთ. შემდეგ მიღებული ნაყენი სპეციალურ ფორმაში ჩაასხით და საყინულეში შედგით. ყინულის კუბით სახე ძილის წინ დაიზილეთ.

*** სახის კანის გასაწმენდად: 1/2 ჭიქა ნაღებს ან არაჟანს დაამატეთ 1 სუფრის კოვზი მარილი და მიღებული მასა ძლიერი, წრიული მოძრაობით სახეზე შეიზილეთ. შემდეგ ჩამოიბანეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. გააკეთეთ დღეში 1-2-ჯერ.**

**რეთ გვირილის გამხმარი ყვავილები. ქვაბი სკამზე დადეთ, გადაიფარეთ პირსახოცი და სახე ორთქლს მიუშვირეთ. საკმარისია 5-7 წუთი. დატენიანდებულ კანზე წაისვით წინასწარ მომზადებული ნარევი ისე, რომ თვალებსა და ტუჩებს არ შეეხოთ. შემდეგ აბაზანაში მოუშვით ცხელი წყალი, წყალს შეუშვირეთ რაც შეიძლება რბილი ჯაგრისი და სველი ჯაგრისის დახმარებით რბილად და დინამიურად გაიწმინდეთ სახე. განსაკუთრებით შუბლისა და ცხვირის მიდამოები. საბოლოოდ კი წყლით ჩამოიბანეთ. შეამჩნევთ, რომ შავი წერტილები უბრალოდ გაქრა, კანი კი გლუვი და სუფთაა.**

შეგიძლიათ, მსგავსი მარტივი ხერხებით თავი 10 წლით გაიახალგაზრდავოთ სულ რამდენიმე წუთში. დაგჭირდებათ ნატურალური თაფლი და კიდევ რამდენიმე შემადგენელი, რომლებსაც ნებისმიერ აფთიაქში შეიძენთ.

*** საჭიროა ერთი სუფრის კოვზი თაფლი, ერთი სუფრის კოვზი აბუსალათინის ზეთი, ერთი ჩაის კოვზი ვაზელინი, 1-2 წვეთი იოდი.**

**თავდაპირველად სუფთა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარკ ტვენის ერთ-ერთი სურვილი სიკვდილის წინ (21 აპრილი, 1910) იყო ის, რომ მისი ავტობიოგრაფია არ ენახათ მისი სიკვდილიდან 100 წლის განმავლობაში. მისი ნაწერები, რომლებიც 400 გვერდს შეადგენს, აღწერს მწერლის ურთიერთობას იზაბელ ვან კლიკ ლიონთან, რომელიც მისი მდივანი გახდა 1904 წელს, ცოლის გარდაცვალების შემდეგ.**

# დალუქული მასალები

**დოკუმენტების გარკვეულ პერიოდამდე დალუქვა ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა. ხოლო როცა ასეთი დოკუმენტები საზოგადოებაში არსებულ საჭირბოროტო პრობლემას ეხება, მასზე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდება ხოლმე. მსგავსი ტიპის დოკუმენტებს, როგორც წესი, აერთიანებს ერთი რამ — ისინი ცვლიან საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენებს ამ თუ იმ მოვლენის შესახებ.**



## დოქტორ დევიდ კელის გვამის გაკვეთის ანალიზი

**დევიდ კელი გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა და ბიოიარაღებზე ატარებდა კვლევებს. ის ასევე კურატორობდა გაეროს შეიარაღებულ ძალებს ერაყში 2003 წელს. კელი დაეჭვდა, რომ ერაყელების წინააღმდეგ მზადდებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. ეს ეჭვი მან საიდუმლოდ გაანდო "ბი-ბი-სის" ჟურნალისტს, მაგრამ ეს საიდუმლო მალე გასკდა და კელის ამ ჭორის დამტკიცება მოსთხოვეს. პროფესორმა განაცხადა, რომ ეს ხმები მისი გავრცელებული არ იყო.**

რამდენიმე დღის შემდეგ დევიდი ტყეში სასეირნოდ გავიდა, გზაში კი 29 აბი ტკივილგამაყუჩებელი დალია და მარცხენა მაჯაზე სამართებელი გადაისვა. სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა, თუმცა ექიმების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ საქმე ასე მარტივი არ იყო და გვამის გამოკვლევა დაიწყეს. ამას დაემატა მისი მეგობრის ჩვენებაც, რომელიც ირწმუნებოდა, რომ გარდაცვალების დღეს დევიდს ტყეში შეხვდა და რომ ის საკმაოდ კარგ განწყობაზე იყო, ხუმრობდა კიდეც. საქმეს რამდენიმე წელი იძიებდნენ და 2010 წლის იანვარში ყველა დოკუმენტი, რომლებიც ამ საქმეს ეხებოდა, 70 წლით დალუქეს.




## შირლი არდელ მეისონის ფაილები

**შირლი არდელ მეისონი იყო ამერიკელი მსახიობი, რომელიც ახალგაზრდობაშივე გახდა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი. მისი ისტორია აღწერა ჟურნალისტმა ფლორა რიტა შრაიბერმა წიგნში „სიბილი", რომელიც 1973 წელს გამოვიდა და ბესტსელერად იქცა. 1976 წელს ფილმიც გადაიღეს.**

1950-იან წლებში შირლი კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და ემოციური აშლილობა სჭირდა. აღსანიშნავია, რომ დედა შიზოიდი ჰყავდა. გოგონამ დასახმარებლად ფსიქიატრს მიმართა. აღმოჩნდა, რომ მას პიროვნების იდენტურობა ჰქონდა დაკარგული და მასში 16 პიროვნება ცხოვრობდა.

პროფესორმა **ჰერბერტ შპიგელმა**, რომელსაც შირლი მკურნალობის რამდენიმე სეზონის განმავლობაში ჰყავდა ნანახი, განაცხადა, რომ მას დისოციაციური დისბალანსი, საკუთარი თავის გაუცხოება სჭირდა და არა პიროვნების გამრავლება.

შირლი არდელ მეისონი 1998 წელს გარდაიცვალა მკერდის კიბოთი. როგორც ამბობენ, საეჭვოა, რომ შირლის თერაპიის ჩანაწერები ოდესმე იხილოს ფართო საზოგადოებამ.



## მარკ ტვენის ავტობიოგრაფია

**გახსნის თარიღი: 2010 წელი**

**მარკ ტვენის ერთ-ერთი სურვილი სიკვდილის წინ (21 აპრილი, 1910) იყო ის, რომ მისი ავტობიოგრაფია არ ენახათ მისი სიკვდილიდან 100 წლის განმავლობაში. მისი ნაწერები, რომლებიც 400 გვერდს შეადგენს, აღწერს მწერლის ურთიერთობას იზაბელ ვან კლიკ ლიონთან, რომელიც მისი მდივანი გახდა 1904 წელს, ცოლის გარდაცვალების შემდეგ. მარკ ტვენის თქმით, ისინი ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ ერთხელ აცდუნა, საყვარლები გახდნენ და მისი მამული მიისაკუთრა.**

ნაწერებში მწერალი საუბრობს თავის ეჭვებზე ღმერთის არსებობის შეასახებ, ასევე აშშ-ის ქმედებებზე კუბის, ფილიპინებისა და პუერტორიკოს მიმართ.

საზოგადოებაში დიდხანს იყო მითქმა-მოთქმა, რატომ ისურვა მარკ ტვენმა ნაწერების ამდენი ხნით დალუქვა. ერთნი ამბობენ, რომ მისი მოსაზრებები რელიგიასა და პოლიტიკაზე მაშინვე არ უნდა გახმაურებულიყო, საზოგადოება უნდა ყოფილიყო მზად მისგან ასეთი აზრების მისაღებად. მეორენი ამბობენ, რომ მეგობრების წყენინება არ სურდა.



## ჯონ კენედის მკვლელობის ჩანაწერები

**გახსნის თარიღი: 2017 წელი**

**1964 წელს უორენის კომისიამ ჯონ კენედის მკვლელობის საქმის ნაციონალური არქივის გამოუქვეყნებელი ნაწილი დალუქა და გახსნის თარიღად 2039 წელი დაადო (75 წლის შემდეგ). ამით სურდათ, დაეცვათ ის პირები, რომლებსაც ახლო კავშირი ჰქონდათ საქმეში მონაწილე სუბიექტებთან.**



1991 წელს გადაღებულმა ფილმმა JFK საზოგადოებაში საქმის მიმართ ინტერესი გაზარდა და არქივების გახსნა მოითხოვეს. 1992 წელს დაიწყეს დოკუმენტების გამომზეურება და 1998 წელს მათი 98% ხელმისაწვდომი გახდა. დანარჩენი 2%, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალები ინახება, 2017 წელს გაიხსნება. ეს 2% საკმაოდ დიდი მასალაა, მოიცავს ფოტოებს, აუდიოჩანაწერებს, ინტერვიუებს მკვლელთან, თვითმხილველთა ჩვენებებს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ოფიციალური ვერსიისა ბევრს არ სჯერა. მხოლოდ 32% ამბობს, რომ ერთადერთი სნაიპერი იყო ლი ჰარვი ოსვალდი; 51%-ის აზრით, მას სხვაც (სხვებიც) ეხმარებოდა; 7% ფიქრობს, რომ ოსვალდი საერთოდ უდანაშაულოა; ხოლო 10%-ს არ აქვს რაიმე მოსაზრება ამ საკითხზე.



## მარტინ ლუთერ კინგის ჩანაწერები

**გახსნის თარიღი: 2027 წელი**

**იმის ეჭვით, რომ მარტინ ლუთერ კინგი საბჭოთა აგენტი იყო, გამოძიების ფედერალური ბიურო წლების განმავლობაში უთვალთვალებდა მას. ფედერალური ბიურო მას ასე აღწერდა: „ყველაზე საშიში და ქმედითი ზანგი ლიდერი აშშ-ში".** სახელმწიფოსგან უფლების მიღების შემდეგ, დაიწყეს მისი ტელეფონის მოსმენა, სახლსა და ოფისში მიკროფონები დაამონტაჟეს, მაგრამ ვერსია აგენტობის შესახებ ვერ დამტკიცდა, თუმცა აღმოაჩინეს საინტერესო დეტალები მისი სექსუალური ცხოვრებიდან. ანონიმური პირის ავტორობით წერილიც გაუგზავნეს დასაშანტაჟებლად, მაგრამ უშედეგოდ. წერილი შეიცავდა მუქარებს: „შენ საშინელი, თაღლითი და ბოროტი ადამიანი ხარ. ამერიკის საზოგადოება მალე შეიტყობს, ვინც ხარ. საზიზღარო მხეცო, ამაზე უარესს სატანაც კი არ გააკეთებდა". ვარაუდობენ, რომ ამ წერილის მიზანი კინგის თვითმკვლელობამდე მიყვანა იყო.

1977 წლის 31 იანვარს მოსამართლე ჯონ ლუის სმიტმა გამოიტანა ვერდიქტი, კინგის საუბრების ყველა აუდიოჩანაწერი დალუქულიყო 50 წლით. აუდიოჩანაწერები კეთდებოდა 5 წლის განმავლობაში — 1963-1968 წლებში.





## საფრანგეთის საიდუმლო მასალები ამო-ებზე

**გახსნის თარიღი: 2007 წელი**

**2007 წელს საფრანგეთის კოსმოსის შემსწავლელმა ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა მასალები, რომლებშიც ამო-ების დაფიქსირების 1000-მდე შემთხვევაა აღწერილი 50 წლის განმავლობაში. მასალები დაიდო ინტერნეტშიც, ეს იყო სურათები, თვითმხილველთა ჩვენებები, მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევები. გამოქვეყნებიდან 3 საათში საიტმა მუშაობა შეწყვიტა, რადგან ათეულობით მილიონი სტუმრის „შემოტევას" ვერ გაუძლო.**

კვლევის ხელმძღვანელმა განაცხადა: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს უცხო ცივილიზაციის არსებობის მტკიცებულებაა, მაგრამ არც გამოვრიცხავთ ამას". საფრანგეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მსგავსი მასალები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა. 2008 წელს მას დიდმა ბრიტანეთმა მიბაძა.

**1945 წლის 3 მაისს, ჰიტლერის თვითმკვლელობიდან 4 დღის შემდეგ, საკონცენტრაციო ბანაკის ათასობით ტყვე გემებზე აიყვანეს. ბრიტანელმა მფრინავებმა ცეცხლი გახსნეს, რადგან იფიქრეს, რომ გემებით ნაცისტი ოფიცრები გადაჰყავდათ ნორვეგიის ტერიტორიაზე.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## იდენტური ტყუპების შესწავლა

**გახსნის თარიღი: 2066 წელი**

**XX საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილი ნიუიორკელი ფსიქოლოგი ვიოლა ბერნარდი კოლეგასთან, პროფესორ პიტერ ჰუბერთან ერთად სწავლობდა ბავშვების აღზრდის პრინციპებს. განსაკუთრებით საინტერესო ფენომენი ამ დუეტისთვის ტყუპები იყვნენ. ისინი იკვლევდნენ შემთხვევებს, როცა ტყუპს აცალკევებდნენ და სხვადასხვა სახლში გზავნიდნენ აღსაზრდელად, თანაც ბავშვებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმაზე, რომ ტყუპისცალი ჰყავდათ. მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში ეს ბავშვები უფრო ავლენდნენ თავიანთ შესაძლებლობებს.**

როცა ტყუპისცალები სხვადასხვა ოჯახს მიჰყავდა, მშობლებმა იცოდნენ, რომ ექსპერიმენტის მონაწილენი იყვნენ, ოღონდ კონკრეტული ინფორმაცია არ ჰქონდათ. 12 წლის განმავლობაში, თვეში ერთხელ, ოჯახები ცალცალკე მიდიოდნენ ფსიქოლოგიის ცენტრში და ბავშვების IQ-ს ამოწმებდნენ. ექსპერიმენტი 1980 წელს დასრულდა და 1 წლის შემდეგ დაშორებული ბავშვების შეხვედრა მოითხოვეს. ინფორმაცია კვლევების შესახებ ერთ წიგნად აიკინძა, მაგრამ პროფესორმა ჰუბერმა გადაწყვიტა, არ გამოექვეყნებინა, რადგან, მისი აზრით, ხალხი უარყოფითად შეხვდებოდა ამ იდეას. დოკუმენტები დაილუქა იელის უნივერსიტეტში და შეინახება 2066 წლამდე, როცა, ექსპერიმენტის ყველა მონაწილე გარდაცვლილი იქნება.



## მატა ჰარის სასამართლო პროცესი

**გახსნის თარიღი: 1985 წელი**

**მატა ჰარი იყო ეროტიკული ცეკვების ცნობილი ჰოლანდიელი შემსრულებელი, რომელმაც სახელი ორმაგი ჯაშუშობით (გერმანია-საფრანგეთი) გაითქვა. მისი რეალური სახელი იყო ჰერტრუდ მარგარეტ ზელე. პროფესიის გამო მას ბევრ ქვეყანაში მოუწია მოგზაურობა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის მთავრობის დახმარებით ის ესპანეთში გადავიდა. იქ იღებდა ინფორმაციას გერმანულ ფლოტსა და არმიაზე და შემდეგ საფრანგეთს ატყობინებდა.**



უცნობია, რატომ დაბრალდა მას ორმაგი ჯაშუშობა. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, 1917 წლის იანვარში გერმანიის არმიამ რადიოშეტყობინება გადაუგზავნა ბერლინს, რომელშიც აღწერდნენ გერმანიის აგენტ H-21-ის მოხერხებულ ქმედებებს. საფრანგეთმა გაშიფრა შეტყობინება და დაადგინა, რომ H-21 მატა ჰარის კოდური სახელი იყო.

უცნაურია, რომ გერმანელებმა შეტყობინება იმ მეთოდით გადასცეს, რომელიც მანამდე ფრანგებმა რამდენჯერმე „გატეხეს“ და ეს მათ კარგად მოეხსენებოდათ. ამიტომ ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ეს შეტყობინება ფიქცია იყო. მატა ჰარის დააბრალეს 50 000 ფრანგი ჯარისკაცის სიკვდილიც.

1917 წლის 13 თებერვალს მატა ჰარი შეიპყრეს და ბრალი დასდეს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობაში. 15 ოქტომბერს 41 წლის მატა ჰარის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და ჯარისკაცებმა დახვრიტეს. მატა ჰარიმ უარი თქვა თვალების ასახვევ შავ ნაჭერზე, დახვრეტის წინ კი ჯალათებს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

სამხილები და საბუთები, რომლებიც მატა ჰარის ეხებოდა, აგრეთვე, სასამართლოს ჩანაწერები, საფრანგეთმა 100 წლით დალუქა. მაგრამ 32 წლით ადრე, 1985 წელს, ბიოგრაფმა რასელ ვორენმა მოითხოვა მათი გახსნა, რაც საფრაგეთის მხარემ დააკმაყოფილა. ექსპერტები, რომლებმაც საბუთები შეისწავლეს, აცხადებენ, რომ მატა ჰარი უდანაშაულო იყო.



## სიმინდის ლაბირინთები

**სიმინდის ლაბირინთებმა გლენ და პემ ფრითცლერების ფერმა ლასალში (კოლორადო, აშშ) გაკოტრებისგან იხსნა და ტურისტებისთვის საინტერესო ადგილად აქცია.**

ახლა მათ ფერმას ყველა ფრითცლერების ლაბირინთს უწოდებს. პირველი ლაბირინთი გლენისა და პემის ფერმაში 2000 წელს გაჩნდა, როცა ფერმა გაკოტრების ზღვარზე იყო.

ლაბირინთი კარგი კაპიტალდაბანდება აღმოჩნდა. ის შემოდგომაზე მხოლოდ 7 კვირით იხსნება და იმდენი დამთვალიერებელი მიდის, რომ მათ მომსახურებას სპეციალურად დაქირავებული პერსონალის თითქმის 200-კაციანი შტატი სჭირდება. გლენი და პემი ყოველწლიურად ახალ-ახალ ლაბირინთს სთავაზობენ თავიანთ სტუმრებს.









## ლაინერი «ლანკასტრიას» ჩაძირვა

**გახსნის თარიღი: 2040 წელი**

**1940 წლის 17 ივნისს „ლანკასტრია“ ბრიტანელი მოიერიშე ჯარისკაცებისა და ლტოლვილების ევაკუირებას ახდენდა, მათ შორის იყვნენ ფრანგი ქალები და ბავშვები. დილის 6 სთ-ზე კაპიტანმა რუდოლფ შარპმა მიიღო ბრძანება, გემზე აეყვანა რაც შეიძლება მეტი მგზავრი და, თუ საჭირო იქნებოდა, დაერღვია რაოდენობაზე დაწესებული საერთაშორისო შეზღუდვა. იმ დღეს გემზე დაახლოებით 6000-დან 9000-მდე მგზავრი იყო. შუადღეს გერმანულმა ბომბდამშენმა 4 ჭურვი მოარტყა „ლანკასტრიას“, შედეგად გემი 20 წუთში ჩაიძირა.**

შეტყობინებებისა და სხვა მასალების ნაკრები 100 წლით დაილუქა, ოფიციალურად — იმ მიზეზით, რომ უსაფრთხოების ნორმები იყო დარღვეული და ეს რომ ხალხს გაეგო, მსხვერპლთა ნათესავები კომპენსაციას მოითხოვდნენ.



## «შემთხვევითი» ცეცხლის ინციდენტი

**გახსნის თარიღი: 2045 წელი**

**მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ეს მონაკვეთი დღემდე ბურუსითაა მოცული და ინფორმაციის სიმწირის გამო მსჯელობა ძნელდება. 1945 წლის 3 მაისს, ჰიტლერის თვითმკვლელობიდან 4 დღის შემდეგ, საკონცენტრაციო ბანაკის ათასობით ტყვე გემებზე აიყვანეს. ბრიტანელმა მფრინავებმა ცეცხლი გახსნეს, რადგან იფიქრეს, რომ გემებით ნაცისტი ოფიცრები გადაჰყავდათ ნორვეგიის ტერიტორიაზე. მათ სხვადასხვა მხრიდან შეუტიეს გემებს. Thielbek-ი, რომელსაც 2800 ტყვე გადაჰყავდა, 20 წუთში ჩაიძირა. მას მალევე მიჰყვა უკან Cap Arcona 7000 ტყვით.**

ამბობენ, რომ ტყვეები გერმანელებს შუა ოკეანეში უნდა გაეყვანათ და შემდეგ აეფეთქებინათ, რადგან მასზე „ზედმეტი ბარგი“ იყო. მეორე, უსიამოვნო ვერსიის მიხედვით, ბრიტანელებმა იცოდნენ, ვინ იყო გემზე და სწორედ ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ მოვლენის ამსახველი ყველა დოკუმენტი 100 წლით დაილუქა მათ მიერ.

## მალე მამაკაცებს დაფეხმძიმება შეეძლებათ



**კლივლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, მამაკაცებს ქალის სასქესო ორგანოები გადაუნერგონ, რაც მათ საშუალებას მისცემს, დედობის ბედნიერება გამოსცადონ.** როგორც მეცნიერებმა ახსნეს, თეორიულად ეს შესაძლებელია. რასაკვირველია, მხოლოდ სასქესო ორგანოს გადანერგვა საკმარისი არაა, მამაკაცს მოუწევს სხვადასხვა ჰორმონალური მედიკამენტის და ვიტამინის მიღებაც. ამ სამეცნიერო პროექტის დასრულება 5-10 წელიწადშია მოსალოდნელი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1967 წლის 3 დეკემბერს კეიპტაუნში (სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) გრუტ შუტის ჰოსპიტალში პირველად მედიცინის ისტორიაში გაკეთდა გულის გადანერგვის ოპერაცია.** პროფესორმა **კრისტიან ბერნარდმა** სასიკვდილოდ დაჭრილი 25 წლის ქალის გული გადაუნერგა 55 წლის ავადმყოფს — ლუის ვაშკანსკის, რომელმაც ოპერაციის შემდეგ 18 დღეს იცოცხლა.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1817 წლის 4 დეკემბერს თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი.**

1827-1835 წლებში თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში სწავლისას ნიკოლოზ ბარათაშვილის პედაგოგი იყო სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მოზარდი ტატოს მსოფლმხედველობაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია. მისი პოეტიკა და სტილი რომანტიკული პოეტური აზროვნების გამოხატულებაა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა გეზი მისცა XIX საუკუნის ლიტერატურის განვითარებას საქართველოში. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია: პოემა „ბედი ქართლისა", ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზე", „მერანი", „ფიქრი მტკვრის პირზედ", „ბულბული ვარდზედ", „ქეთევან", „სული ობოლი", „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს", „სულო ბოროტო" და სხვ. 1836 წლიდან მუშაობდა უბრალო მოხელედ სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში. 1844 წელს დაინიშნა ნახიჭევანის მაზრის მმართველის თანაშემწედ, ხოლო 1845 წელს — იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ, 27 წლისა, მალარიით გარდაიცვალა.




*** 1918 წლის 9 დეკემბერს დაიწყო ომი საქართველოსა და სომხეთს შორის ე.წ. სადავო ტერიტორიების გამო ლორესა (1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა, 1921 წელს გადაეცა სომხეთს) და ჯავახეთში.**

ეს იყო საქართველოს თავდაცვითი ომი სომხეთის მისწრაფების წინააღმდეგ, ხელში ჩაეგდო საქართველოს ტერიტორიები. 1918 წლის დეკემბერში ამიერკავკასიიდან გერმანული სამხედრო ნაწილების გასვლის შემდეგ მათი ადგილი ინგლისელებმა დაიკავეს. 5 დეკემბერს ქართულმა არმიამ ახალქალაქი და ლორე დაიკავა, 9 დეკემბერს კი სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავისი არმია საქართველოს წინააღმდეგ დაძრა. **12 დეკემბერს სომხეთის ჯარი გენერალ კანაიანის მეთაურობით თავს დაესხა ქართულ სასაზღვრო ნაწილს სანაინში** (ლორეს პროვინცია). საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, რომ მოილაპარაკებდა სომხეთთან, ამიტომ ქართული ჯარი თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. პირველივე შეტაკებაში სომხებმა დაატყვევეს 100-მდე ქართველი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდი რაოდენობით იარაღი. აღსანიშნავია, რომ სომხების მხარდამხარ იბრძოდნენ რუსი თეთრგვარდიელები — გენერალ დენიკინის მიერ მოვლენილი ოფიცრები. თვითონ დენიკინი კი აფხაზეთის ტერიტორიაზე პროვოკაციებს აწყობდა და ცდილობდა, სოჭის დაკარგვით დასუსტებული ქართველთა პოზიციები საბოლოოდ გაეტეხა გაგრის ფრონტზე.

18 დეკემბერს სომხებმა დაიკავეს ლორეს პროვინცია და მნიშვნელოვნად შემოიჭრნენ თბილისის მიმართულებით. დაარბიეს ქართული და აზერბაიჯანული სოფლები. რეგიონის სომხური მოსახლეობა აქტიურად ეხმარებოდა სომხეთის ჯარს. თბილისში გამოავლინეს არალეგალური დაჯგუფება, რომელიც ფულითა და იარაღით ეხმარებოდა სომხეთის არმიას. საქართველოს მთავრობამ დაიწყო მკაცრი რეპრესიული ზომების გატარება — კოლაბორაციონისტი სომხების დეპორტაცია. სომხების მიერ ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე ქართველი ოფიცრის დახვრეტამ ქართველების განრისხება გამოიწვია. დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია. 28 დეკემბერს გენერალმა მაზნიაშვილმა 3500-კაციანი შენაერთით შეძლო სრულმასშტაბიანი შეტევის განხორციელება შულავერ-სადახლოს მიმართულებით და დაიბრუნა ტერიტორიები. 31 დეკემბერს ბრიტანეთის სამხედრო მისიის დაჟინებული მოთხოვნითა და შუამდგომლობით, დაპირისპირებული მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ.




*** 1926 წლის 8 დეკემბერს ქუთაისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, საქართველოსა და სსრკ-ს სახალხო არტისტი, პროფესორი რევაზ (რეზო) ჩხეიძე.**

1943-1946 წლებში სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1953წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

მისი გადაღებულია ფილმები: „მაგდანას ლურჯა" (თენგიზ აბულაძესთან ერთად — 1955 წ. კანის IX საერთაშორისო ფესტივალის მთ. პრიზი — „ოქროს რტო" და I პრემია ედინბურგის X საერთაშორისო ფესტივალზე); „ჩვენი ეზო", „მაია წყნეთელი", „განძი", „ზღვის ბილიკი", „ჯარისკაცის მამა", „ღიმილის ბიჭები", „ნერგები", „მშობლიურო ჩემო მიწავ!"

რევაზ ჩხეიძე გარდაიცვალა 2015 წლის 3 მაისს.



*** 1974 წლის 2 დეკემბერს კინოეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმი „ვერის უბნის მელოდიები".**

ეს არის პირველი ქართული მიუზიკლი, რომელშიც მონაწილეობენ: სოფიკო ჭიაურელი, ვახტანგ კიკაბიძე, ია ნინიძე, მაია კანკავა, რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, კახი კავსაძე, ალისა ფრეინდლიხი, ბორის წიფურია, გოგი ქავთარაძე და სხვები. კომპოზიტორი — გოგი ცაბაძე.



*** 1889 წლის 2 დეკემბერს სოფელ ქვედა საქარაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) დაიბადა ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი უზნაძე.**

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „განწყობის თეორია", რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაპოვრად ითვლება.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს. დაკრძალულია თსუ-ს ბაღში.



*** 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორზე (კუნძული ოაჰუ, ჰავაი) განლაგებულ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზას თავს დაესხნენ იაპონელები.**

მათ ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის 4 საზღვაო ხომალდი და 188 თვითმფრინავი გაანადგურეს. მეორე დღეს აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა იაპონიას ომი გამოუცხადა. ამით აშშ ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში.



*** 1988 წლის 7 დეკემბერს, 11 საათსა და 41 წუთზე ადგილობრივი დროით, სომხეთის ჩრდილო-დასავლეთში მოხდა კატასტროფული მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა იყო 7,2.** მიწისძვრის ეპიცენტრში — სპიტაკში — მიწისქვეშა ბიძგების ძალამ 7,2 ბალს მიაღწია. ბიძგები იგრძნობოდა ერევანსა და თბილისშიც. მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია ქალაქი სპიტაკი და 58 სოფელი, ნაწილობრივ — ქალაქი ლენინაკანი (ამჟამად — გიუმრი), სტეფანავანი, კიროვაკანი (ამჟამად — ვანაძორი) და 300-მდე დასახლებული პუნქტი. დაიღუპა 25 ათასი კაცი, დაინვალიდდა — 19 ათასი. სომხეთს დანგრეული ქალაქების აღდგენაში მსოფლიოს 111 ქვეყანა დაეხმარა, მათ შორის, პირველი საქართველო იყო.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ცვლილებების პერიოდია. იაქტიურეთ და გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ. წარმატებას მიაღწევენ ლომის, ქალწულისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**2 – 8 დეკემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაში ინტუიცია დაგეხმარებათ. შეეცადეთ, თქვენი შეცდომები სხვას არ გადააბრალოთ. ეს ადამიანებს გაანაწყენებს და თქვენზე გულს აუცრუებს.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ ვალის აღება.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. ურთიერთობის გაღრმავება კი თქვენზე იქნება დამოკიდებული.

მაღალია სახსრების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 5 დეკემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

დაძაბული პერიოდია. გაძლიერდება თქვენი გავლენა გარშემო მყოფებზე და, თუ ეგოიზმი გძლევთ, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

გულმოდგინე შრომის შედეგად მოიმატებს თქვენი ფინანსური შემოსავლები, რომელიც თქვენს განწყობასაც აამაღლებს.

მარტოხელა კუროებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაღრმავებას.

მაღალია ღვიძლის დაავადების გამწვავების ალბათობა. მოერიდეთ ცხიმიან, შემწვარ და შებოლილ საკვებს.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

შეიძლება მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც არც ისე სასიამოვნო იქნება, როგორც თავდაპირველად ჩანდა. დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო შეიძლება შეცდომები დაუშვათ კოლეგებთან ურთიერთობისას. შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები.

რეკომენდებული არ არის სარისკო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობა.

მარტოხელა ტყუპებს შეიძლება სიყვარული ეწვიოთ, თანაც ძველი ნაცნობების წრიდან.

შესაძლოა, მოულოდნელად შეგექმნათ თირკმლების ფუნქციობის პრობლემა.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მძიმე პერიოდია. უსიამოვნებებს ელოდეთ ფინანსურ სფეროში. ეს უსიამოვნებები კი უსაფუძვლო თავდაჯერებულობის შედეგი იქნება.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებს, რადგან შეიძლება თაღლითების მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მას მეტისმეტი მოთხოვნებით არ გააღიზიანებთ.

გაუფრთხილდით თვალებს. შეეცადეთ, დიდხანს არ დაჯდეთ კომპიუტერის მონიტორთან ან ტელევიზორთან.

**დადებითი დღე: 4 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 დეკემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

საქმეების დასრულებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ, რადგან ყველაფერი გამოგივათ, რასაც ხელს მოჰკიდებთ.

თავი შეიკავეთ გარშემო მყოფთა გაკრიტიკებისგან, რადგან ამან შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს.

საყვარელ ადამიანთან ნუ შეეცდებით გრძნობების დამალვას, ასე უფრო კარგად წარიმართება თქვენი ურთიერთობა.

მოსალოდნელია მცირე უთანხმოება ნათესავებთან, თუმცა ყველაფერს მშვიდად მოაგვარებთ.

ამ პერიოდში მოწყვლადია თქვენი სასუნთქი გზების სისტემა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ვირუსულ დაავადებებს.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 5 დეკემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

სასიკეთო პერიოდია. სიხარულს მოგანიჭებთ პირად ცხოვრებაში წარმატებები და მზარდი მატერიალური კეთილდღეობა. სამსახურში ყველა საქმეს წარმატებით დაასრულებთ. შინ კი ოჯახური სიმყუდროვის შექმნაზე იზრუნეთ — შეიძინეთ ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან ავეჯი.

საყვარელი ადამიანი ყველა საქმეში მხარში ამოგიდგებათ, ამას ის უდიდესი კმაყოფილებით გააკეთებს. თქვენ კი მისი ყურადღება და მზრუნველობა უნდა დააფასოთ.

კარგი იქნება, თუ კუნთოვანი სისტემის გამაგრებას შეეცდებით. ამისათვის კი მასაჟისტს მიმართეთ.

**დადებითი დღე: 4 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 დეკემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

ბევრ საკითხზე მოგიწევთ თვალსაზრისის შეცვლა. ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამო ვერც ერთი საქმის დასრულებას ვერ შეძლებთ, ეს კი ძალიან გაგაღიზიანებთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გამოცდილ ადამიანებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღეთ.

შეეცადეთ, საყვარელ ადამიანს მხიარული განწყობა შეუქმნათ. წადით სადმე ერთად ან მოიპატიჟეთ ახლობლები და მოაწყვეთ წვეულება.

კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადებების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 8 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

მუხლჩაუხრელი შრომის გამო ხელმძღვანელობა შეუცვლელ თანამშრომლად ჩათვლით და კარიერის კიბეზე აღმოსვლაც გარანტირებული გექნებათ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო დრო აღარ დაგრჩებათ საყვარელ ადამიანზე საზრუნველად, მაგრამ ის ყველაფერს გაგებით მოეკიდება და პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების დაავადების ალბათობა.

მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და გაიმყარეთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 5 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თქვენ გარშემო განვითარებული მოვლენები გაიძულებთ, მოაწესრიგოთ ფინანსური საკითხები. გაგიჩნდებათ ახალი იდეები, რომელთა განხორციელებაშიც გავლენიანი ადამიანების დახმარება დაგჭირდებათ.

შესაძლოა, მოგიწიოთ მივლინებით უცხოეთში გამგზავრება, სადაც თქვენთვის საჭირო კონტაქტებს დაამყარებთ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ. მეტი დრო დაუთმეთ პატარებს, შეეცადეთ, მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

იმუნიტეტის გასამყარებლად რეგულარულად მიიღეთ ვიტამინები. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

თქვენი საუკეთესო თვისებებისა და უნარების წარმოჩენაში თვითდისციპლინა დაგეხმარებათ. შეიძლება დაგიგროვდეთ ვალი, ადამიანები კი, რომლებსაც თქვენი ვალი აქვთ, თვალთახედვის არეალიდან გაქრებიან.

თუ საქმე ისე არ გამოგდით, როგორც დაგეგმეთ, სჯობს, თავი დაანებოთ და ცოტა ხნით დაისვენოთ.

თქვენმა ემოციურობამ და ნერვიულობამ შეიძლება საყვარელი ადამიანი ცუდ განწყობაზე დააყენოს. შეეცადეთ, დაივიწყოთ წარუმატებლობები და ყურადღება ახლობელ ადამიანებზე გადაიტანოთ.

მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას. შეეცადეთ, კარგად გამოიძინოთ.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 დეკემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

ბევრი საქმის გაკეთება მოასწარით და ახლა დროა, დაისვენოთ — ეს დაიმსახურეთ. თქვენი გულმოდგინება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შესაძლოა, პრემიით დაგაჯილდოვონ.

თავი აარიდეთ უცნობ თაყვანისმცემელთან ფლირტს, ამან შეიძლება საყვარელი ადამიანი გააღიზიანოს და ეჭვიანობის გამო კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 5 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 დეკემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თქვენი ფინანსური მდგომარეობა ცუდი არ არის, შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ სამომავლო გეგმების პერსპექტიულობაში. ენდეთ ინტუიციასა და გამოცდილებას, რომლებმაც არაერთხელ მოგიტანათ წარმატება, და გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში პრობლემები გაჩნდა, ახლა საუკეთესო პერიოდია მათ მოსაგვარებლად. თევზები, რომელთა გულიც თავისუფალია, მგზნებარე რომანს გააჩაღებენ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან.

მაღალია ძვლოვანი სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. რეკომენდებულია, ჩაიტაროთ ვიტამინოთერაპია — მიიღეთ კალციუმით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 5 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 3 დეკემბერი.**

# მატიანე განათლებისა

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივმა აკადემიამ გამოსცა „საქართველოს განათლების მატიანე“, რომელსაც აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა წიგნის წინასიტყვაობაში „მეცნიერთა დიდი შრომის, რუდუნების გამოწვლილვითი კვლევის შედეგი“ უწოდა. მისივე შეფასებით, „მატიანე მრავალმხრივი სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომია და გარკვეულწილად ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებს“.**







მიუკერძოებელი მკითხველი, რომელიც კი გაეცნობა ამ ნაშრომს, უთუოდ დაეთანხმება გამოჩენილი მეცნიერის ამ დასკვნას.

უნდა დავეთანხმოთ ავტორებს, რომ ეს წიგნი „ფაქტობრივად, პირველი ნაშრომია, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, წლების, საუკუნეებისა და პრობლემების შესატყვისადაა წარმოდგენილი უმდიდრესი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, მისი ფესვები, ქართული განათლების ოცსაუკუნოვანი გზის თავისებურებანი“, რომლებიც, ზოგიერთი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გამოკლებით, დღევანდელ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში თანდათან ფერმკრთალდება და დავიწყებას ეძლევა.

**ეს წიგნი «ფაქტობრივად, პირველი ნაშრომია, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, წლების, საუკუნეებისა და პრობლემების შესატყვისადაა წარმოდგენილი უმდიდრესი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, მისი ფესვები, ქართული განათლების ოცსაუკუნოვანი გზის თავისებურებანი», რომლებიც, ზოგიერთი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გამოკლებით, დღევანდელ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში თანდათან ფერმკრთალდება და დავიწყებას ეძლევა**

პირველ თავში — „ქართული განათლება საუკუნეებს ითვლის“ — ჩვენი ქვეყნის ისტორიაა გადმოცემული — ლაკონური და მეცნიერული სიზუსტით გამორჩეული, განსაკუთრებული აქცენტი ქრისტიანობაზე, მის მაცოცხლებელ როლზე არის გაკეთებული, იმ წვლილზე, რომელიც მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ქართული იდენტურობის შენარჩუნებას, ჩვენი ეროვნული ცნობიერების, კულტურისა და განათლების განვითარებას დასდო. „მატიანეს“ ნაგებობა სწორედ ამ საძირკველზეა აგებული.

ცნობილია, რომ **მას შემდეგ, რაც მწერლობისა და იდეოლოგიის სადავეები ეკლესიის ხელში გადავიდა, თანდათან ჩამოყალიბდა და გაძლიერდა ისეთი უნიკალური ცენტრები, რომლებშიც რელიგიური სწავლა-განათლება იყო პრიორიტეტული, მაგრამ ამავე დროს შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები გამორჩეული ახალგაზრდობისთვის მრავალმხრივი საერო მოღვაწეობის საფუძვლიანად შესწავლის. ქართული პედაგოგიკის ცენტრებად ჩამოყალიბდა ათონის სავანე, გელათისა და იყალთოს აკადემიები, ტაო-კლარჯეთის სასულიერო კერები, გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ა.შ.**

კრებულის ავტორებმა, ჩემი აზრით, ღირსეულად წარმოგვიდგინეს „განათლებისა და ქართული პედაგოგიკური აზრის განვითარების ისტორიის მთლიანი სურათი“, და მიიჩნიეს, რომ „ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კვლავაც განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ქართველი ახალგაზრდობის სწავლა აღზრდისა და სულიერების ფორმირების საქმეში.

კრებულის შემდგენლები მიიჩნევენ, რომ „სკოლაში სწავლა-აღზრდის შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები ყველა ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების მიზნების ეკვივალენტურია და იცვლება სახელმწიფო იდეოლოგიის შესაბამისად“ (თავი: „ქვეყნის დამოუკიდებლობა, ახალი ეპოქა და საქართველოს სკოლა“). სწორი დებულებაა.

და რადგან სწორია, ვიკითხოთ: არის თუ არა დღევანდელი ეპოქის მიზნები და ამოცანები ახალგაზრდა თაობის სულიერების აღზრდისთვის მოწოდებული?

ამაზე პროფესიონალები ილაპარაკებენ.

ლაპარაკობენ კიდეც.

ახლა კი აღვნიშნოთ წიგნის რედაქტორის, აკადემიკოს **ნათელა ვასაძის** შესაშური დიპლომატიური მანევრი, მისი ტაქტიანობა, რომელიც მან გამოიყენა ასახსნელად იმისა, თუ რატომ აუარეს გვერდი „მატიანეს“ ავტორ-შემდგენლებმა საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების „თავისებურების“ საკითხს.

„ამ წიგნში ნაკლები ყურადღება დავუთმეთ მოვლენათა შეფასებებს, მივიჩნიეთ, რომ ეს მატიანის ფუნქცია არ არის. ცხადია, ეს არ ნიშნავს თავად ისტორიული ჟამთასვლის, მასში განათლების დანიშნულების უგულებელყოფას. თავი შევიკავეთ, აგრეთე, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს განათლების სისტემაში შექმნილი ვითარების შეფასებისგან. ჩავთვალეთ, რომ იგი მკვლევართა შემდეგი თაობის პრეროგატივაა. თუმცალა ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **განათლებამ უპიროზოდ უნდა დაიბრუნოს ისეთი ტრადიციული ფუნქციები, როგორიცაა აღზრდა, აღმზრდელობითი სწავლება, დარგის მეცნიერული მართვა; გაითვალისწინოს წარსული, იფიქროს განათლების ეროვნულობაზე“** *(„მატიანე“, გვ. 13).*

მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდება სამართლიანი კრიტიკის რა ძლიერი მუხტიც დევს ამ მინიშნებაში...

მკითხველი ინტერესით გაეცნობა საქართველოში ქალთა განათლების, უმაღლესი განათლების, ხალხური პედაგოგიკის საკითხებს, რომლებიც ცალკე თავებით არის წარმოდგენილი.

კრებული ორენოვანია (ქართული და ინგლისური), მდიდრულად არის ილუსტრირებული და, როგორც ყოველთვის, ჩვენი დღეების ერთ-ერთი საინტერესო კულტურული ფაქტი, „მაგთის“ თანადგომით არის გამოცემული.

**არმაზ სანებლიძე**

# სააკაშვილი სოფო ნიჟარაძისთვის თვითმფრინავის ბილეთებს «ოდესის კეთილდღეობის» ფონდის ფულით ყიდულობს



**მიხეილ სააკაშვილმა ოდესის ოლქში სპეციალური საქველმოქმედო ფონდი შექმნა სახელწოდებით „ოდესის კეთილდღეობისათვის“. ოდესაში მოღვაწე ბიზნესმენები ე.წ. დაკრიშვის სანაცვლოდ ფონდში მილიონებს რიცხავენ.** ოდესაში ცოტა ხნის წინათ ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა დაიწყო, რომელშიც უკრაინელი ოლიგარქები პროკურატურისა და სააკაშვილის ზეწოლის შედეგად აქტიურად არიან ჩართულები. ე.წ. ატკატები კი მიხეილ სააკაშვილთან სწორედ ამ ფონდის მეშვეობით მიდის. სამაგიეროდ სააკაშვილი ბიზნესმენებს მფარველობს და რიგ დარღვევებზე თვალებს ხუჭავს.

უკრაინული სააგენტო ავრცელებს ინფორაციას, რისთვის იხარჯება ფონდში აკუმულირებული თანხები. როგორც ირკვევა სააკაშვილის უშუალო მითითებით ფონდიდან თანხები იხარჯება მიხეილ სააკაშვილის გარემოცვისთვის ავიაბილეთების შეძენასა და სხვა საჭიროებებზე. „ოდესის კეთილდღეობის“ ფონდის ფულით სააკაშვილის მარჯვენა ხელმა ზურაბ ადეიშვილმა ორჯერ შეიძინა ბილეთები მომღერალ სოფო ნიჟარაძისთვის. ასევე აღნიშნული ფონდის ფულით შეიძინეს ამჟამინდელი ოდესის პოლიციის უფროსის — გიორგი ლორთქიფანიძისთვის.


ს ი ა ხ ლ ე !

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)
მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894